

შპს „დრიმლენდ ოაზისი“

მ ინ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ადგილი: ჩაქვი, საქართველო;

თარიღი: 2021 წლის 08 აგვისტო

წინამდებარე მინდობილობით, შპს „დრიმლენდ ოაზისი“ (ს/ნ 205205124) (შემდგომში - „კომპანია“), წარმოდგენილი მისი დირექტორი ნიკოლოზ გეგუჩაძის (პ/ნ 01019000841) მიერ, უფლებამოსილებას ანიჭებს ამავე „კომპანიის“ თანამშრომელს:

მალხაზ ქათამაძე (საქართველოს მოქალაქე, პირადი ნომერი: (61010003382) (შემდგომში - „რწმუნებული“),

რათა მან, ერთპიროვნულად იმოქმედოს „კომპანიის“ სახელით და განახორციელოს ქვემოთ მითითებული უფლებამოსილებები:

უზრუნველყოს „კომპანიის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ქობულეთში, (საკადასტრო კოდი: **(20.42.01.051)**), განაშენიანების დეტალური გეგმის დასამტკიცებლად, ყველა საჭირო დოკუმენტაციის მოძიება და შემდგომში წარდგენა (განცხადებით მიმართვა) ქ.ქობულეთის შესაბამის სამსახურებში. (მერია/რეესტრი/ქონების მართვის სააგენტო)

მინდობილობა გაიცემა მისი ხელმოწერიდან 90 (ოთხმოცდაათი) დღის ვადით.

შპს „დრიმლენდ ოაზისი“-ს დირექტორი,

ნიკოლოზ გეგუჩაძე



ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882019981913 - 25/11/2019 17:34:04

მომზადების თარიღი
29/11/2019 11:45:43

საკუთრების განყოფილება

მონა ქობულეთი	სექტორი ქ. ქობულეთი	კვარტალი 01	ნაკვეთი 051	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო დაზუსტებული ფართობი: 15611.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 20.12.01.318;
------------------	------------------------	----------------	----------------	---

მისამართი: ქალაქი ქობულეთი, გამზირი დ.
აღმაშენებელი, N297, (პანსიონატი ქარიშხალა)

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 202007004048 , თარიღი 07/11/2007

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა N419-ა , დამოწმების თარიღი: 31/10/2007 , საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო
- ნასყიდობის ხელშეკრულება N1-12471 , დამოწმების თარიღი: 19/10/2007 , ნოგარიუსი ც. ბერიძე

მესაკუთრეები:

შპს ღრიმლენდ ოაზისი, ID ნომერი: 205205124

მესაკუთრე:

შპს ღრიმლენდ ოაზისი

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახლო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მაგერიალური აქციის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- ლოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ გერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში გექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეაფასეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge



საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული
სააგენტო

საკადასტრო კოდი: **20.42.01.051**

ნაკვეთის დანიშნულება:

არასასოფლო სამეურნეო


განცხადების ნომერი: **882019981913**

ფართობი:

15618 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)

15611 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 37N)

მომზადების თარიღი: **29/11/2019**



05/25 მშენებარე ნაგებობა	05/25 მენობა/ნაგებობა	ტყის ფონდი
ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი	ხაზობრივი ნაგებობა	ვალდებულება



**ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო
(არაკომერციული) იურიდიული პირების
რეესტრიდან**

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B19130948, 22/11/2019 12:52:15

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: შპს დრიმლენდ ოაზისი

სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო ნომერი: 205205124

რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 11/05/2007

მარეგისტრირებელი ორგანო: თბილისის საგადასახადო ინსპექცია

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქობულეთი, დ.ჩაქვი, ბათუმის ქ., №16

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: info@dreamland.ge

ტელეფონი: 568008228

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

რეორგანიზაციის ისტორია

რეორგანიზაციამდე არსებული სუბიექტი	ოპერაცია	რეორგანიზაციის შედეგად რეგისტრირებული სუბიექტი	თარიღი
შპს ჰოტელ ოაზისი (446951745)	შერწყმა	შპს დრიმლენდ ოაზისი (205205124)	24/12/2015
შპს სანატორიუმი სასტუმრო ოაზისი (246956888)	შერწყმა	შპს დრიმლენდ ოაზისი (205205124)	24/12/2015

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - ნიკოლოზი გეგუჩაძე, 01019000841

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ალბერეტა, FN329074 h /ავსტრია/, 26.06.2009	91%	
ნიკოლოზი გეგუჩაძე, 01019000841	9%	

ვალდებულება

ვალდებულების ტიპი: წილზე წინასწარი საკუთრების უფლება
მესაკუთრე: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ალბერეტა, FN329074 h /ავსტრია/, 26.06.2009
მომავალი მესაკუთრე: ნათია ბუკია, 01008014600
საგანი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ალბერეტას" (ს/ნ FN329074 h) საკუთრებაში არსებული 8.3% წილი შპს "დრიმლენდ ოაზისის" (ს/ნ 205205124) კაპიტალში.
საფუძველი: #B19083869; 190899968; 190903645, "წილის გამოსყიდვის ოფციისა და წილის გირავნობის ხელშეკრულება", ნოტარიუსი სვანაძე დიანა, 31/07/2019
საფუძველი: #B19083869; 190915156, შეთანხმება "წილის გამოსყიდვის ოფციისა და წილის გირავნობის ხელშეკრულების ცვლილების შესახებ", ნოტარიუსი სვანაძე დიანა, 02/08/2019

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მომძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: R19299046 02/08/2019 18:40:08
კრედიტორი : ბუკია ნათია (საქართველო) 01008014600
მესაკუთრე : შპს ალბერეტა (ავსტრია) FN329074 h
საგანი: არამატერიალური ქონებრივი სიკეთე : შპს 'ალბერეტას' (ს/ნ FN329074 h)
საკუთრებაში არსებული 8.3% წილი შპს 'დრიმლენდ ოაზისის' (ს/ნ 205205124)

კაპიტალში.

საფუძველი: 'წილის გამოსყიდვის ოფციისა და წილის გირავნობის

ხელშეკრულებით', 31.07.2019, ნოტარიუსი სვანაძე დიანა, 190903645, 31.07.2019

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

-
- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
 - ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
 - ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შევსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
 - კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
 - საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
 - თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge



საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 01-06 1038
21/09/2021

1038-01-4-202109211659



**ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N297(პანსიონატი ქარიშხალა)
არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. N 20.42.01.051) განაშენიანების დეტალური გეგმის
შემუშავების ინიცირების თაობაზე**

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას 2021 წლის 03 აგვისტოს N10358/01 განცხადებით მომართა შპს „დრიმლენდ ოაზისი“-ს მინდობილმა პირმა ქათამაძემ და წარმოდგენილი საწყისი მონაცემების საფუძველზე მოითხოვა ქ. ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N297-ში (პანსიონატი ქარიშხალა) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. 20.42.01.051) განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიციატივის განხილვა.

როგორც წარმოდგენილი ინიცირების საფუძველი დოკუმენტაციის განხილვით ირკვევა, ინიციატორის მიერ დასახელებული განვითარების მიზანია მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა, ხოლო დაგეგმვის საჭიროება გამომდინარეობს ზონალური ერთეულის ცვლილებით.

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლით დადგინდა, რომ სავარაუდო გეგმარებითი ერთეული მდებარეობს ნაშენი ტერიტორიის საზღვრებში, ლანდშაფტურ საცხოვრებელ ფუნქციურ ზონაში და ინიცირების მომენტისთვის მასზე არ ვრცელდება დარგობრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული რაიმე რეჟიმი/რეგლამენტი, აგრეთვე, სავარაუდო გეგმარებით ერთეულზე ან მის მიმდებარედ მუნიციპალიტეტს/სახელმწიფოს არ აქვს დაგეგმილი რაიმე ქალათმშენებლობითი ღონისძიება და/ან მსხვილი ინფრასტრუქტურული მშენებლობა, რაც ხელისშემშლელი იქნებოდა ტერიტორიაზე განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნული გათვალისწინებით და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ საქართველოს კანონის IV თავის, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონის 41-ე, 43-ე და 47 მუხლების, საქართველოს მთავრობის 2019 წლის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-6 მუხლისა და მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. ინიცირებულ იქნას ქ. ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N297-ში (პანსიონატი ქარიშხალა) გათვალისწინებით, დაზუსტებულ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავება და დამტკიცდეს თანდართული დავალება გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით.

2. დაევალოს არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურს :

2.1. ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან 3 თვის ვადაში მოამზადოს და გააფორმოს ადმინისტრაციული ხელშეკრულება ინიციატორთან, გეგმის შემუშავების თაობაზე, რომლის განუყოფელი ნაწილია ამ ბრძანების თანდართული დავალება გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით.

2.2. განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის შემუშავების დაწყების თაობაზე ინფორმაცია (მათ შორის, გეგმარებითი არეალის ზუსტი საზღვრების შესახებ ინფორმაცია) გამოაქვეყნოს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებამდე არაუგვიანეს 3 თვისა.

3. განემართოს გეგმის შემუშავების ინიციატივის ავტორს, რომ განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების დაწყების თაობაზე ინფორმაცია საინფორმაციო დაფაზე მან უნდა განათავსოს საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, საზოგადოებისათვის თვალსაჩინო ადგილას, ადმინისტრაციული წარმოების დაწყებამდე არაუგვიანეს 2 კვირისა.

4. განემართოს შპს „დრიმლენდ ოაზისი“-ს მინდობილ პირს მალხაზ ქათამაძეს, რომ წინამდებარე ბრძანება არ წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებას განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოფიციალური წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში. (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის .№30)

მირიან ქათამაძე



მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა



ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

დავალება

ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N297(პანსიონატი ქარიშხალა) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. N 20.42.01.051) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (გ(დ)გ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევი დოკუმენტებით) შემუშავების თაობაზე

ქ. ქობულეთი
2021

წინამდებარე დოკუმენტაცია წარმოადგენს ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N297(პანსიონატი ქარიშხალა) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. N 20.42.01.051) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (გ(დ)გ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევი დოკუმენტებით) შემუშავების დავალებას, რომელიც მომზადებულია „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“ შესაბამისად და სავალდებულოა შესასრულებლად ინიციატორისთვის



ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

დავალება ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N297(პანსიონატი ქარიშხალა) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. N 20.42.01.051) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (გ(დ)გ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევი დოკუმენტებით) შემუშავების თაობაზე

დავალება

ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N297(პანსიონატი ქარიშხალა) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. N 20.42.01.051) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (გ(დ)გ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევი დოკუმენტებით) შემუშავების თაობაზე

წ ი ნ ა თ ე მ ა

ქობულეთის მუნიციპალიტეტში, დავით აღმაშენებლის გამზირი N642-დან (ს.კ 20.42.01.285) N700-მდე (20.42.01.066) გადასასვლელებს შორის შემოსაზღვრულ გეგმარებით ერთეულში, სივრცით განვითარებასა და განაშენიანების მართვაში მუნიციპალური თუ კერძო პირების ინტერესების მაქსიმალურად დაახლოვებისა და შეჯერებისთვის, ჰარმონიზებული და ინტეგრირებული დარგობრივი განვითარების მისაღწევად, როგორც დაგეგმილი ცვლილებების, ისე მიმდინარე ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების ურთიერთ-თავსებადობის უზრუნველსაყოფად, მერის გადაწყვეტილებით მომზადდა წინამდებარე დავალება, მასზე თანდართული დოკუმენტაციით.

წინამდებარე დოკუმენტაცია წარმოადგენს ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N297(პანსიონატი ქარიშხალა) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. N 20.42.01.051) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (გ(დ)გ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევი დოკუმენტებით) შემუშავების დავალებას, რომელიც მომზადებულია „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“ შესაბამისად და სავალდებულოა შესასრულებლად ინიციატორისთვის

წინამდებარე დავალების მიზანია დაგეგმვაში მონაწილე პირებს სრულყოფილი წარმოდგენა შეუქმნას განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების წინაპირობების და საჭიროებების, მეთოდებისა და მისაღები შედეგების შესახებ, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.



სარჩევი

ილუსტრაციების ნუსხა	3
ცხრილების ნუსხა.....	3
1. საერთო ნაწილი.....	4
1.1. ძირითადი ტერმინები და შემოკლებები.....	4
1.1.1. შემოკლებათა ახსნა.....	4
1.1.2. ტერმინთა განმარტება.....	5
1.2. შესამუშავებელი დოკუმენტები.....	7
1.2.1. შუალედური (მოსამზადებელი) დოკუმენტები	7
1.2.2. საბოლოო (ქალაქთმშენებლობითი) დოკუმენტები	7
1.3. საწყისი მონაცემები	7
1.3.1. დაგეგმვის საჭიროება.....	7
1.3.2. დაგეგმილი ცვლილებების მიზანი.....	8
1.3.3. გეგმარებითი ერთეული	9
1.4. საერთო მითითებები სამუშაოების წარმართვისთვის.....	10
1.4.1. საფუძვლები.....	10
1.4.2. დაგეგმვის სტრატეგია.....	13
1.4.3. გამონაკლისი მიწათსარგებლობაში.....	16
1.4.4. დოკუმენტების წარდგენის ფორმა და მახასიათებლები.....	17
2. სპეციალური ნაწილი	19
2.1. გეგმარებითი ერთეულის კვლევა.....	19
2.1.1. საბაზისო მონაცემები	19
2.1.2. მონაცემთა მატრიცა და ანალიზი	20
2.2. განაშენიანების ესკიზი.....	20
2.3. გეგმის კონცეფცია (გეგმის მონახაზი).....	23
2.3.1. საერთო მოთხოვნები.....	23
2.3.2. დარგობრივი საკითხები.....	23
2.3.3. ალტერნატიული გადაწყვეტები	23
2.3.4. ეფექტიანობის შეფასება.....	23
2.3.5.გრაფიკული ნაწილი — ტერიტორიათა გამოყენების რუკა და ძირითადი მოთხოვნები...24	



ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

დავალება ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N297(პანსიონატი ქარიშხალა) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. N 20.42.01.051) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (გ(დ)გ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევი დოკუმენტებით) შემუშავების თაობაზე

- 2.3.6. ტექსტური ნაწილი — დასაბუთება.....25
- 2.4. ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაცია.....27
 - 2.4.1. მიწის ნაკვეთების მონაცვლეობის გეგმა.....27
 - 2.4.2. ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმა27
 - 2.4.3. გ(დ)გ.....27
- 2.5. გეგმების მომზადების კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა28
 - 2.5.1. ტექსტური და გრაფიკული ინფორმაცია.....28
 - 2.5.2. გის ინფორმაცია28
- 2.6. საპროექტო მომსახურების ვადა და ეტაპები.....28
- 3. დანართი ნაწილი 30
 - 3.1. ბიბლიოგრაფია.....30
 - 3.1. ინიციატორის განცხადება და წარმოდგენილი დოკუმენტები.....33
 - 3.2. საინფორმაციო დაფა35
 - 3.3. საბაზისო მონაცემების მატრიცა35

ილუსტრაციების ნუსხა

- ილ. 1. დაგეგმილი ცვლილება გეგმარებით ერთეულში. პირველადი ვერსია. ვიზუალიზაცია ციფრული მაკეტში. (ნიმუში)8
- ილ. 2.დაგეგმილი ცვლილება გეგმარებით ერთეულში. პირველადი ვერსია. ვიზუალიზაცია ადგილის გეგმაში. (ნიმუში).....8
- ილ. 3. გეგმარებითი ერთეულის (და საკვლევი არეალის) დაზუსტებული საზღვარი (ნიმუში).9
- ილ. 5. საინფორმაციო დაფის ბლანკეტური ფორმა.....35

ცხრილების ნუსხა

- ცხრილი 1. სახელმძღვანელო დოკუმენტების ნუსხა.....12
- ცხრილი 2. მიმწოდებლის პროფესიული უნარები და გამოცდილება.13
- ცხრილი 3. განაშენიანების ესკიზის შემადგენლობა.....23



ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

დავალება ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N297 (პანსიონატი ქარიშხალა) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. N 20.42.01.051) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (გ(დ)გ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევი დოკუმენტებით) შემუშავების თაობაზე

1. საერთო ნაწილი

(ზოგადი მითითებები)

1.1. ძირითადი ტერმინები და შემოკლებები

1.1.1. შემოკლებათა ახსნა

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებული შემოკლებები ¹ აიხსნება შემდეგნაირად:

- 1) **განაშენიანების მართვის რეგლამენტი** – გეგმარებით ერთეულის განაშენიანების გეგმის (და/ან განაშენიანების დეტალური გეგმების) ტექსტური ნაწილი, შედგენილი *გეგმების შემუშავების წესის* შესაბამისად;
- 2) **გ(დ)გ** – განაშენიანების დეტალური გეგმა, *კოდექსის* 41-ე მუხლის შესაბამისად;
- 3) **გეგმარებითი ერთეული** – გეგმების შემუშავების წესის შესაბამისად, წინამდებარე დავალებით გათვალისწინებული ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N297 (პანსიონატი ქარიშხალა) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. N 20.42.01.051) გ(დ)გ შემუშავებისთვის ინდივიდუალურად განსაზღვრული დაგეგმვის ტერიტორიული ფარგლები;
- 4) **გეგმების შემუშავების წესი** – საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“;
- 5) **გის** – გეოინფორმაციული სისტემა;
- 6) **დაგეგმარება** – სივრცის დაგეგმარება (პროექტირება);
- 7) **დაგეგმვა** – სივრცითი განვითარების დაგეგმვა და/ან განაშენიანების მართვის დაგეგმვა;
- 8) **დსს** – *კოდექსის მე-14 მუხლით* გათვალისწინებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის საინფორმაციო სისტემა“;
- 9) **დღე** – კალენდარული დღე, გარდა ტექსტში სპეციალურად მითითებულისა;
- 10) **კვლევა** – ხელშეკრულების ფარგლებში წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული პირობებით, მიმწოდებლის მიერ ჩატარებული გეგმების კონცეფციების შემუშავებისთვის საჭირო მოსამზადებელი (წინასაპროექტო) კვლევა;
- 11) **კოდექსი** – „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონი (N3213-რს, 2019 წ.);
- 12) **მერია** – ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია;
- 13) **მთავრობა** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა;
- 14) **საკრებულო** – ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო;
- 15) **სამინისტრო** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო;
- 16) **სამსახური** – მერიის *არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის* სამსახური;
- 17) **საპროექტო მომსახურება** – წინამდებარე დავალების საფუძველზე დადგენილი *გეგმარებითი ერთეულის განაშენიანების დეტალური გეგმის* შემუშავება და შემსყიდველისთვის მიწოდება;
- 18) **საჯარო რეესტრი** – სსიპ საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;
- 19) **სგშ** – გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება;
- 20) **სნდწ** – სამშენებლო ნორმები და წესები; ²
- 21) **ძირითადი დებულებები** – საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის №261 დადგენილებით დამტკიცებული „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“.

¹ მათ შორის აბრევიატურები, გამოყენება ბრუნვის ნიშნების გარეშე.

² იგულისხმება 1992 წლამდე მოქმედი „სამშენებლო ნორმები და წესები“ ან მათი ეროვნული ანალოგები.



ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

დავალება ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N297(პანსიონატი ქარიშხალა) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. N 20.42.01.051) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (გ(დ)გ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევი დოკუმენტებით) შემუშავების თაობაზე

1.1.2. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს გააჩნიათ საქართველოს კანონმდებლობაში განმარტებული/გამოყენებული მნიშვნელობები, დამატებით გამოიყენება ქვემოთ მოცემული მნიშვნელობები:

- (1) **აეროფოტო** — საჰაერო გადაფრენით შესრულებული ორთოფოტოგადაღება;
- (2) **განაშენიანების ესკიზი** — ქალაქგეგმარებითი ესკიზური პროექტი, რომელიც გ(დ)გ მიზნებისთვის არქიტექტურული დაგეგმარების ენაზე ასახავს გეგმარებით ერთეულში დაგეგმილი ცვლილებების შესაბამისი ფიზიკური გარემოს³ სამომავლო სურათს;⁴
- (3) **დენდროლოგია** — მერქნიანი მცენარეების შესწავლა, ტაქსონომია და აღნუსხვა, მათი სარგებლიანობის და გამოყენების საჭიროების დადგენის მიზნით;
- (4) **დრონი** — ახლო მანძილის დისტანციური ზონდირებისთვის განკუთვნილი საფრენი მოწყობილობა;
- (5) **ესთეტიკური პარამეტრები** — შენობა-ნაგებობის ესთეტიკური წყობის განმსაზღვრელი მახასიათებლების ერთობლიობა, რომელიც და რომლის მაჩვენებლებიც დგინდება განაშენიანების მართვის რეგლამენტით, დაგეგმვის მიზნების და/ან დაგეგმილი ცვლილებების შესაბამისად;
- (6) **კომპიუტერული გრაფიკა** — კომპიუტერული ტექნოლოგიის (აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფა) გამოყენებით შექმნილი/მიღებული გრაფიკა;
- (7) **ვიზუალიზაცია** — დაგეგმილი თუ დაგეგმარებული წარმოსახვითი ფიზიკური გარემოს სხვადასხვა კომპიუტერული გრაფიკის გამოყენებით შექმნილი გრაფიკული გამოსახულება (სურათი, დიაგრამა და/ან ანიმაცია);
- (8) **ზედა დონე** — სივრცითი დაგეგმვის ტაქსონომიაში, შესაბამისი კვლევების და დაგეგმვის მაკრო ხასიათი და მიზნები, რომელიც აღწერს უფრო მეტად აბსტრაქტული ხასიათის მონაცემებს და მათ კორელაციებს; სადაც საერთო მიზნები და ამოცანების თავისებურებანი, როგორც წესი კონცენტრირებულია უფრო მეტად ფართო, მთლიან სისტემაზე;
- (9) **ინტერეს-წერტილი** — სივრცით დაგეგმვაში, ასევე ტოპოგრაფიასა და კარტოგრაფიაში, განსაზღვრული სივრცე ან ადგილმდებარეობა, გამოსახული ნივთიერ-წერტილის სახით, რომელიც კონკრეტული მიზნებისთვის (ადამიანთა მოღვაწეობის/საქმიანობის თვალსაზრისით) წარმოადგენს ინტერესის და/ან მიზიდულობის ობიექტს;⁵
- (10) **კომიუტერი** — ადამიანი, რომელიც რეგულარულად გადაადგილდება საცხოვრებელი ადგილიდან დასახლებათშორის მანძილზე დაშორებული სამუშაოს/სასწავლებლის მიმართულებით. როგორც წესი 1 დღე-ღამის ინტერვალით;
- (11) **კოსმოფოტო** — სატელიტური გადაფრენით შესრულებული ორთოფოტოგადაღება;
- (12) **ლიდარი**⁶ — მიწისზედა გამოყენებითი ფოტო-გრამმეტრიული მეთოდი, რომლისა საშუალებითაც გაიზომება მანძილი ობიექტამდე, მასზე ლაზერის სხივის მიხედვით;
- (13) **ლიმიტაცია** — გარემო ფაქტორების ერთობლიობა, რომლებმაც დაგეგმვის მიზნების ფორმირებისას ინტერესთა შეჯერების პროცესი შეზღუდეს ან შეუძლებელი გახადეს;
- (14) **მაკომპენსირებელი ღონისძიება** — კოდექსის 41-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ღონისძიება, რომელიც აუცილებელია ძირითადი დებულებებით დადგენილი კ¹/კ² ზღვრული მაჩვენებლების გადამეტებისას და რომელსაც უნდა უპასუხოს ინიციატორმა § მოთხოვნათა შესაბამისად.
- (15) **მასშტაბი** — ფიზიკურ გარემოში გაზომილი სხეულების გამოხატვის/გამოხაზვის დროს შემცირების ზომა. ასევე, რუკაზე, გეგმაზე ან სქემაზე მოცემული ხაზების სიგრძის შეფარდება ამ ხაზით გამოხატულ ნამდვილ სიგრძესთან. მასშტაბი სამი სახისაა: რიცხვითი, ხაზოვანი და სიტყვიერი;
- (16) **ორთოფოტოგადაღება** — ტერიტორიის ნაწილის ორთოგონალური პროექციის მსხვილ- ან წვრილ-მასშტაბიანი ფოტოსურათი, რომელიც დისტანციური ზონდირების მეთოდით, დედამიწის დონებრივი სიმრუდის გათვალისწინებით ასახავს ფიზიკურ გარემოს;
- (17) **პროგრამული უზრუნველყოფა** — პროგრამა ან პროგრამების ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება კომპიუტერის სამართავად და ინფორმაციის გადასამუშავებლად;

³ ამის საპირისპიროდ განაშენიანების მართვის გეგმები (გენგეგმა/გ(დ)გ) ასახავენ უფლებრივ გარემოს.

⁴ განაშენიანების, ინფრასტრუქტურის, ლანდშაფტის და/ან სხვა სივრცეების გეგმარებითი გადაწყვეტა.

⁵ საერთაშორისო პრაქტიკაში შესაბამეა — Point of interest, POI.

⁶ ინგლ. აკრონიმი „Light Detection and Ranging“.



ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

დავალება ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N297(პანსიონატი ქარიშხალა) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. N 20.42.01.051) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (გ(დ)გ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევი დოკუმენტებით) შემუშავების თაობაზე

- (18) **საბაზისო რუკა** — გეგმების შემუშავების წესის შესაბამისად, ტერიტორიის სივრცითი განვითარებისა და ფიზიკური გარემოს ფორმირების, მათ შორის მიწათდაფარულობის (არსებული სურათის) ამსახველი, დაგეგმარების საბაზისო დოკუმენტი, რომელიც მზადდება ციფრული (ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემაში) და/ან ბეჭდური (კარტოგრაფიული გეგმის/რუკის) სახით;
- (19) **საზოგადოებრივი სივრცე** — განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში მდებარე ქუჩა, გზა, მოედანი, ხიდი, სკვერი, პარკი, ბაღი, ხეივანი, წყლის ზედაპირი და მისი სანაპირო ზოლი, ბუნებრივი ან ხელოვნური ლანდშაფტი, მიწის ნაკვეთებს შორის გასასვლელი და სხვა მსგავსი ტიპის სივრცეები და/ან მიწის ნაკვეთები, რომლებიც განკუთვნილია ან გადაცემულია საზოგადოებრივი მოხმარებისთვის, მათ შორის საჯარო სერვისების გამოყენებით;
- (20) **საკვლევი არელი** — წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის შემუშავებისთვის საჭირო კვლევების ჩატარების ტერიტორიული ფარგლები და/ან მონაცემების შეგროვების ინფორმაციული არე, რომელიც საწყის ეტაპზე ემთხვევა გეგმარებით ერთეულს და დამატებით დაზუსტდება განაშენიანების გეგმის კონცეფციების შეფასებისას, მერის/სამსახურის გადაწყვეტილებით;
- (21) **საკოორდინატო ბადე** — მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული, ტერიტორიის აბსოლუტური ჰორიზონტალური ნიშნულების ერთობლიობა (WGS 84 კოორდინატთა სისტემასა და UTM პროექციაში), გამოსახული ორთოგონალურ ბადეზე;
- (22) **სამშენებლო პოტენციალი** — ტერიტორიის განაშენიანებისა ან მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების დროს, განაშენიანების მართვის რეგლამენტით მათთვის დადგენილი ქალაქთმშენებლობითი სიმჭიდროვეების და/ან განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ათვისების შესაძლებლობა;
- (23) **საცხოვრებელი სიმჭიდროვე** — ქალაქთმშენებლობითი სიმჭიდროვის ⁷ ნაირსახეობა, სამშენებლო ტერიტორიაზე *საბალანსო ერთეულისთვის* დადგენილი *საცხოვრებელი ერთეულის* ⁸ მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა ან ამავე ტერიტორიის ყოველ 1 ჰა-ზე (სფ/ჰა) ⁹ ან შენობაში (სფ/შ), ¹⁰ დაგეგმვის ამოცანების შესაბამისად;
- (24) **ტოპოგრაფიული (ტოპოგეოდეზიური) გეგმა** — ტერიტორიის ნაწილის ორთოგონალური პროექციის მსხვილ-მასშტაბიანი (არაუმეტეს მ 1:10000) ნახაზი, რომელიც პირობითი აღნიშვნების გამოყენებით, დედამიწის დონებრივი სიმრუდის გათვალისწინების გარეშე ასახავს ფიზიკურ გარემოს;
- (25) **ტოპოგრაფიული (ტოპოგეოდეზიური) რუკა** — ტერიტორიის ნაწილის ორთოგონალური პროექციის წვრილ-მასშტაბიანი (მ 1:10000 მეტი) ნახაზი, რომელიც პირობითი აღნიშვნების გამოყენებით, დედამიწის დონებრივი სიმრუდის გათვალისწინებით ასახავს ფიზიკურ გარემოს;
- (26) **უფლებრივი გარემო** — საქართველოს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილი უფლებების ერთობლიობა, მათ შორის გამოხატული რეგლამენტებში, რეჟიმებში, ვალდებულებებში, საჯარო თუ კერძო ინტერესებში;
- (27) **ფიზიკური გარემო** — ბუნებრივი გარემოსა და კულტურული (ანთროპოგენური) გარემოს ერთობლიობა;
- (28) **ფოტოგრამეტრია** — სამეცნიერო-ტექნიკური დისციპლინა, რომელიც გამოიყენება ობიექტების ფოტოგამოსახულების მიხედვით მათი ფორმების, ზომების, მდებარეობის და მსგავსი სივრცული მახასიათებლების განსაზღვრისთვის;
- (29) **ფოტოფიქსაცია** — ტერიტორიის ფიზიკური გარემოს ასახვა ფოტოგადაღების მეთოდით, კონკრეტულ დროში მისი მდგომარეობის დაფიქსირების მიზნით;
- (30) **ქვედა დონე** — სივრცითი დაგეგმვის ტაქსონომიაში, შესაბამისი კვლევების და დაგეგმვის მიკრო ხასიათი და მიზნები, რომელიც ფოკუსირებულია უფრო მეტად ინდივიდუალური ხასიათის მონაცემებზე და თავისებურებებზე; სადაც დაგეგმვის მიზნები და ამოცანების თავისებურებანი, როგორც წესი, კონცენტრირებულია მთლიანის ნაწილებზე და მათ ფუნქციონირებაზე;

ყველა სხვა ტერმინი, რაც მოცემულია ხელშეკრულების ან წინამდებარე დავალების ტექსტში და არაა განმარტებული ამ მუხლში, გამოიყენება *კოდექსის*, მისი ქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და შესაბამისი სფეროს მოქმედ კანონმდებლობაში გამოყენებული მნიშვნელობითა და/ან მიზნებით.

⁷ გეგმების შემუშავების წესი, დანართი 2: §1.5. (25)
⁸ „ბინა“ – საცხოვრებელ სახლში, ხოლო „სამილე ერთეული“ – ნებისმიერი ტიპის სასტუმროში.
⁹ დგინდება მხოლოდ გენგემაში ან გგ-ში, თუ ის ანაცვლებს გენგემას.
¹⁰ დგინდება მხოლოდ გგ/გ(დ)გ-ში.



ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

დავალება ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N297(პანსიონატი ქარიშხალა) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. N 20.42.01.051) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (გ(დ)გ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევი დოკუმენტებით) შემუშავების თაობაზე

1.2.შესამუშავებული დოკუმენტები

წინამდებარე დავალების საფუძველზე უნდა მომზადდეს და *მერს (სამსახურს ან მერიის შესაბამის უწყებას)* მიეწოდოს, კოდექსით დადგენილი ინტეგრირებული სახით ¹¹ **დაგეგმვის შედეგები** — ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაცია შუალედური (§1.2.1) და საბოლოო სახით (§1.2.2).

1.2.1. შუალედური (მოსამზადებელი) დოკუმენტები

ინიციატორის მიერ უნდა მომზადდეს და მერიას მიეწოდოს შემდეგი **გეგმარებითი ერთეულების შუალედური დოკუმენტები**:

1. **მოსამზადებელი კვლევის შედეგები:**
 - 1.1. საბაზისო მონაცემთა მატრიცა და თანმდევი ანგარიშები;
 - 1.2. საბაზისო რუკა.
2. **განაშენიანების ესკიზი** ¹² და **გ(დ)გ კონცეფცია** (გ(დ)გ *მონახაზი*); ¹³
3. **სკრინინგის განცხადება** ¹⁴ / **სკოპინგის ანგარიში** და **სგშ-ის** ანგარიში.

1.2.2. საბოლოო (ქალაქთმშენებლობითი) დოკუმენტები

წინამდებარე დავალების საფუძველზე უნდა მომზადდეს და მერიას მიეწოდოს შემდეგი დოკუმენტები:

- 1) მიწის ნაკვეთების მონაცვლების გეგმა;
- 2) ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმა;
- 3) **განაშენიანების დეტალური გეგმა** (გ(დ)გ).

1.3.საწყისი მონაცემები

1.3.1. დაგეგმვის საჭიროება

კოდექსის მიხედვით, სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის საჭიროება არის სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის მიზნების, ამოცანებისა და ძირითადი პრინციპების საფუძველზე განსაზღვრული პრიორიტეტი და აუცილებლობა, რომლებსაც ადგენს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო (ამ შემთხვევაში *მერი/სამსახური*). *გეგმების შემუშავების წესის* თანახმად კი, დაგეგმარების საჭიროების შემთხვევაში, გეგმების შემუშავება აუცილებელია. ¹⁵ იმავე წესის მე-5 მუხლის, მე-2 პუნქტით გათვალისწინებულია გ(დ)გ შემუშავების ინიცირების სავალდებულობა, როდესაც არსებობს კვემთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი გარემოება მაინც:

- ა) მიწის ნაკვეთებისათვის ძირითადი დებულებებით განსაზღვრული კვლევის საფუძველზე შეუძლებელია განაშენიანების რეგლამენტების დადგენა.
- ბ) ხორციელდება უშენი ტერიტორიის განაშენიანება;
- გ) კოდექსის 67-ე მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში, როცა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენება იწვევს საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათის ცვლილებებს (მათ შორის, ინფრასტრუქტურული მოწყობის, განაშენიანების სივრცით-გეგმარებითი წყობის, ტერიტორიის/ზონის ფუნქციური გამოყენების ჩამოყალიბებული/დაგეგმილი ბალანსის და განაშენიანების სხვა მსგავსი მახასიათებლების ცვლილებას);
- დ) გენერალური გეგმით/განაშენიანების გეგმით განსაზღვრულ შემთხვევებში.

¹¹ საჭიროების შემთხვევაში მათგან შესაძლებელია გამოცალკევდეს და დამოუკიდებელ გეგმად დამუშავდეს/მიეწოდოს შემსყიდველს დარგობრივი მიმართულებები (მაგ. საერთო სარგებლობის ტერიტორიების განვითარება; გამწვანებული ტერიტორიების დაცვა და განვითარება - ტექსონომიური ღონის შესაბამისად).

¹² განვითარების ხედვის მაგიერ, რადგან გ(დ)გ პროექტზე ორიენტირებულია.

¹³ კოდექსის მიხედვით „გეგმის კონცეფცია“ არ გულისხმობს ცალკე აღებულ და/ან მხოლოდ „სივრცის განვითარების კონცეფციას“, არამედ უპირველესად — გეგმის საშუალო ვარიანტს, **მონახაზს** (შდრ. საერთაშორისო პრაქტიკაში ინგლისური „Draft plan“ და გერმანული „Planentwurf“).

¹⁴ იგი უნდა მოიცავდეს მოკლე ინფორმაციას სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნების, ამოცანებისა და ღონისძიებების შესახებ.

¹⁵ *გეგმების შემუშავების წესი*, მუხლი 4 და 5. (25)



ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

დავლება ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N297(პანსიონატი ქარიშხალა) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. N 20.42.01.051) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (გ(დ)გ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევი დოკუმენტებით) შემუშავების თაობაზე

გამომდინარე იქიდან, რომ გეგმარებითი ერთეულში **დაგეგმილი ცვლილებების მიზანია** (იხ. მომდევნო პარაგრაფი) დადგენილი ფუნქციური ზონის ცვლილება ასევე დადგენილი ¹⁶ კ¹ მაჩვენებლის გადამეტება, დადგენილი სიმაღლის გადამეტება (კ² მაჩვენებლის დადგენა) და კ³ მაჩვენებლის შემცირება რაც წარმოადგენს საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათის ცვლილებებს და ამასთან *კოდექსის* ¹⁷ 41-ე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი კ² მაჩვენებლის გადამეტების საფუძველია მხოლოდ გ(დ)გ, სახეზეა დაგეგმვის საჭიროება.

1.3.2. დაგეგმილი ცვლილებების მიზანი

გეგმარებითი ერთეულში დაგეგმილი ცვლილებების მიზანია ¹⁸

ჩვენს საკუთრებაში/დანიტრეესებაში არსებული უძრავი ნივთის (მიწის ნაკვეთი ს/კ. 20.42.01.051) **განვითარების მიზანია** საპროექტო ტერიტორიაზე მოეწყოს სრულყოფილი ინფრასტრუქტურის მქონე მრავალფუნქციური კომპლექსი.

ვინაიდან ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დოკუმენტით დამტკიცებული ფუნქციური ზონირების რუქის მიხედვით საპროექტო ტერიტორიის არეალი წარმოადგენს ლანდშაფტის ტერიტორიას და სამშენებლოდ დასახული მიზნის ხორცმესხმის საშუალებას არ იძლევა განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების მიზანს წარმოადგენს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დადგენილი ზონის ცვლილების მოთხოვნა, რაც აისახება შედეგში:

საპროექტო ტერიტორიის საზღვრებში **ლანდშაფტის ტერიტორიის** ზონა შეიცვალოს **საკურორტო-სარეკრეაციო ზონით (შზ-4)**, რომელიც წარმოადგენს შერეული ზონის ქვეზონას და ემსახურება დასასვენებელი ან/და სამკურნალო დანიშნულების შენობა-ნაგებობების ფუნქციონირებას.

2019 წლის 3 ივნისის ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება №261 შესაბამისად საკურორტო-სარეკრეაციო ზონაში (შზ-4), დადგენილი კოეფიციენტებია:

- კ-1= 0,2
- კ-2= განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლეა 15 მ* (გამონაკლისი რეგულირდება გდგ-ით)
- კ-3= 0,8

ხოლო განაშენიანების დეტალური გეგმით მოთხოვნილი საპროექტო პარამეტრები განისაზღვრულია შემდეგნაირად :

- კ-1= 0,2 მოშენების ფართობი 3123.6 კვ.მ (რჩება უცვლელი)
- კ-2= 3.0 მოშენების ინტენსივობის ფართობი 46854 კვ.მ (მოთხოვნილია კ-2 კოეფიციენტის გაზრდა)
- კ-3= 0,2 გამწვანების ფართობი 3123.6 კვ.მ (მოთხოვნილია კ-3 კოეფიციენტის შემცირება)



ილ. 1. დაგეგმილი ცვლილება გეგმარებით ერთეულში. პირველადი ვერსია. ვიზუალიზაცია ციფრული მაკეტში.

ილ. 2. დაგეგმილი ცვლილება გეგმარებით ერთეულში. პირველადი ვერსია. ვიზუალიზაცია ადგილის გეგმაში.

¹⁶ გენგეგმით, განაშენიანების გეგმით ან ფაქტობრივი განაშენიანებით.

¹⁷ N3213-რს, 20.07.2018 წ.

¹⁸ როგორც ეს მოცემულია მოცემულია ინიციატორის _ _ _ წ. განცხადება N _ _ _.



ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

დავლება ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N297(პანსიონატი ქარიშხალა) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. N 20.42.01.051) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (გ(დ)გ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევი დოკუმენტებით) შემუშავების თაობაზე

1.3.3. გეგმარებითი ერთეული



ილ. 3. გეგმარებითი ერთეულის (და საკვლევი არეალის) დაზუსტებული საზღვარი (ნიმუში).¹⁹

1.3.3.1. საზღვრები

გეგმარებითი ერთეულის საზღვრები იხ. დანართი ნაწილი §3.1. *მერს/სამსახურს* შეუძლია მოსამზადებელი კვლევის პროცესში გამოვლენილი საჭიროებების შემთხვევაში დააზუსტოს გეგმარებითი ერთეულის საზღვრები, *გეგმების შემუშავების წესის* შესაბამისად.

1.3.3.2. აღწერა

გეგმარებითი ერთეული მდებარეობს ქობულეთის მუნიციპალიტეტში, დავით აღმაშენებლის გამზირი N642-დან (ს.კ 20.42.01.285) N700-მდე (20.42.01.066) გადასასვლელებს შორის განლაგებულ მიწის ნაკვეთებზე და მათი ფართი შეადგენს 3,0 ჰექტარს.

გეგმარებითი ერთეული განლაგებულია სანაპირო ზოლის ერთ-ერთ უალმაზეს ადგილზე დავით აღმაშენებლის გამზირისა და თამარ მეფის სანაპიროს შორის, ყოფილი „პანსიონატ ქარიშხალა“-ს და მის მიწმდებარედ ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხრებიდან მდებარე ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნაკვეთებზე, სადაც განლაგებულია საზოგადოებრივი სკვერები და დავით აღმაშენებლის გამზირიდან თამარ მეფის სანაპიროზე გადასასვლელი გზები, აღმოსავლეთის მხრიდან დავით აღმაშენებლის გამზირი და დაბალი ინტენსივობის მქონე განაშენიანება, ხოლო დასავლეთის მხრიდან თამარ მეფის სანაპირო, პლაჟი და შავი ზღვა, რომლებიც წარმოადგენს საზოგადოებრივ სივრცეს.

საპროექტო ტერიტორიის რელიეფი დახრის მიმართ თითქმის უცვლელია, გაშენებულია აკუმულაციურ ალუვიულ ვაკეზე; ზღვის დონიდან 3-5 მეტრის სიმაღლეზე. მისი კოორდინატებია - ჩრდილოეთის განედის 41049' და აღმოსავლეთის გრძედის 41047'.იგი

¹⁹ გეგმების შემუშავების წესის დანართი N5-ის, მე-9 პუნქტის შესაბამისად.



ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

დავლება ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N297(პანსიონატი ქარიშხალა) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. N 20.42.01.051) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (გ(დ)გ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევი დოკუმენტებით) შემუშავების თაობაზე

შედგება ქვიშა ხრეშოვანი გრუნტისაგან. სეისმური დარაიონების რუქის შესაბამისად ტერიტორია მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმურ ზონას.

1.4.საერთო მითითებები სამუშაოების წარმართვისთვის

1.4.1. საფუძვლები

1.4.1.1. მიზანი

გეგმარებითი ერთეულის დაგეგმვის მიზანი და შესაბამისად გ(დ)გ მიღების მიზანია, გეგმარებით ერთეულში (იხ. §2.1) ინიციატორის მიერ დაგეგმილი ცვლილებების (იხ. §1.3.1) დაინტერესებულ პირებთან / დარგობრივ საკითხებთან შეჯერება და დაბალანსებული განვითარების მიღწევა. აღნიშნულისთვის აუცილებელია გეგმარებით ერთეულში საბაზისო მონაცემებისა და დარგობრივი კვლევების საფუძველზე, განვითარების საერთო და შეჯერებული ხედვის ჩამოყალიბება, შესაბამისი სტრატეგიის (პრიორიტეტები და რიგითობა) შემუშავება და გ(დ)გ-ში ასახვა, რათა შემდგომ გეგმის იმპლემენტაციის ეტაპზე, მიღწეულ იქნას დაბალანსებული და მდგრადი განვითარება, საჯარო თუ კერძო ინვესტიციების ფარგლებში.

1.4.1.2. ამოცანები

გეგმარებითი ერთეულის დაგეგმვის მიზნის მისაღწევად, საჭიროა გადაჭრილ იქნას შემდეგი სახის დაგეგმვის ამოცანები:

- საჯარო და კერძო ინტერესების, მათ შორის დარგთაშორისი შესაძლო აცდენების/კონფლიქტების, დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების მაქსიმალური დაახლოვება და ურთიერთშეთანხმება განაშენიანების მართვის საკითხებში;
- მაკომპენსირებელი ღონისძიების განსაზღვრა, გეგმების შემუშავების წესის და ამ დავალების შესაბამისად.

1.4.1.3. პრინციპები

კოდექსის თანახმად, სივრცის დაგეგმარება და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვა ემყარება მდგრადი განვითარების პრინციპებს, რომლებიც უზრუნველყოფს შესაბამისი ტერიტორიის გამოყენებისა და განვითარების ეკონომიკური და სოციალური წინაპირობების ჰარმონიზაციას საგანგებო სიტუაციების რისკის შემცირების და გარემოსდაცვით მოთხოვნებთან. აქედან გამომდინარე, დაცულ უნდა იქნას კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი დაგეგმვის პრინციპები.

1.4.1.4. სახელმძღვანელო დოკუმენტები

დაგეგმვაში გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოში მოქმედი, როგორც ნორმატიულ-სამართლებრივი, ისე საუკეთესო გამოცდილების მაგალითები.

ქვემოთ მოცემულია გეგმის შემუშავების პროცესში გამოსაყენებლად სავალდებულო სახელმძღვანელო დოკუმენტები:²⁰

ნორმატიული	შინაარსი	წყარო
კონსტიტუციური კანონი	საქართველოს კონსტიტუცია	(1)
ორგანული კანონი	ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი	(2)
კანონი	საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი	(3)
კანონი	გარემოს დაცვის შესახებ	(4)
კანონი	კულტურული მემკვიდრეობის შესახებ	(5)
კანონი	კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ	(6)
კანონი	გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი	(7)
კანონი	წყლის შესახებ	(8)
კანონი	ტყის კოდექსი	(9)
კანონი	საქართველოს ზღვისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ	(10)

²⁰ სამართლებრივი აქტები განხილულ უნდა იქნეს ცვლილებებითა და დამატებებით.



ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

დავალება ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N297(პანსიონატი ქარიშხალა) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. N 20.42.01.051) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (გ(დ)გ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევი დოკუმენტებით) შემუშავების თაობაზე

კანონი	საზღვაო კოდექსი	(11)
კანონი	დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ	(12)
კანონი	საავტომობილო გზების შესახებ	(13)
კანონი	საგზაო მოძრაობის შესახებ	(14)
კანონი	საქართველოს სარკინიგზო კოდექსი	(15)
კანონი	სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ	(16)
კანონი	ტურიზმისა და კურორტების შესახებ	(17)
კანონი	კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ	(18)
კანონი	ნარჩენების მართვის კოდექსი	(19)
კანონი	გეოდეზიური და კარტოგრაფიული საქმიანობის შესახებ	(20)
კანონი	სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ	(21)
პრეზიდენტის ბრძანებულება	საქართველოში სახელმწიფო გეოდეზიურ კოორდინატორთა სისტემის შესახებ	(22)
მთავრობის დადგენილება	საქართველოს კურორტების ნუსხა და სტატუსი	(23)
მთავრობის დადგენილება	ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების ძირითადი დებულებების შესახებ	(24)
მთავრობის დადგენილება	სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ	(25)
მთავრობის დადგენილება	ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები	(26)
მთავრობის დადგენილება	მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონები	(27)
მთავრობის დადგენილება	საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის შესახებ	(28)
მთავრობის დადგენილება	საქართველოს მცირე მდინარეების წყალდაცვითი ზოლების (ზონების) შესახებ	(29)
მთავრობის დადგენილება	წყალდაცვითი ზოლის შესახებ	(30)
მთავრობის დადგენილება	ტექნიკური რეგლამენტი — სამშენებლო კლიმატოლოგია	(31)
მთავრობის დადგენილება	ტექნიკური რეგლამენტი — სეისმოდეფი მშენებლობა	(31)
სხვა	შინაარსი	
სნდწ	ქალაქთმშენებლობა. ქალაქისა და სოფლის დასახლების დაგეგმარება და განაშენიანება.	(34)
სტანდარტი	УСЛОВНЫЕ ЗНАКИ ДЛЯ ТОПОГРАФИЧЕСКИХ ПЛАНОВ МАСШТАБОВ 1:5000, 1:2000, 1:1000, 1:500	(35)

1.4.1.5. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

ქვემოთ მოცემულია დაგეგმვის წარმოებისთვის და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებისთვის საჭირო მინიმალურად აუცილებელი მოთხოვნები (მაგ. სადაც მოთხოვნილია სერთიფიკატი, იქ დიპლომი უპირატესია, სადაც მოთხოვნილი ბაკალავრის ხარისხი, იქ მაგისტრი ან უფრო მაღალი ხარისხი უპირატესია და ა.შ.), რასაც პროფესიული თვალსაზრისით უნდა აკმაყოფილებდეს მიმწოდებელი ან მისი სპეციალისტები.

დაგეგმვაში მიმწოდებლად განიხილება ფიზიკური პირ(ებ)ი, იურიდიული პირ(ებ)ი ან ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით გაერთიანებული პირები, რომელთაც თავისი პასუხისმგებლობით ქირაობს ან თავად არის ინიციატორი.

მიმწოდებელს უნდა შეეძლოს სხვადასხვა დარგის სპეციალისტების მობილიზება როგორც ამ დავალებით განსაზღვრული სამუშაოების შესასრულებლად, ისე მიღებული შედეგების საჯარო განხილვებზე წარსადგენად. სპეციალისტებს მიმართ მინიმალური მოთხოვნები მოცემულია ცხრილი 2-ში, სადაც **წითლად** გამოყოფილია სავალდებულო პოზიციები, ხოლო **შავად** — ფაკულტატიური.

თითოეულ სპეციალისტს უნდა გააჩნდეს ეროვნულ დონეზე აღიარებული სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება. აღნიშნული უნდა საბუთდებოდეს დოკუმენტურად: კვალიფიკაცია შესაბამისი სასწავლებლის ²¹ მიერ გაცემული მოწმობით (დიპლომი, სერთიფიკატი და მსგავსი), ხოლო გამოცდილება — მოკლე ბიოგრაფიული ცნობებით და დამატებით (მერიის მოთხოვნისამებრ) შრომის წიგნაკით / დამსაქმებლის ცნობით / ხელშეკრულების ასლით.

²¹ მათ შორის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული.



ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

დავალება ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N297(პანსიონატი ქარიშხალა) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. N 20.42.01.051) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (გ(დ)გ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევი დოკუმენტებით) შემუშავების თაობაზე

დასაშვებია ერთიდაიგივე პირმა დაიკავოს 3 პოზიცია, თუ მას ხელს უწყობს პროფესიული ცოდნა/უნარები და გამოცდილება. დაუშვებელია 4 და მეტი პოზიციის ერთდროულად დაკავება. სპეციალისტები შეიძლება მობილიზებულ იქნენ სხვადასხვა იურიდიული პირების მიერ, სადაც კი ქვე-კონტრაქტი დაშვებულია წინამდებარე დოკუმენტით.

ცხრილი 1. სახელმძღვანელო დოკუმენტების ნუსხა.

პერსონალი	პოზიცია	მინ. #	კვალიფიკაცია/კომპეტენცია და გამოცდილება	რეფერენსი
პროექტის მმართველი ²²	საერთო ხელმძღვანელი / კოორდინატორი	1	<ul style="list-style-type: none"> მაგისტრის ხარისხი ბიზნეს ადმინისტრირების / პროექტების მართვის განხრით; 3-წლიანი გამოცდილება დაგეგმვის პროექტების მართვაში. 	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი
ქალაქდამგეგმავი ²³ / მიწათსარგებლობის დამგეგმავი ²⁴	დაგეგმვის ხელმძღვანელი	1	<ul style="list-style-type: none"> მაგისტრის ხარისხი დაგეგმვის განხრით. 3-წლიანი გამოცდილებით დაგეგმვაში. 	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი
ქალაქგეგმარბელი	დაგეგმარების ხელმძღვანელი	1	<ul style="list-style-type: none"> მაგისტრის ხარისხი დაგეგმვის განხრით. 3-წლიანი პროფესიული გამოცდილება დაგეგმარებაში. 	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი
კონსერვატორი / რესტავრატორი / ხელოვნებათმცოდნე	წამყვანი სპეციალისტი	1	<ul style="list-style-type: none"> მაგისტრის ხარისხი არქიტექტურაში და/ან ჰუმანიტარულ მეცნიერებებში; 2-წლიანი პროფესიული გამოცდილება კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებთან მუშაობაში. 	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი
სოციოლოგი	წამყვანი სპეციალისტი	1	<ul style="list-style-type: none"> მაგისტრის ხარისხი სოციოლოგიის განხრით; 2-წლიანი პროფესიული გამოცდილება. 	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი
მიწისა (საკუთრების) და კადასტრის სპეციალისტი	წამყვანი სპეციალისტი	1	<ul style="list-style-type: none"> ეროვნულ დონეზე აღიარებული შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციისა და/ან ექსპერტული ცოდნის მქონე მიწის მართვის საკითხებში. 2-წლიანი პროფესიული გამოცდილება. 	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი
საინჟინრო ინფრასტრუქტურის სპეციალისტი	წამყვანი სპეციალისტი	1	<ul style="list-style-type: none"> ბაკალავრის ხარისხი სამოქალაქო ან საინჟინრო ინფრასტრუქტურის განხრით და/ან ექსპერტული ცოდნის მქონე ინფრასტრუქტურულ ინჟინერიაში. 2-წლიანი გამოცდილება დასახლებებში საინჟინრო ინფრასტრუქტურის დაპროექტებაში. 	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი
სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სპეციალისტი	წამყვანი სპეციალისტი	1	<ul style="list-style-type: none"> ბაკალავრის ხარისხი სატრანსპორტო დაგეგმვაში ან სატრანსპორტო ინჟინერიაში, საგზაო მოძრაობის ან ტრანსპორტის მართვის მიმართულებით. 2-წლიანი გამოცდილებით დასახლებებში საგზაო მოძრაობის (რე)ორგანიზების სტრატეგიის შემუშავებაში. 	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი
ეკოლოგიის სპეციალისტი/ ეკოსისტემების მართვის სპეციალისტი	წამყვანი სპეციალისტი	1	<ul style="list-style-type: none"> ბაკალავრის ხარისხი ეკოლოგიაში ან ეკოსისტემების მართვაში, ან გარემოს დაცვის საკითხებში; 2-წლიანი გამოცდილება სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებების (სგშ) და/ან გარემოზე ზემოქმედების შეფასებების (გზშ) წარმოებაში. 	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი

²² საერთაშორისო პრაქტიკაში — [Project Manager](#).

²³ საერთაშორისო პრაქტიკაში — [Urban Planner](#).

²⁴ საერთაშორისო პრაქტიკაში — [Land\(Use\) Planner](#).



ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

დავალეზა ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N297(პანსიონატი ქარიშხალა) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. N 20.42.01.051) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (გ(დ)გ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევი დოკუმენტებით) შემუშავების თაობაზე

გეო-ინფორმაციული სისტემების (GIS) სპეციალისტი	წამყვანი სპეციალისტი	1	<ul style="list-style-type: none"> ეროვნულ დონეზე აღიარებული შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე და/ან ექსპერტული ცოდნის მქონე გის სპეციალისტი; GIS პროგრამული უზრუნველყოფის (§2.5) სრულყოფილი ცოდნა. 2-წლიანი პროფესიული გამოცდილება. 	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი
იურისტი	სპეციალისტი	1	<ul style="list-style-type: none"> ბაკალავრის ხარისხი იურისპრუდენციაში. 2-წლიანი პროფესიული გამოცდილება. 	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი
არქიტექტორი	სპეციალისტი	1	<ul style="list-style-type: none"> ბაკალავრის ხარისხი არქიტექტურაში. ავტომატიზებული დაპროექტების სისტემის (CAD) და კომპიუტერული მოდელირების შესაბამისი პროგრამების სრულყოფილი ცოდნა. 2-წლიანი პროფესიული გამოცდილება. 	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი
კარტოგრაფი	სპეციალისტი	1	<ul style="list-style-type: none"> ბაკალავრის ხარისხი კარტოგრაფიაში და/ან გეოგრაფიაში. 2-წლიანი პროფესიული გამოცდილება. 	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი
ტოპოგრაფი / გეოდეზისტი	სპეციალისტი	1	<ul style="list-style-type: none"> ბაკალავრის ხარისხი გეოდეზიაში და/ან ექსპერტული ცოდნის მქონე ტოპოგრაფიაში. ავტომატიზებული დაპროექტების სისტემის (CAD) და კომპიუტერული მოდელირების შესაბამისი პროგრამების სრულყოფილი ცოდნა. 2-წლიანი პროფესიული გამოცდილება ტოპოგრაფიული რუკების/გეგმების შედგენაში. 	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი
რედაქტორი	სპეციალისტი	1	<ul style="list-style-type: none"> ბაკალავრის ხარისხი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, ინგლისურ ენაში, კომუნიკაციებში ან ჟურნალისტიკაში. 1-წლიანი პროფესიული გამოცდილება. 	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი
საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი	სპეციალისტი	1	<ul style="list-style-type: none"> ბაკალავრის ხარისხი კომუნიკაციაში ან სოციოლოგიაში. 1-წლიანი პროფესიული გამოცდილება. 	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი

ცხრილი 2. მიმწოდებლის პროფესიული უნარები და გამოცდილება.

მიმწოდებლის გამოცდილების ამსახველი დოკუმენტები, აისახება დავალებით განსაზღვრულ დოკუმენტაციაში. ინიციატორი ვალდებულია მოთხოვნის შემთხვევაში სპეციალისტთა გამოცდილების ამსახველი დოკუმენტაცია წარადგინოს საჯარო განხილვებზე.

1.4.2. დაგეგმვის სტრატეგია

ვიდრე წინამდებარე დავალებით გათვალისწინებული დოკუმენტები (§1.2.3) მომზადდებოდეს, მიმწოდებელმა უნდა გაითვალისწინოს ყველა ის განმაპირობებელი ფაქტორები და ლიმიტაციები, რომელთა გარეშეც მომზადებული დოკუმენტები გახდება საპროექტო მომსახურების მიზნებთან შეუთავსებელი.

დაგეგმვის პროცესის და ქალაქთმშენებლობითი გეგმის კომპლექსური ბუნებიდან გამომდინარე, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება გეგმის შემუშავების მეთოდებში ინტეგრირებულ, ყოვლისმომცველ და თანმიმდევრულ (ე. წ. ნაბიჯ-ნაბიჯ) მიდგომებს, რაც სავალდებულო უნდა იყოს პროცესის ყველა მონაწილისა და დაინტერესებული პირისთვის. სწორედ ამიტომ, დაგეგმვის გუნდმა დასაწყისშივე უნდა გაიზროს პროცესზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე ფაქტორები და მათი გათვალისწინებით შეუდგეს კონკრეტულ სამოქმედო გეგმის შედგენას.

დაგეგმვის ეფექტიანობა, მეთოდოლოგიური გამართულობის გარდა, განისაზღვრება იმითაც, რომ დაგეგმილი ცვლილებები (მათ შორის არასასურველი ცვლილებების პრევენცია) მიღებული და შეთანხმებული უნდა იყოს ყველა ჩართული მხარის მიერ. გამომდინარე აღნიშნულიდან, დაგეგმვის პროცესში გადამწყვეტი როლი ენიჭება ინტერესთან შეჯერების პროცესს. ინტერესთა შეჯერება წარმოებს საჯარო და კერძო ინტერესების, მათ შორის საყოველთაოდ აღიარებული ფასეულობების და ეკონომიკური სარგებლის დაბალანსების გზით. საჭიროების შემთხვევაში, ინტერესთა შეჯერების პროცესში წარმოდგენილი და გათვალისწინებული უნდა იქნეს დაგეგმვის ალტერნატიული გადაწყვეტები.²⁵

²⁵ კოდექსი, მუხლი 9.



ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

დავალება ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N297(პანსიონატი ქარიშხალა) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. N 20.42.01.051) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (გ(დ)გ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევი დოკუმენტებით) შემუშავების თაობაზე

საჯარო ინტერესებს ობიექტურად განეკუთვნება დარგობრივი ინტერესები (კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვა, სასიცოცხლო მნიშვნელობის ინფრასტრუქტურა დ ა.შ.), მათ წარმოადგენენ, როგორც უფლებამოსილი სახელმწიფო უწყებები, ისე საზოგადოების მსხვილი ინტერეს-ჯგუფები (არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნეს წრეები და რიგითი მოქალაქეები) ან ცალკეული პირები.

დაგეგმვის საჯაროობას და დაინტერესებულ სახელმწიფო უწყებებთან კოორდინაციას უზრუნველყოფს მერია, რისთვისაც ის დაგეგმვის მთელს პერიოდში ოფიციალურ ვებ გვერდზე პროაქტიულად გამოაქვეყნებს ინფორმაციას, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით. ²⁶ ასევე საჭიროების შემთხვევაში, მერია უზრუნველყოფს მისთვის მიწოდებულ დოკუმენტებზე სგშ პროცედურების ინიცირებას, ²⁷ და არსებობის შემთხვევაში საიდუმლო დოკუმენტების დამუშავებას, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით. ²⁸

თავის მხრივ **ინიციატორმა უნდა უზრუნველყოს** დაგეგმვის მთელს პერიოდში, დაინტერესებულ პირთა **მოსაზრებების პერიოდული შეგროვება და მერიასთან ანგარიშგება.**

ზემოაღნიშნული გათვალისწინებით, ინიციატორმა/მიმწოდებელმა სამუშაოები უნდა წარმართოს ქვემოთ მოცემული ნაბიჯების გათვალისწინებით:

1.4.2.1. ფაზა I — ორგანიზაციული ჩარჩო

საწყის ფაზაში უნდა შეიქმნას დაგეგმვის მთლიანი პროცესის ორგანიზაციული ჩარჩო. ამ მიზნით, უნდა ჩატარდეს ინიციატორის/მიმწოდებლის და სამსახურის მიერ ორგანიზებული სამუშაო შეხვედრები. სადაც, ასევე სასურველია მოწვეულ იქნენ სხვა დაინტერესებული მხარეები (სამინისტრო, გეგმარებითი ერთეულში არსებული უძრავი ნივთ(ებ)ის მესაკუთრე(ები) და/ან მოსარგებლეები).

შემდეგი ნაბიჯია, *გეგმების შემუშავების წესის* შესაბამისად, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს პროცესის დაწყების და მიმდინარეობის საჯაროობა: ინიციატორმა თვალსაჩინო ადგილას (საჯარო გზის მხარეს) უნდა განათავსოს *საინფორმაციო დაფა* (დანართში მოცემული სახით), ხოლო მერიამ/სამსახურმა — ინფორმაცია გეგმის შემუშავებზე ინიციტივის თაობაზე გადაწყვეტილება და სხვა რელევანტური ინფორმაცია უნდა გამოაქვეყნოს პროაქტიულად.

ინიციატორის/მიმწოდებლის მიერ ორგანიზებული შეხვედრების შედეგად უნდა განხორციელდეს დაინტერესებულ მხარეთა ფართო ჯგუფის ანალიზი და მათ შორის ურთიერთდამოკიდებულებების განსაზღვრა. ამის შედეგად, გამოვლინდება ძირითადი დაინტერესებული მხარეები, რომლებიც ყველაზე აქტიურად იქნებიან ჩართული დაგეგმვის პროცესში. მიმწოდებლის მიერ უნდა განისაზღვროს მათი ფუნქციები და ურთიერთკავშირები, ჩამოყალიბდეს ინფორმაციის გავრცელებისა და გაცვლის ერთიანი მიდგომა / საშუალება.

თითოეული შეხვედრა დაინტერესებულ მხარეებთან აუცილებელია დოკუმენტირებულ იქნას შეხვედრის ოქმის გაფორმებით და ფოტოგადაღებით. ოქმს ხელს აწერს ინიციატორი, მიმწოდებელი და მერიის/სამსახურის სპეციალურის წარმომადგენელი. შეხვედრის შესახებ ინიციატორი მერიას განცხადებით აცნობებს არანაკლებ 3 სამუშაო დღით ადრე. თუ მერიის მხრიდან შეხვედრას ვერ ესწრება წარმომადგენელი, მან ამის თაობაზე უნდა უპასუხოს ინიციატორს შეხვედრამდე 1 სამუშაო დღით ადრე. ასეთ შემთხვევაში ოქმს აფორმებს და ამოწმებს მიმწოდებლის წარმომადგენელი. ²⁹

1.4.2.2. ფაზა II — საწყისი მონაცემების გააზრება

ამ ფაზაში კამერალურად წარმოებს *გეგმარებითი ერთეულის* შიგნით არსებული მდგომარეობის პირველადი მონაცემების (*ინტეგრირებული წერილობითი და გრაფიკული სახით*) შეგროვება, *გეგმების შემუშავების წესის* შესაბამისად. **მონაცემთა იერარქიულობისა და მრავალფეროვნების პირობებში, მონაცემები საჭიროებს სწორ სისტემატიზაციას.** ამისათვის, საწყისი მონაცემების შეგროვება და ანალიზიც უნდა წარმართოს თემატურად, დარგობრივი კუთვნილების გათვალისწინებით. ამისათვის, სასურველია [მონაცემთა მატრიცა](#) თავიდანვე იქნეს გამოყენებული.

²⁶ კოდექსი: მუხლი 13.

²⁷ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დოკუმენტებზე.

²⁸ „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დოკუმენტებზე.

²⁹ ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობისას გასათვალისწინებელია, რომ ვადები აითვლება სამუშაო დღეების მიხედვით.



ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

დავლება ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N297(პანსიონატი ქარიშხალა) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. N 20.42.01.051) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (გ(დ)გ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევი დოკუმენტებით) შემუშავების თაობაზე

ამის შემდგომ, მიმწოდებელმა უნდა შეაფასოს თუ რა მონაცემები/ინფორმაცია აკლია თითოეულ სფეროში და შეადგინოს შემდეგი ნაბიჯის სამუშაოების გეგმა.

1.4.2.3. ფაზა III — მოსამზადებელი კვლევა (საველე სამუშაო და მონაცემთა ანალიზი)

შედგენილი სამოქმედო გეგმისა და *საწყისი მონაცემების* შეფასების საფუძველზე, უნდა ჩატარდეს საველე სამუშაო(ებ)ი, რომელიც ერთის მხრივ ორიენტირებული იქნება კვლევებში მოყვანილი ინფორმაციისა და მითითებების/რეკომენდაციების გადამოწმებაზე და მეორეს — მხრივ კამერალურად მიუწვდომელი არსებული მონაცემების შეგროვებაზე, რომელიც მნიშვნელოვანია დაგეგმვისთვის.

საველე სამუშაოების დასრულების შემდეგ, მიმწოდებელი ზედმიწევნით გადაამოწმებს მიღებულ მონაცემებს (რეფერენსირება) და დაასრულებს კვლევას, მიღებული შედეგების ანალიზით. ანალიზი უნდა განხორციელდეს *გეგმების შემუშავების წესის* მოთხოვნათა შესაბამისად.

მოპოვებული ინფორმაცია *გეგმარებითი ერთეულის* არსებული მდგომარეობის შესახებ უნდა დამუშავდეს გის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით (§2.5.). ამავე ნაბიჯზე მიმწოდებლის მოეთხოვება დადგენილი მნიშვნელოვანი ასპექტების გარდაქმნა დაგეგმარების სამუშაოებად.

1.4.2.4. ფაზა IV — განაშენიანების ესკიზი და გ(დ)გ კონცეფცია

წინა ფაზაში მოძიებული და გაანალიზებული ინფორმაციის საფუძველზე, *გეგმარებითი ერთეულში* დაგეგმილი ცვლილებების პირველადი (*ინიციატორის მიერ შემოთავაზებული*) ვერსია უნდა გადამუშავდეს და ჩამოყალიბდეს *ცვლილებების ერთი შეჯერებული ვარიანტი* ან *ალტერნატიული ვარიანტები*.³⁰ მათი საშუალებით პასუხი გაეცემა მთავარ შეკითხვას – „როგორ გეგმარებით ერთეულს ვხედავთ მომავალში?“ აქ უმთავრესია რეალისტური მიდგომა და მიზნების მიღწევადობა. ამისათვის რეკომენდებულია მოკლე და საშუალო ვადიანი მიზნების დასახვა.

აუცილებელია ობიექტურ რეალობებზე დაფუძნებული ოპტიმალური მასშტაბის,³¹ განხორციელების მაღალი შესაძლებლობის მქონე ვარიანტ(ებ)ის შემუშავება. არარეალისტური გადაწყვეტების გაცხრილვისთვის გამოყენებულ უნდა იქნას როგორც მინიმუმ: ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების შედარებით ანალიზის მეთოდი.³²

ამავე ფაზაში წარმოებს კ¹/კ² ზღვრული მაჩვენებლების *მაკომპენსირებელი ღონისძიებების* დასახვა (§1.4.4). ინტერესთა შეჯერების პროცესში აქტიურად უნდა იქნენ ჩართულნი ძირითადი დაინტერესებული მხარეები. ამ პროცესში მიზანშეწონილია ერთობლივი განხილვის მიზნით, ინიციატორმა გამართოს სამუშაო შეხვედრები დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით. შეჯერებული ვარიანტ(ებ)ი აისახება განაშენიანების ესკიზში (იხ. §2.2), ხოლო მის საფუძველზე ინიციატორს ევალება გ(დ)გ კონცეფციის მომზადება, *გეგმების შემუშავების წესის* შესაბამისად, სადაც დაგეგმილი ცვლილებები დადგენილი პირობითი აღნიშვნებისა და ანოტაციის საშუალებით, მიწათსარგებლობის ენაზეა გადმოცემული (ზონირება, პარამეტრები, რეგლამენტი და ა.შ.).³³ კონსესუსის მიუღწევლობის შემთხვევაში: განაშენიანების ესკიზში და გ(დ)გ კონცეფციის საბოლოო ვერსიაში უნდა დარჩეს მხოლოდ კრიტიკულად განსხვავებული ვარიანტები, რაზეც საბოლოოდ უნდა მომზადდეს სგშ ანგარიში (ასეთის საჭიროების შემთხვევაში), საბოლოო შეჯერება წარმოებს მერიის მიერ გეგმის კონცეფციის ადმინისტრაციული განხილვის ეტაპზე.

1.4.2.5. ფაზა V — ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაცია

ამ ფაზაში ინიციატორს უკვე ევალება გეგმ(ებ)ის დამუშავება საბოლოო სახით და ფორმატში, რომლის შინაარსიც აღწერილია §2.4. აღნიშნული მან უნდა განახორციელოს წინა ნაბიჯის ფარგლებში შედგენილი დოკუმენტაციის გაუმჯობესება/დახვეწის გზით. ამ პროცესში უნდა მოიცვას, როგორც დაინტერესებული პირების, ასევე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო(ებ)ისგან მიღებული ინფორმაცია/შენიშვნები და დაიცვას *კოდექსითა, გეგმების შემუშავების წესით* დადგენილი მოთხოვნები.

გ(დ)გ შემუშავებისას, *გეგმის კონცეფციისგან (მონახაზებისგან)* გადახვევა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონცეფციის დამტკიცების შემდეგ შეიცვლება საზოგადოებრივი აზრი და/ან დაგეგმვის

³⁰ თუ შეჯერება ვერ ხერხდება ერთ ვარიანტზე.

³¹ მასშტაბი განსაზღვრავს ზღვრულ გარჩევადობას და შესაბამისად დეტალიზაციის დონეს.

³² საერთაშორისო პრაქტიკაში – SWOT.

³³ გეგმების მონახაზების შინაარსი აღწერილია §2.3.



ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

დავალება ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N297(პანსიონატი ქარიშხალა) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. N 20.42.01.051) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (გ(დ)გ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევი დოკუმენტებით) შემუშავების თაობაზე

საჭიროებები, თუმცა იმ დოზით, რაც არსებითად არ შეცვლის გეგმის კონცეფციის (მონახაზის) და/ან სგმ ანგარიშის შინაარსს, რაც ობიექტურად ვერ იქნებ(ოდ)ა დაზღვეული განვლილ დროით შუალედში კოდექსის მე-60 მუხლით. რადიკალურად განსხვავებული გადაწყვეტების აუცილებლობის შემთხვევაში, ჯერ უნდა გადამუშავდეს გ(დ)გ კონცეფცია ცვლილებების ასახვის მიზნით, თანმდევი ადმინისტრაციული პროცედურების დაცვით, და შემდგომ გაგრძელდეს გ(დ)გ მუშაობა.

1.4.3. გამონაკლისი მიწათსარგებლობაში

1.4.3.1. წინაპირობა

კოდექსის, გეგმების შემუშავების წესისა და ძირითადი დებულებების მოთხოვნათა შესაბამისად, საერთო წესებიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. როგორც წესი ამის წინაპირობები შემდეგია:

- მიწათსარგებლობის საერთო წესები არასამართლიან პირობებში აყენებს უძრავი ნივთის მესაკუთრეს (მაგ. ზედმეტად შემზღულდავია ვიდრე სხვაგან მსგავს სიტუაციაში);
- გამონაკლისი საჭიროა ტერიტორიის რაციონალური და ეფექტიანი გამოყენებისთვის;
- არ იცვლება ზონის ტერიტორიის საერთო ხასიათი, ან ცვლილება არაარსებითია;
- ტერიტორიის გამოყენების ერთადერთი ინტრუზიული გზა არის გამონაკლისი.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, გამონაკლისები დაიშვება მხოლოდ ქვემოთ მოყვანილ შემთხვევებში:

- **გამოყენების საგამონაკლისო სახეობა:** ქვეზონის თავისებურებას, არსებულ განაშენიანებას ან/და სამეზობლო ინტერესების დაცვის პირობით; ³⁴
- **განაშენიანების საგამონაკლისო სახეობა:** ინსოლაციისა და ბუნებრივი განათებულობის მოთხოვნების დაცულობის პირობით; ³⁵
- **განაშენიანების პარამეტრების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება:**
 - **განაშენიანების სიმაღლე:** ინსოლაციისა და ბუნებრივი განათებულობის მოთხოვნების დაცულობის პირობით;
 - **კ¹/კ²:** კოდექსის 41-ე მუხლის, მე-5 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად;
 - **ავტომანქანების სადგომი ადგილების რაოდენობა:** მომიჯნავე კვარტლებში საკომპენსაციო ავტოსადგომის მოწყობის პირობით.

1.4.3.2. მაკომპენსირებელი ღონისძიება

კოდექსის თანახმად, კ¹/კ² ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება უნდა კომპენსირდებოდეს სხვა ღონისძიებით. ამგვარ ღონისძიებებად განიხილება ინფრასტრუქტურული სიმძლავრეების იმგვარი განახლება/განვითარება, რაც აკომპენსირებს/აბალანსებს კ¹/კ² ზღვრული მაჩვენებლების გადამეტებით გამოწვეულ უარყოფით ზეგავლენას / დისბალანსს ადამიანთა საცხოვრებელ და სამოღვაწეო გარემოზე. შესაბამისად, მაკომპენსირებელი ღონისძიება ყოველთვის თანაზომადი უნდა იყოს გადამეტებით გამოწვეული ზეგავლენისა.

მაკომპენსირებელი ღონისძიება მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც ორიენტირებული უნდა იყოს გეგმარებითი ერთეულის შიდა მოთხოვნილებებზე, ხოლო ამგვარის შეუძლებლობის (მაგ. ფიზიკური გარემოს არასაკმარისი შესაძლებლობები) შემთხვევაში — დასაშვებია მისი დაბალანსება მუნიციპალიტეტისთვის საცხოვრებელი ერთეულების ან კომერციული დანიშნულების უძრავი ნივთის გადაცემით, თანაზომადი ოდენობის ფართობით, თუმცა და არანაკლებ გეგმარებით ერთეულში დაგეგმილი კ^{1/2} მაჩვენებლის 5 %-სა.

გადამეტების კომპენსირების ეკონომიკური დასაბუთება წარმოებს [ეფექტიანობის შეფასებაში](#).

³⁴ ძირითადი დებულებები: მუხლი 20, პუნქტი 2. (24)

³⁵ ძირითადი დებულებები: მუხლი 41, პუნქტი 14. (24)



ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

დავლება ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N297(პანსიონატი ქარიშხალა) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. N 20.42.01.051) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (გ(დ)გ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევი დოკუმენტებით) შემუშავების თაობაზე

1.4.3.3. დაგეგმილი ინვესტიცია და პროექტის ზოგადი ანალიზი

შპს „დრიმლენდ ოაზისი“-ს ინვესტიციით იგეგმება მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა რაც თავის თავში მოიცავს ორი მაღლივი 25 და 35 სართულიანი კორპუსების მშენებლობას , რომლებიც პირველი და მეორე სართულების დონეზე დაკავშირებული იქნება ერთმანეთთან.

საბოლოო ჯამში საპროექტო ბიუჯეტი 40 დან 55 მილიონ ლარს მოიცავს ,რომელშიც გათავალისწინებულია ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება და საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფა ,ასევე ობიექტის დასრულების შემდგომ მუდმივი სამუშაო ადგილების შექმნა.

ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლების გაზრდისთვის საკონპენსაციო სამუშაოები მითითებული იქნება თანდართულ დოკუმენტში.

1.4.4. დოკუმენტების წარდგენის ფორმა და მახასიათებლები

კვლევის და დაგეგმვის პროცესში, შუალედური და საბოლოო დოკუმენტები (§1.3.3), როგორც §1.4-შია მოთხოვნილი, განხილულ უნდა იქნეს დაინტერესებულ მხარეებთან და უნდა ასახავდეს დაინტერესებული მხარეების რელევანტურ მოსაზრებებსა და კომენტარებს შესაბამის სამუშაოთა ანგარიშებში. ნებისმიერ სამუშაოთა ანგარიშები, რომელიც ბარდება მერიას/სამსახურს, უნდა მომზადდეს ალბომის სახით, სადაც გაერთიანდება კვლევის და/ან დაგეგმვის პროცესის რელევანტური კომპონენტები.

1.4.4.1. ფორმა

ალბომი მზადდება ბეჭდური და ელექტრონული ფორმით. მომსახურების ყოველ ეტაპზე მომზადებული ანგარიშ(ებ)ის პირველადი ჩაბარების შემთხვევაში, წარდგენის ფორმა დასაშვებია იყოს მხოლოდ ელექტრონული. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მერიის/სამსახურის მიერ მოთხოვნილ იქნება ცალკეული ნაწილების ნაბეჭდი სახით წარდგენა. საბოლოო ანგარიშების წარდგენა სავალდებულოა ორივე ფორმით, მინიმუმ თითო ეგზემპლარში. მერია/სამსახური უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი ეგზემპლარების წარდგენა, არაუმეტეს გონივრული საჭიროებისა:

- **ბეჭდური ფორმით** – ალბომი 2 ეგზემპლარში;
- **ელექტრონული ფორმით** – ალბომი და გეო-ინფორმაციული სისტემების მასალები 3 ეგზემპლარში;

ბეჭდური ფორმის ალბომი უნდა მომზადდეს შესაბამისი ფორმატის ქაღალდზე ამობეჭდვითა და სათანადო აკინძვით. ელექტრონული ფორმის ალბომის მომზადების (აწყოების, გაფორმების და/ან დაკავადონების) პროგრამული უზრუნველყოფა შეიძლება იყოს ნებისმიერი და წარდგენის საბოლოო ფორმატი კი — PDF,³⁶ CAD³⁷ და SHP,³⁸ გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წინამდებარე დავალებით მოთხოვნილია კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის და ფაილის ფორმატის გამოყენება.

დაუშვებელია ფაილების დაცვის მექანიზმის გამოყენება მერიასთან შეთანხმების გარეშე. ელექტრონული ფორმით დოკუმენტაციის წარდგენა ხდება კომპაქტ დისკ(ებ)ის და/ან მეხსიერების ბარათ(ებ)ის მეშვეობით. განსაკუთრებით დიდი ზომის ფაილები დასაშვებია წარდგენილ იქნას *მონაცემთა ღრუბლოვანი ბაზის* გამოყენებით.³⁹

1.4.4.2. მახასიათებლები

ანგარიშის ძირითადი ინფორმაცია (ალბომის შიგთავსი) მოწოდებული უნდა იყოს ტექსტურ და გრაფიკულ ნაწილებად⁴⁰ (რუკები, გეგმები და/ან სხვა კარტოგრაფიული მასალა). თავის მხრივ ტექსტურ

³⁶ „Portable Document Format (PDF)“ — ელექტრონული დოკუმენტების პლატფორმათშორისი ღია სტანდარტის ფაილის ფორმატი.

³⁷ „Computer-aided design“ — კომპიუტერიზებული დაგეგმარება (დაგეგმარების ავტომატიზებული სისტემა). აერთიანებს სხვადასხვა კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფით წარმოებულ დაგეგმარების პროცესს. შედეგები ინახება სხვადასხვა ფაილის ფორმატში.

³⁸ „Shapefile“ — გეოლოკაციისა და გეოგრაფიული მახასიათებლების ინფორმაციის ატრიბუტული ინფორმაციის შესანახი მარტივი, არატოპოლოგიური ფაილის ფორმატი, რომელთანაც მუშაობა და რედაქტირება შესაძლებელია რომელიმე გის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით.

³⁹ საერთაშორისო პრაქტიკაში — „Cloud storage“.

⁴⁰ სადაც ეს მოთხოვნილია წინამდებარე დოკუმენტით.



ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

დავალება ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N297(პანსიონატი ქარიშხალა) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. N 20.42.01.051) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (გ(დ)გ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევი დოკუმენტებით) შემუშავების თაობაზე

ნაწილს შეიძლება ასევე ქონდეს ჩართული ილუსტრაციები (ფოტოსურათები, გრაფიკები, მცირე სქემატური ნახაზები და მსგავსი).

ტექსტური ნაწილის ქალაქის ფორმატი უნდა იყოს A4. დასაშვებია A3 ფორმატის ჩანართების (ილუსტრაციები, სქემები) გამოყენება, თუმცა არა უმეტეს გვერდების საერთო ოდენობის 25%-სა. წინააღმდეგ შემთხვევაში და/ან უფრო დიდი ზომის ილუსტრაციების გამოყენებისას, ისინი უნდა მომზადდეს დანართებად, თუმცა ყველა მათგანი იდენტიფიცირებადი უნდა იყოს იმავე ალბომში, სპეციალური აღნიშვნების გამოყენებით. გრაფიკული ნაწილის პლანშეტის ფორმატი უნდა პასუხობდეს §2.1.2.1-ში დადგენილ მოთხოვნებს. გრაფიკულ ნაწილს უნდა გააჩნდეს შტამპი, სადაც მითითებული უნდა იყოს: გამოყენებული პირობითი აღნიშვნები, პროექტის რეკვიზიტები, ინიციატორი, მიმწოდებელი, სამუშაოთა დასახელება და მათი შემსრულებელი პასუხისმგებელი სპეციალისტები.

ალბომში ყველა გვერდი, გარდა თავფურცელისა, უნდა დაინომროს. ძირითადი ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს 11 ზომის „Calibri“ ან „Sylfaen“ შრიფტით, დამხმარე ტექსტი — არანაკლებ 8 ზომის იმავე შრიფტით. პწკარების ინტერვალი – 1,0. ტექსტური ნაწილის ფურცლის გვერდზე ტექსტის მინდორი – 2.54 სმ (მარცხნივ) და 1.5 სმ მარჯვნივ. ტექსტური ნაწილი უნდა იყოს შავ-თეთრი, ხოლო მისი ილუსტრაციები და გრაფიკული ნაწილი — ფერადი.

გრაფიკული ნაწილის არაკარტოგრაფიული სქემები, შესაძლებელია არ აკმაყოფილებდეს საბაზისო რუკისთვის გეგმების შემუშავების წესით დადგენილ მოთხოვნებს, თუმცა უნდა იძლეოდეს საკმარის ინფორმაციას მათი ამოკითხვისთვის. გრაფიკული ნაწილის პლანშეტზე ინფორმაციის განაწილებისას გასათვალისწინებელია შემდეგი მოთხოვნები:

- ძირითადი ნახაზი უნდა განთავსდეს ცენტრალურ ნაწილში, მარცხენა კიდიდან – შტამპამდე;
- შტამპი (პირობითი აღნიშვნებით, პროექტის/ნახაზის რეკვიზიტებით და სხვა რელევანტური ინფორმაციით), უნდა განთავსდეს მარჯვენა მხარეს ვერტიკალურ ზოლად;
- ძირითად ნახაზს შესაძლებელია გააჩნდეს/ახლდეს:
 - კონტურული ჩარჩო, ვიზუალურად გამოსაყოფად;
 - გეგმარებითი ერთეულის სიტუაციური რუკა დასახლების სტრუქტურაში (მ 1:5000-1:10000, გეგმარებითი ერთეული აღნიშნება ლაქობრივად ან პუნქტირით, მასშტაბის შესაბამისად), მარცხენა ზედა კუთხეში;
 - ანოტაცია/ტექსტური ინფორმაცია (ნახაზით გადმოცემული ინფორმაციის მოკლე აღწერა).
- ანოტაცია/ტექსტური ინფორმაცია არ უნდა ფარავდეს ძირითად ნახაზს, ხოლო ძირითადი ტექსტი არ უნდა იყოს გაბნეული ნახაზზე.

მთლიანი ალბომი დამოწმებული უნდა იყოს დაგეგმვის გუნდის მხრიდან ანგარიშზე პასუხისმგებელი სპეციალისტების მიერ (ნაბეჭდი დოკუმენტი – პირადი ხელმოწერით, ხოლო ელექტრონული დოკუმენტი – კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ალბომს უნდა გააჩნდეს:

- 1) ყდა — სადაც მოცემულია: დოკუმენტის დასახელება; პროექტის დასახელება; გეგმარებითი ერთეულის დასახელება; შესრულებულ სამუშაოთა არსი (რეზიუმე); თარიღი და ადგილი.
- 2) სატიტულო გვერდ(ებ)ი — სადაც მოცემულია: პროექტის რეკვიზიტები და სამუშაოთა ეტაპი, რომლის ფარგლებშიც მომზადდა დოკუმენტი; ინიციატორის და მიმწოდებლის რეკვიზიტები; დოკუმენტზე პასუხისმგებელი პირები; ინფორმაცია დაინტერესებული სახელმწიფო უწყებ(ებ)ის, მუნიციპალური ორგანოების შესახებ და/ან ჩართული მხარეების შესახებ.
- 3) საკვალიფიკაციო გვერდი — სადაც მოცემულია ინფორმაცია: დოკუმენტის შემსრულებელი ფიზიკური პირების კვალიფიკაციის შესახებ (სპეციალობა და აკადემიური ხარისხი).
- 4) რეზიუმე — შესრულებულ სამუშაოთა მოკლე აღწერა და ურთიერთმიმართება წინამდებარე დავალებასთან და მიმწოდებლის საკუთარ სამოქმედო გეგმასთან;
- 5) ტერმინთა განმარტება (კოდექსისგან განსხვავებული ტერმინები მხოლოდ) და შემოკლებათა ახსნა (არსებობის შემთხვევაში);
- 6) სარჩევი — სადაც მოცემულია ალბომის შინაარსი, გრგ ნაწილების და მათი გვერდებზე მდებარეობის მიხედვით. შინაარსში აუცილებლად გამოიყოფა თავები და ქვეთავები, სურვილისამებრ პარაგრაფები და პუნქტები;
- 7) ძირითადი ტექსტი — ძირითადი ტექსტი უნდა შესრულდეს შესაბამისი ფორმატირებით და სტანდარტული სტრუქტურის დაცვით, IMRAD მოდელის ⁴¹ გამოყენებით: შესავალი, გამოყენებული მეთოდები, შედეგები და შედეგების განხილვა;

⁴¹ IMRAD აკრონიმია და ასახავს აკადემიური ანგარიშის სტრუქტურას: შესავალი (Introduction), კვლევის მეთოდები (Methods), შედეგები (Results and) და შედეგების განხილვა (Discussion) - (Swales and Feak 1994).



ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

დავალება ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N297(პანსიონატი ქარიშხალა) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. N 20.42.01.051) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (გ(დ)გ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევნი დოკუმენტებით) შემუშავების თაობაზე

- 8) **ბიბლიოგრაფია** — გამოყენებული ლიტერატურა და/ან ტექსტში დამოწმებული წყაროების ჩამონათვალი, ISO 690 გამოყენებით;
- 9) **დანართები** — სადაც, არსებობის შემთხვევაში, მოცემულია გრაფიკული ნაწილი, დაკავშირებული დოკუმენტები/წყაროები ან ძირითადი ტექსტის დასაბუთების სხვა მასალები.

დოკუმენტებში მითითებულ ნებისმიერ სტატისტიკურ და ფაქტობრივ ინფორმაციას თან უნდა ახლდეს შესაბამისი ოფიციალური წყაროს სრული მითითება, გვერდების ჩათვლით. ელექტრონული ფორმატის შემთხვევაში, შესაბამისი ბმულების მითითებით. აგრეთვე, დოკუმენტირებული ინტერვიუები და შეხვედრები: ოქმებისა და ფოტომასალის სახით.

კვლევისთვის და/ან დაგეგმვისთვის ღირებული ინფორმაციის არ არსებობის და/ან მიუწვდომლობის შემთხვევაშიც კი, აუცილებელია შედეგების ჩვენება და მხოლოდ შემდგომ შესაბამისი მითითებების გაკეთება, მათ შორის იმ *ლიმიტაცი(ებ)*ის ახსნა, რამაც განაპირობა ხსენებული შედეგი.

2. სპეციალური ნაწილი

(კონკრეტული მითითებები)

2.1. გეგმარებითი ერთეულის კვლევა

2.1.1. საბაზისო მონაცემები

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ⁴² წინამდებარე დავალების შესაბამისად, *ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის* შემუშავებისათვის ტარდება *გეგმარებითი ერთეულის* მოსამზადებელი კვლევა, რომელიც გულისხმობს საბაზისო მონაცემების შეგროვებას, ცალკეულ შემთხვევებში მათ ანალიზს, ⁴³ და შედეგების ტექსტურ და გრაფიკულ ასახვას. საბაზისო მონაცემები ტექსტურად აისახება მონაცემთა (ინდიკატორთა) მატრიცაში, ხოლო გრაფიკულად - რუკაში (და *საჭიროებისამებრ თემატურ რუკებში*), რომლის მასშტაბი უნდა შეესაბამებოდეს გეგმის შემუშავების მასშტაბს.

საბაზისო მონაცემები უნდა შეგროვდეს ფიზიკური და უფლებრივი გარემოს კონტექსტში, გეგმის ტაქსონომიური დონის გათვალისწინებით. მონაცემები უნდა იყოს სანდო (გადამოწმებადი), მათი სიზუსტე უნდა პასუხობდეს გეგმის შემუშავების მიზნებს და მასშტაბს, *გეგმების შემუშავების წესით* დადგენილი მინიმალური მახასიათებლების გათვალისწინებით. ⁴⁴ ტაქსონომიურ დონეებს შორის მონაცემთა პარალელიზმისა და დუბლირების გამორიცხვის მიზნით, საჭიროა მათი მუდმივი ურთიერთშეფასება და სისტემატიზაცია.

მონაცემების შეგროვებისას, უპირველესად გამოყენებულ უნდა იქნეს უკვე არსებული, ბოლო პერიოდის ვალიდური მონაცემები, რომლებიც ხელმისაწვდომია მერიის ან რომელიმე საჯარო წყაროს მხრიდან. მხოლოდ ამის შემდგომ უნდა განხორციელდეს მონაცემების შევსება საკვლევ არეალში, ზემოაღწერილი მეთოდებით. ⁴⁵ საბაზისო მონაცემთა (ინდიკატორთა) მატრიცა მიიღება დავალების §3.4-ის შესაბამისად, ხოლო საბაზისო რუკა - გეგმების შემუშავების წესის დანართი N7. გადახვევა მოთხოვნებიდან დასაშვებია მხოლოდ იქვე მოცემული დათქმების გათვალისწინებით (მაგ. მონაცემები არ გროვდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ შეესაბამება ტაქსონომიურ დონეს). ⁴⁶ მონაცემების შეგროვებისას აუცილებელია პროცესის ფოტოფიქსაცია, ხოლო მათი დამუშავებისას *ვიზუალიზაციის* გამოყენება. კვლევების მეთოდიკაში თანაბარმნიშვნელოვნად და ადეკვატურად უნდა იქნას გამოყენებული კამერალური და საველე მეთოდები. ყველა ეს ასპექტი დეტალურად უნდა იყოს აღწერილი კვლევების ანგარიშებში (იხ. §1.4.3).

ის ინფორმაცია, რაც წარმოადგენს სახელწმიფო საიდუმლოებას (მაგ. *ინფორმაცია ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ქვეყნის ინფრასტრუქტურის სხვა დარგებისა და ობიექტების დაცვის სისტემისა და რეჟიმის შესახებ, მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის*), ინფორმაციაზე წვდომის

⁴² *გეგმების შემუშავების წესი*: მუხლი 6.
⁴³ მონაცემთა ანალიზი უნდა შესრულდეს ყველა იმ შემთხვევაში, თუ ცალკე აღებული მონაცემი არ იძლევა საკმარის საფუძველს სივრცითი დაგეგმვის განსახორციელებლად. ასეთ შემთხვევაში ანალიზი წარმოებს კომპლექსურად, სხვა მონაცემებთან ურთიერთკავშირში, მრავალფაქტორული ანალიზის რომელიმე მეთოდის გამოყენებით.
⁴⁴ *გეგმების შემუშავების წესი*: მუხლი 9.
⁴⁵ მოძველებული ინფორმაციის შესავსებად და/ან არ არსებული მონაცემების შესაგროვებლად და დასამუშავებლად.
⁴⁶ ანუ გროვდება ტაქსონომიურ დონის შესაბამისად.



ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

დავალება ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N297(პანსიონატი ქარიშხალა) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. N 20.42.01.051) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (გ(დ)გ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევი დოკუმენტებით) შემუშავების თაობაზე

დაშვება და ამ ინფორმაციის გამოყენება უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ მოთხოვნათა შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში:

ა) თუ მიმწოდებელს არ გააჩნია წვდომა საიდუმლო ინფორმაციაზე, მან უნდა ჩაანაცვლოს ეს ინფორმაცია საკუთარი დაშვებებით; ⁴⁷

ბ) თუ მერიას/სამსახურს ასევე არ გააჩნია წვდომა საიდუმლო ინფორმაციაზე, მან უნდა განსაზღვროს დაგეგმვისთვის საჭირო საიდუმლო ინფორმაციაზე დაშვებული სახელმწიფო უწყებ(ებ)ის და/ან მისი/მათი თანამშრომლების მონაწილეობის როლი და ამ ინფორმაციის გამოყენების წესები.

2.1.2. მონაცემთა მატრიცა და ანალიზი

მონაცემთა მატრიცა უნდა პასუხობდეს, როგორც *დავალების* §3.4-ის მოთხოვნებს, ასევე იძლეოდეს ყველა იმ მონაცემს, რომელთა ანალიზითა და კორელაციით მიიღება *საბაზისო ერთეულების* ქალაქთმშენებლობითი სიმჭიდროვეების ⁴⁸ (*გეგმების შემუშავების წესის* დანართ N8) მათი მაჩვენებლების დადგენისთვის საფუძვლები.

მონაცემთა მატრიცა წარმოდგენილი უნდა იქნეს §3.2-ში მოცემული სახითა და შემადგენლობით.

საბაზისო მონაცემების ანალიზი, გარდა *გეგმების შემუშავების წესით* გათვალისწინებულისა, უნდა განხორციელდეს უპირველესად იმ მიზნით, რომ გეგმარებით *ერთეულში გამოვლენილ იქნას მოსახლეობის რაოდენობისა* (მათ შორის მაცხოვრებლები და კომიუტერები) და *ინფრასტრუქტურის* (საინჟინრო-ტექნიკური, სოციალური, სატრანსპორტო, რეკრეაციული – განსაკუთრებით გამწვანებული ტერიტორიების) *ურთიერთმიმართება* და ამ გზით დადგენილ იქნას *ქალაქთმშენებლობითი სიმჭიდროვეების* ზღვრული მაჩვენებლები. ანალიზი უნდა ავლენდეს ინფრასტრუქტურული სიმძლავრეების რეალურ და/ან განვითარების შესაძლებლობებს, ⁴⁹ ამ უკანასკნელის შეთხვევაში კი დამატებით იძლეოდეს კორელაციაზე დაფუძნებულ მითითებებსა და რეკომენდაციებს ინიციატორის მიერ შემთავაზებული ცვლილებებისთვის.

2.1.2.1. საბაზისო რუკა და თემატური რუკები

საბაზისო რუკა ხარისხობრივად უნდა პასუხობდეს *გეგმების შემუშავების წესით* დადგენილ მოთხოვნებს. საბაზისო რუკის **მასშტაბი უნდა იყოს მ 1:5000-1:500 დიაპაზონში** (*იმ გათვლით, რომ საბაზისო რუკა და შემდგომ მასზე დამუშავებული გეგმა უნდა ეტეოდეს A0-A2 ფორმატის პლანშეტებიდან ერთ-ერთზე, პლანშეტზე ინფორმაციის განაწილების წესის დაცვით*). საბაზისო რუკის ციფრული ნაწილი ინტეგრირებულ უნდა იქნეს სამსახურის *დაგეგმვის საინფორმაციო სისტემაში* (§2.5).

პლანშეტზე ინფორმაციის განაწილებისას დაცულ უნდა იქნეს §1.4.3.2 გრაფიკული ნაწილისთვის დადგენილი მოთხოვნები.

საბაზისო რუკაზე დაყრდნობით, გარდა მატრიცაში (§3.2) მითითებულისა, კვლევის ეტაპზე შესაძლებელია მომზადდეს სხვადასხვა სახის თემატური რუკები, დაინტერესებულ მხარეთა უკეთ ინფორმირებისა და თვალსაჩინოების მიზნით.

2.2. განაშენიანების ესკიზი

განაშენიანების ესკიზი, როგორც ეს §1.1.2-ში არის განმარტებული, წარმოადგენს *გეგმარებითი ერთეულის* დაგეგმილ ფიზიკურ ცვლილებებს — თუ როგორი ფიზიკური გარემო უნდა მიიღოს დაგეგმვის შედეგად თემმა ⁵⁰ მოცემულ ადგილას.

განაშენიანების ესკიზი, გ(დ)გ მიზნებისთვის ანაცვლებს განვითარების ხედვას, რამდენადაც ეს უკანასკნელი *გეგმების შემუშავების წესით* გგ/გ(დ)გ არ მოეთხოვება, თუ ისინი არ წყვეტენ იერარქიულად

⁴⁷ მაგ. საერთო საქალაქო ინფრასტრუქტურული ქსელის სიმძლავრეების შესახებ მონაცემები ჩაანაცვლოს განვითარებისთვის საჭირო სიმძლავრეების მონაცემით, რაც შემსყიდველს საშუალებას მისცემს თავად განსაზღვროს ქსელის განვითარების შემდგომი საჭიროებები.

⁴⁸ *გეგმების შემუშავების წესი*: მუხლი 53 და დანართი N8.

⁴⁹ იგულისხმება, ფაქტობრივი და/ან დაგეგმილი მაჩვენებლები, რომელიც თანხმედრამში უნდა იყოს ინიციატორის მიერ დაგეგმილ ცვლილებებთან.

⁵⁰ იგულისხმება *გეგმარებითი ერთეულის* და უშუალოდ მომიჯნავე ტერიტორიების უძრავი ნივთების მესაკუთრეები და/ან მოსარგებლები.



ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

დავალება ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N297(პანსიონატი ქარიშხალა) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. N 20.42.01.051) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (გ(დ)გ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევი დოკუმენტებით) შემუშავების თაობაზე

ზემდგომი გეგმების საკითხებს. ⁵¹ იმის გათვალისწინებით, რომ გ(დ)გ აბსოლუტური უმეტესობა პროექტზე ორიენტირებული გეგმაა, ⁵² დაგეგმილი ცვლილებების უკეთ აღსაქმელად და გასაგებად, საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინებით, წინამდებარე დავალებით მოთხოვნილია *განაშენიანების ესკიზის* დამუშავება შემდეგი შემადგენლობით:

#	ნაწილი	შინაარსი	მახასიათებელი
1.	განმარტებითი ბარათი	გეგმარებითი ერთეულის და დაგეგმილი ცვლილებების ანოტაცია	ანოტაციის აუცილებელი ელემენტებია: <ul style="list-style-type: none"> • გეგმარებითი ერთეული; • დაგეგმვის ძირითადი მიზნები და ამოცანები, მათი მიღწევისა და გადაწყვეტის გზები; • დაგეგმილი განაშენიანება: <ul style="list-style-type: none"> ○ სტრუქტურა/წყობა; ○ მიმართება მიმდებარე განაშენიანებასთან; ○ ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა.
2.	ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები	გეგმარებითი ერთეულის და დაგეგმილი ცვლილებები ციფრებში	ტექნიკური მაჩვენებლების აუცილებელი ელემენტებია: <ul style="list-style-type: none"> • ფართობები: <ul style="list-style-type: none"> ○ გეგმარებითი ერთეული; ○ სამშენებლო ქვეზონები; ○ გამწვანებული და სხვა არასამშენებლო ტერიტორიები (არსებობის შემთხვევაში); ○ დაგეგმილი განაშენიანება, მათ შორის (არსებობის შემთხვევაში): <ul style="list-style-type: none"> ▪ საცხოვრებელი (ცალ-ცალკე: ბინა, სასტუმროს ტიპის ბინა, სასტუმროს ნომერი); ▪ კომერციული (ცალ-ცალკე: სავაჭრო, საოფისე); ▪ დამხმარე (ცალ-ცალკე: ავტოსადგომი, სარდაფი, საწყობი, ტექნიკური სათავსები და მსგ.); ▪ სხვა (დაგეგმარების შესაბამისად). • მოცულობები: <ul style="list-style-type: none"> ○ დაგეგმილი განაშენიანება, მათ შორის (არსებობის შემთხვევაში): <ul style="list-style-type: none"> ▪ შენობები; ▪ ნაგებობები; ▪ გრუნტი. • სიმაღლეები/სართულიანობა: <ul style="list-style-type: none"> ○ დაგეგმილი განაშენიანებს მაქსიმალური და მინიმალური სიმაღლეები (მ); ○ დაგეგმილი განაშენიანება, მათ შორის (არსებობის შემთხვევაში): <ul style="list-style-type: none"> ▪ მიწისქვეშა სართულები; ▪ მიწისპირა სართულები; ▪ მიწისზედა სართულები; ▪ არასრული სართულები; ▪ ტექნიკური სართულები. <p>ეკონომიკური მაჩვენებლების ⁵³ აუცილებელი ელემენტებია გასაწევი სამშენებლო / ექსპლუატაციის დანახარჯები და მისაღები სარგებელი.</p>
3.	სიტუაციური რუკა	გეგმარებითი ერთეულის და დაგეგმარების ობიექტის სივრცითი კონტექსტი	ნახაზის საფუძველია ორთოფოტოსურათი, მისი ყველა მახასიათებლის დაცვით და შესაბამისი მასშტაბით. პროექციის აუცილებელი ელემენტებია: <ul style="list-style-type: none"> • გეგმარებითი ერთეული (ლაქობრივად ან პუნქტირით, მასშტაბში შესაბამისად) დასახლების სტრუქტურაში, მინიმუმ უზნის/ტერიტორიული ერთეულის ფარგლებში; • ლოკაციის განმსაზღვრელი ორიენტირები (ძირითადი ინტერეს-წერტილები და/ან გზები).
4.	საზღვრების რუკა	გეგმარებითი ერთეულის და მასთან დაკავშირებული საზღვრები	ნახაზის საფუძველია საზღვის რუკა (შავეთერი სახით, შტამპის გარეშე), მისი ყველა სხვა მახასიათებლის დაცვით. გეგმარებითი ერთეულის მდებარეობის გათვალისწინებით, პროექციის აუცილებელი ელემენტებია: <ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის საზღვარი და მომიჯნავე მუნიციპალიტეტების საზღვრები; • დასახლების, მისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების და გეგმარებითი ერთეულის საზღვრები;

⁵¹ გეგმების შემუშავების წესი: მუხლი 6, პუნქტი 9.

⁵² გეგმის მიღების მიზანი კონკრეტული პროექტის განხორციელებაა.

⁵³ თუკი დაგეგმილია კ¹/კ² გადაამეტება.



ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

დავალება ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N297(პანსიონატი ქარიშხალა) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. N 20.42.01.051) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (გ(დ)გ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევი დოკუმენტებით) შემუშავების თაობაზე

			<ul style="list-style-type: none"> • ნაშენი და უშენი ტერიტორიების საზღვრები; ⁵⁴ • ინტერეს-წერტილები (სოციალური ინფრასტრუქტურის, კულტურისა და დაცვენების, რელიგიურ-საკულტო, ადმინისტრაციული ობიექტები, მნიშვნელოვანი პანორამებისა აქქმის წერტილები, არსებული ურბანული და ბუნებრივი სივრცითი დომინანტები და სხვა).
5.	გეგმარებითი შეზღუდვების (სინთეზური) რუკა	გეგმარებით ერთეულში არსებული/მოქმედი დაგეგმარების შემზღუდავი კონტექსტი	<p>ნახაზის საფუძველია საზღვრების რუკა, მისი ყველა მახასიათებლის დაცვით.</p> <p>მოსამზადებელი კვლევის შედეგების მიხედვით და ტაქსონომიური დონის გათვალისწინებით, პროექციის აუცილებელი ელემენტებია (მათი არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> • არასამშენებლო ტერიტორიები; • ბუნებრივი და ტექნოგენური საფრთხეების შემცველი ტერიტორიები; • დასაცავი და/ან სპეციალური დანიშნულების ტერიტორიები; • დარღობრივი რეჟიმები (მაგ. ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის რეჟიმები; გარემოს დამცავი რეჟიმები; დენდროლოგიური რეჟიმები; ტექნიკური ინფრასტრუქტურის რეჟიმები და სხვა)
6.	გენერალური გეგმა	გეგმარებით ერთეულში დაგეგმილი ცვლილებების საბოლოო სურათი ზედხედში	<p>ნახაზის საფუძველია გეგმარებითი შეზღუდვების რუკა (შავთეთრი სახით), მისი ყველა მახასიათებლის დაცვით.</p> <p>პროექციის აუცილებელი ელემენტებია (მათი არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> • დაგეგმარების ობიექტ(ებ): შენობები, ნაგებობები, გზები/ქუჩები, მომარაგება/არინების ქსელი, კეთილმოწყობის ელემენტები და სხვა. ასევე, მაკომპენსირებელი ღონისძიება (თუ მას ფიზიკური განზომილება გააჩნია); • მონაცვლებული მიწის ნაკვეთები (საჭიროებისამებრ): საზღვრები, პირობითი ნომრები, ფართობები, სერვიტუტები; • გამწვანების ელემენტები: გაზონები, ხე/ბუჩქი, ყვავილნარები; • სიტუაციური რუკა (მ 1:5000-1:10000).
7.	განაშენიანების კრილ(ებ)ი	გეგმარებით ერთეულში დაგეგმილი ცვლილებების საბოლოო სურათი გრძივ და/ან განივ კვეთში	<p>პროექციის აუცილებელი ელემენტებია (მათი არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> • დაგეგმარების ობიექტ(ებ): შენობები, ნაგებობები, გზები/ქუჩები, კეთილმოწყობის ელემენტები და სხვა. ასევე, მაკომპენსირებელი ღონისძიება (თუ მას ფიზიკური განზომილება გააჩნია); • მონაცვლებული მიწის ნაკვეთების საზღვრები; • გამწვანების ელემენტები
8.	განაშენიანების ვიზუალიზაცია	გეგმარებით ერთეულში დაგეგმილი ცვლილებების საბოლოო სურათი აქსონომეტრიაში	<p>ვიზუალიზაცია მზადდება მაკეტური (პირველად ვარიანტებში) და/ან ფოტორეალისტური (საბოლოო ვარიანტებში) სახით, გენერალური გეგმის მასშტაბის და დეტალიზაციის დაცვით.</p> <p>პროექციის აუცილებელი ელემენტებია (მათი არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> • დაგეგმარების ობიექტ(ებ): შენობები, ნაგებობები, გზები/ქუჩები, კეთილმოწყობის ელემენტები და სხვა. ასევე, მაკომპენსირებელი ღონისძიება (თუ მას ფიზიკური განზომილება გააჩნია); • გამწვანების ელემენტები
9.	ტერიტორიის დაჩრდილვის სქემა	გეგმარებითი ერთეულში დაგეგმილი ცვლილებების ინსოლაციის შესაბამისი და ბუნებრივი განათებულობის მონაცემები	<p>სქემა მზადდება იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმილი ცვლილებები ითვალისწინებს ძირითადი დებულებებით დადგენილი მიჯნის ზონებისგან განსხვავებული რეგულირების შემოღებას. ⁵⁵</p> <p>ნახაზის საფუძველია საბაზისო რუკა (შავთეთრი სახით), მისი ყველა მახასიათებლის დაცვით.</p> <p>ინსოლაციისა და ბუნებრივი განათებულობის ანგარიში წარმოებს ქვეყანაში სამოქმედო დაშვებული (37) შესაბამისის სტანდარტის/ტენიკური რეგლამენტის შესაბამისად. დასაშვებია 2008 წლამდე მოქმედი სნდწ „ბუნებრივი განათებულობა და ინსოლაცია“ გამოყენება.</p>
10.	რელიეფის ორგანიზების სქემა	გეგმარებითი ერთეულში დაგეგმილი ცვლილებებით გამოწვეული რელიეფის ცვლილების სურათი	<p>სქემა მზადდება იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმილი ცვლილებები ითვალისწინებს არსებული რელიეფის ცვლილებას (ფორმები, ნიშნულები) მთლიანი ტერიტორიის ფართობის > 40 %-ზე მეტად და/ან 1 მეტრზე მეტად.</p> <p>ნახაზის საფუძველია საბაზისო რუკა (შავთეთრი სახით, შტამპის გარეშე), მისი ყველა მახასიათებლის დაცვით.</p>

⁵⁴ მონაცემთა შეგროვების მომენტისთვის ფაქტობრივი მდგომარეობით.
⁵⁵ ძირითადი დებულებები, მუხლები 24, 41. (24)



ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

დავალება ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N297(პანსიონატი ქარიშხალა) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. N 20.42.01.051) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (გ(დ)გ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევნი დოკუმენტებით) შემუშავების თაობაზე

		<p>პროექტის აუცილებელი ელემენტებია (მათი არსებობის შემთხვევაში) არსებული და საპროექტო:</p> <ul style="list-style-type: none"> ვერტიკალური ნიშნულები; რელიეფის ფორმები; გზების/გასასვლელების/მოედნების ჭრილები (მ 1:20 – 1:50).
--	--	--

ცხრილი 3. განაშენიანების ესკიზის შემადგენლობა.

განაშენიანების ესკიზი მზადდება ალბომის სახით, §1.4.3-ით კვლევის ანგარიშებისთვის დადგენილი წესით. პლანშეტზე ინფორმაციის განაწილებისას დაცულ უნდა იქნეს §1.4.3.2 გრაფიკული ნაწილისთვის დადგენილი მოთხოვნები.

2.3. გეგმის კონცეფცია (გეგმის მონახაზი)

2.3.1. საერთო მოთხოვნები

კოდექსის თანახმად, ორივე ტაქსონომიური დონის გეგმები შედგება ტექსტური ნაწილისა და გრაფიკული ნაწილისაგან. ამასთან, გეგმების შემუშავების წესის თანახმად, ზედა ტაქსონომიური დონის გეგმებისთვის ტექსტური ნაწილი არის ძირითადი და გრაფიკული ნაწილი – მისი დამხმარე, ხოლო ქვედა ტაქსონომიური დონის გეგმებისთვის გრაფიკული ნაწილი არის ძირითადი და ტექსტური ნაწილი – მისი დამხმარე. გ(დ)გ კონცეფცია (მონახაზი) ხარისხობრივად უნდა პასუხობდეს გეგმების შემუშავების წესის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

2.3.2. დარგობრივი საკითხები

დაგეგმილი ცვლილებებიდან ისეთი დარგობრივი მიმართულებები, რომელთა განვითარებაც გამომდინარეობს დაგეგმვის შესაბამისი ტაქსონომიური დონის საერთო ამოცანებიდან და ინტეგრირებულად შეუძლებელია მათი სათანადოდ წარმოჩენა, ⁵⁶ უნდა მომზადდეს დამოუკიდებელ გეგმებად, ⁵⁷ ძირითადი გეგმისგან გამოცალკევებით და ცალკე პლანშეტებზე, კოდექსის მე-6 მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად.

წინამდებარე დავალების შესაბამისად დამოუკიდებელ გეგმებად უნდა მომზადდეს:

- ლანდშაფტის დაცვის გეგმა ან გამწვანების გეგმა (ამ ეტაპზე კონცეფცია, ხოლო შემდგომ ეტაპზე — გეგმა);
- საგზაო მოძრაობის (რე)ორგანიზების გეგმა. (ამ ეტაპზე კონცეფცია, ხოლო შემდგომ ეტაპზე — გეგმა);

2.3.3. ალტერნატიული გადაწყვეტები

ალტერნატიული გადაწყვეტები უნდა შემუშავდეს პირველად ვერსიებში – საჯარო განხილვებისთვის, ხოლო კონსენსუსის მიუღწევლობის შემთხვევაში გეგმის კონცეფციის საბოლოო ვერსიაში უნდა დარჩეს მხოლოდ კრიტიკულად განსხვავებული ვარიანტები, რაზეც საბოლოოდ უნდა მომზადდეს სგშანგარიში.

2.3.4. ეფექტიანობის შეფასება

გეგმების კონცეფციების ეფექტიანობის შეფასება მზადდება ანგარიშის სახით (§5.3.3) და მოიცავს:

- გეგმარებითი ერთეულების საბაზისო მონაცემების გენერალიზებულ ინტერპრეტაციებს;
- გეგმების კონცეფციებში შემოთავაზებული გადაწყვეტების აღწერას/განმარტებას, მათ შორის ალტერნატივების (არსებობის შემთხვევაში) ურთიერთშედარებით ანალიზს;
- ყველაზე სიცოცხლისუნარიანი ვარიანტ(ებ)ის ხარჯ-სარგებლიანობას, მათ შორის არსებობის შემთხვევაში — კ¹/კ² გადამეტების და მისი/მათი მაკომპენსირებელი ღონისძიებების ხარჯსარგებლიანობის თანაზომადობას.

⁵⁶ მაგ. ტრანსპორტის განვითარება, ლანდშაფტის დაცვა, რისკების მართვა, საინჟინრო ქსელების განვითარება და/ან სხვა დაგეგმვის საჭიროებიდან გამომდინარე.

⁵⁷ კონცეფციად ამ ეტაპზე და გეგმად მომდევნო ეტაპზე.



ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

დავლება ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N297(პანსიონატი ქარიშხალა) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. N 20.42.01.051) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (გ(დ)გ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევი დოკუმენტებით) შემუშავების თაობაზე

ეფექტიანობის შეფასება წარმოებს სიცოცხლისუნარიანი და/ან ალტერნატიული ვარიანტისთვის ცალ-ცალკე, სადაც განხილული უნდა იყოს ტექსტონომიური დონის შესაბამისი საბალანსო ერთეულის მიხედვით არსებული ინფრასტრუქტურის ნაკვლევი მონაცემების, მათი განვითარების/გამდიერების შესაძლებლობებისა და განვითარების ხედვისა და სტრატეგიის შეჯერებული ვარიანტის კორელაცია, ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. აგრეთვე, გამოვლენილ და შეჯერებულ იქნას დარგობრივი საკითხები და ამ გზით იქნას საბოლოოდ შეფასებული დაგეგმარების მიზანშეწონილობა და შემოთავაზებული ვარიანტის ეფექტიანობა.

ეფექტიანობის შეფასება (SWOT ანალიზი) საბოლოო სახით შეტანილ უნდა იქნეს გეგმების კონცეფციის ტექსტურ ნაწილებში.

2.3.5. გრაფიკული ნაწილი — ტერიტორიათა გამოყენების რუკა და ძირითადი მოთხოვნები

გ(დ)გ კონცეფციის ძირითადი ნაწილია საბაზისო რუკაზე დამუშავებული *ტერიტორიათა გამოყენების რუკა*,⁵⁸ რომლის მომზადების ფორმატი და მასშტაბი უნდა შეესაბამებოდეს *საბაზისო რუკისთვის* §2.1.2.1 დადგენილს.

სივრცული მონაცემების (*გეგმების შემუშავების წესი* > დანართი 2) შესაბამისი პირობითი აღნიშვნების *საბაზისო რუკაზე* დატანით, გეგმის კონცეფცია უნდა ასახავდეს *დაგეგმილი ცვლილებების* შეჯერებული ვარიანტის შესაბამის: ტერიტორიათა კატეგორიებს, კოდექსის 39-ე მუხლის შესაბამისად⁵⁹ და/ან ფუნქციურ ქვეზონებს, კოდექსის მე-40 მუხლის შესაბამისად.

ტერიტორიათა გამოყენების რუკას უნდა ახლდეს გეგმის ძირითადი მოთხოვნები — *განაშენიანების მართვის რეგლამენტი*, რომელიც მინიმუმ უნდა მოიცავდეს:

- უძრავი ქონების გამოყენების ნებადართული სახეობების ძირითად და საგამონაკლისო ჩამონათვალს;
- განაშენიანების ძირითად პარამეტრებს და საჭიროების შემთხვევაში, ზღვრული მაჩვენებლების გადამეტების პირობებს;
- განაშენიანების სახეობას და მიჯნის ზონებს;
- ესთეტიკურ პარამეტრებს;
- შემოღობვის პირობებს;
- გამწვანების პირობებს;
- საჭიროების შემთხვევაში, სხვა პირობებს, მათ შორის წამახალისებელი ზონირების დათქმებს, ესთეტიკურ პარამეტრებს და სხვა საკითხებს, *კოდექსის* შესაბამისად და ტერიტორიის სპეციფიკიდან გამომდინარე, რაც დადგენილია გ(დ)გ რეგულირების საგნად;⁶⁰
- არსებობის შემთხვევაში, **დარგობრივი გეგმების მოთხოვნებს** ან გადამისამართებას ამგვარ მოთხოვნებზე.

გ(დ)გ კონცეფციის ძირითადი მოთხოვნები ასევე უნდა აისახოს ტექსტურ ნაწილშიც და შესაბამისად — ეფექტიანობის შეფასების ანგარიშში.

პლანშეტზე ინფორმაციის განაწილებისას გასათვალისწინებელია შემდეგი მოთხოვნები:

- ძირითადი ნახაზი უნდა განთავსდეს ცენტრალურ ნაწილში, მარცხენა კიდიდან – შტამპამდე;
- შტამპი (გ(დ)გ რეკვიზიტებით, პირობითი აღნიშვნებით, გ(დ)გ დამტკიცების წინაპირობების (საჯარო განხილვის, სგმ პროცედურების მონაცემები) და სხვა რელევანტური ინფორმაციით), უნდა განთავსდეს მარჯვენა მხარეს ვერტიკალურ ზოლად;
- ძირითად ნახაზს უნდა გააჩნდეს/ახლდეს:
 - კონტურული ჩარჩო (ვიზუალური გამოყოფი), მის ქვემოთ: რიცხვითი და ხაზობრივი მასშტაბი, პლანშეტის ფორმატი, გამოხაზვის პროგრამული უზრუნველყოფა;

⁵⁸ არსებითად ეს უკანასკნელი არის საკუთრივ გეგმაც.

⁵⁹ თუ ის წყვეტს ზემოდგომი გეგმით განსაზღვრულ საკითხებს ან უბრალოდ მოიცავს ამ მუხლით განსაზღვრულ ტერიტორიებსაც.

⁶⁰ მაგ. ინსოლაციისა და ბუნებრივი განათებულობის პირობები. (24)



ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

დავლება ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N297(პანსიონატი ქარიშხალა) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. N 20.42.01.051) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (გ(დ)გ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევი დოკუმენტებით) შემუშავების თაობაზე

- გეგმარებითი ერთეულის **სიტუაციური რუკა** დასახლების სტრუქტურაში (მ 1:5000-1:10000, სადაც გეგმარებითი ერთეული აღინიშნება ლაქობრივად ან პუნქტირით, მასშტაბის შესაბამისად), მარცხენა ზედა კუთხეში;
- ანოტაცია (ნახაზით გადმოცემული ინფორმაციის მოკლე აღწერა და გეგმის ძირითადი მოთხოვნები).
- **განაშენიანების მართვის რეგლამენტი** (გეგმის ძირითადი მოთხოვნები) და სხვა ანოტაცია დაიტანება ძირითად ნახაზის მარცხენა მხარეს, პლანშეტის ნაპირში იმგვარად, რომ არ დაფაროს უშუალოდ ნახაზი და/ან ტექსტი არ იყოს გაბნეული ნახაზზე. საჭიროების შემთხვევაში, ტექსტის უკან ნახაზი იფარება თეთრი ფონით.

2.3.6. ტექსტური ნაწილი — დასაბუთება

გ(დ)გ კონცეფციას უნდა ახლდეს **ტექსტური ნაწილი**,^{61, 62} რომლის დანიშნულებაც დაინტერესებულ და/ან დაგეგმვაში უშუალოდ ჩართულ პირებს მაქსიმალურად ლაკონურად მიაწოდოს განაშენიანების დაგეგმვის დასაბუთება: დაგეგმვის წინაპირობები, გეგმის ანოტაცია (**დაგეგმილი ცვლილებები, ტერიტორიათა გამოყენების ზოგადი პირობები და პარამეტრები, ინტერესთა შეჯერება**), მოსალოდნელი ზეგავლენები და ეფექტიანობა. **ტექსტური ნაწილი** წარმოადგენს **გეგმის კონცეფციის დამტკიცების წინაპირობას და დაერთვის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებით ბარათს.**

ტექსტური ნაწილი წარმოადგენილი უნდა იყოს §1.4.3-ით დადგენილი ფორმისა და მახასიათებლების დაცვით, ხოლო მისი ძირითადი შინაარსი მინიმუმ უნდა მოიცავდეს:

A. დასაბუთებას:

I. დაგეგმვის ობიექტი და დაგეგმვის მოსაზრებების შემუშავება

1. **დაგეგმვის საჭიროება და ინიციატივა**
2. **გეგმარებითი ერთეულის აღწერა**⁶³
 - 2.1. საზღვრები / ურბანული ინტეგრაცია
 - 2.2. გეომორფოლოგია
 - 2.3. ბუნებრივი და კულტურული ფასეულობები
 - 2.4. კლიმატი და ეკოლოგია
 - 2.5. ქალაქგანვითარების მდგომარეობა და არსებული სტრუქტურა
 - 2.5.1. განაშენიანებისა და გამოყენების სახეობების სტრუქტურა
 - 2.5.2. ინფრასტრუქტურა: სოციალური, სატრანსპორტო და ტექნიკური
 - 2.6. დემოგრაფია⁶⁴
 - 2.7. საკუთრების სტრუქტურა
 - 2.8. დაგეგმვის მოქმედი კანონმდებლობა
3. **დაგეგმვისწინა მდგომარეობა**
 - 3.1. დაგეგმვის მიზნები და პრინციპები
 - 3.2. ზემოდგომი გეგმების მთხოვნები
 - 3.2.1. გენერალური გეგმა
 - 3.2.2. ქალაქთმშენებლობითი ღონისძიების გეგმები
 - 3.2.3. მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული განვითარების სხვა გეგმები / პროგრამები
 - 3.3. დარგობრივი გეგმები
 - 3.4. მომიჯნავედ დამტკიცებული და დამუშავების პროცესში მყოფი ქალაქთმშენებლობითი გეგმები
4. **დაგეგმვის მოსაზრებების ფორმირება**
 - 4.1. დაგეგმვის ტაქსონომიური დონე და მასშტაბი
 - 4.2. საწყისი მონაცემები და ინიცირებული ცვლილებები
 - 4.3. განვითარების ზღვრული სიმჭიდროვეები⁶⁵

⁶¹ კოდექსი: მუხლი 11. (3)

⁶² გეგმების შემუშავების წესი: მუხლი 10, პუნქტი 3. (25)

⁶³ მონაცემთა მატრიცის მიხედვით

⁶⁴ მოსახლეობის რაოდენობა და სიმჭიდროვე.

⁶⁵ ქალაქთმშენებლობითი სიმჭიდროვეებისა და ინფრასტრუქტურის ურთიერთმიმართება.



ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

დავალება ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N297(პანსიონატი ქარიშხალა) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. N 20.42.01.051) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (გ(დ)გ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევი დოკუმენტებით) შემუშავების თაობაზე

II. გეგმის შინაარსი და ინტერესთა შეჯერება

1. დაგეგმვის მიზნები და გეგმის ძირითადი შინაარსი
 - 1.1. გეგმის მიზანი
 - 1.2. გეგმის ძირითადი შინაარსი
2. განვითარების შესაძლებლობები
 - 2.1. ზელოკალური განვითარება
 - 2.1.1. სდგ-ს / დარგობრივი გეგმების მიხედვით
 - 2.1.2. გენგეგმის მიხედვით
 - 2.2. ლოკალური განვითარება
 - 2.2.1. დაგეგმილი ცვლილებები
 - 2.2.2. საჯარო და კერძო ინტერესები
 - 2.2.3. ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებები
 - 2.2.3.1. ალტერნატივები და ლიმიტაციები
 - 2.2.3.2. ეტაპები და რიგითობა
 - 2.2.4. მაკომპენსირებელი ღონისძიება/ები და მათი ეკონომიკური დასაბუთება
3. განაშენიანების მართვის რეგლამენტის დასაბუთება
 - 3.1. გამოყენების ნებადართული და საგამონაკლისო სახეობები
 - 3.2. განაშენიანების რეგულირების პარამეტრები და მათი ზღვრული მაჩვენებლების გადამეტების პირობები
 - 3.3. განაშენიანების სახეობები და განაშენიანების ხაზები (საზღვრები)
 - 3.4. საზოგადოებრივი ტრანსპორტის ზონები
 - 3.5. ემისიებისგან (მაგნე გამონაბოლქვისგან) დაცვა
 - 3.6. გამწვანების პირობები
 - 3.7. სხვა პირობები
 - 3.8. ტერიტორიების ბალანსი
4. საჯარო და კერძო ინტერესების (შეწონვა) შეჯერება

III. განაშენიანების გეგმის ზეგავლენები

1. ზეგავლენა გარემოზე (გარემოსდაცვითი ანგარიშის რეზიუმე) ⁶⁶
2. ზეგავლენა საცხოვრებლის საჭიროებებსა და სამუშაო ადგილებზე
3. ზეგავლენა სოციალურ ინფრასტრუქტურაზე
4. ზეგავლენა საგზაო მოძრაობაზე
5. ზეგავლენა საჯარო ბიუჯეტზე და საფინანსო ან საინვესტიციების დაგეგმვაზე
6. სხვა ზეგავლენები და [ეფექტიანობის შეფასება](#)

IV. პროცედურები და სამართლებრივი საფუძვლები

1. პროცედურის ტიპი
2. შეტყობინება დაგეგმვის განზრახვის შესახებ
 - 2.1. ინიციატივის განცხადება
 - 2.2. ინიციატივის გადაწყვეტილება
3. სამართლებრივი საფუძვლები

B. დანართებს:

1. ინფორმაცია მიმწოდებლის შესახებ
 - 1.1. რეკვიზიტები
 - 1.2. დაგეგმვის გუნდი და კვალიფიკაცია
2. განაშენიანების ესკიზი
3. დარგობრივი გეგმების კონცეფციები (არსებობის შემთხვევაში)
 - 3.1. გამწვანების გეგმის კონცეფცია (*ხოლო შემდგომ ეტაპზე — გეგმა*)

⁶⁶ სკოპინგი ან სგმ, ეტაპის შესაბამისად.



ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

დავალება ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N297(პანსიონატი ქარიშხალა) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. N 20.42.01.051) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (გ(დ)გ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევი დოკუმენტებით) შემუშავების თაობაზე

3.2. საგზაო მოძრაობის (რე)ორგანიზების გეგმის კონცეფცია (ხოლო შემდგომ ეტაპზე — გეგმა)

2.4. ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაცია

2.4.1. მიწის ნაკვეთების მონაცვლეობის გეგმა

მიწის ნაკვეთების მონაცვლეობის გეგმა მზადდება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც [დაგეგმილი ცვლილებები](#) გულისხმობს გეგმარებით ერთულში წარმოდგენილი რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ცვლილებასაც, როგორც გ(დ)გ განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებების წინაპირობა, კოდექსის 51-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად.

მიწის ნაკვეთების მონაცვლეობა (მათ შორის კონფიგურაციის ცვლა) უნდა განხორციელდეს კოდექსის 51-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით და შედეგობრივად აისახოს მიწის ნაკვეთების მონაცვლეობის გეგმაში. ეს უკანასკნელი თავისი შემადგენლობით უნდა პასუხობდეს კოდექსის 52-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს და უნდა მოიცავდეს:

- მიწის ნაკვეთების მონაცვლეობის არეალს;
- მონაცვლეობისადმი დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთების საზღვრებს;
- მიწის ნაკვეთების ღირებულებას (თუ მონაცვლეობა ხდება არატოლფასი ღირებულების მიწის ნაკვეთით);
- ახალ საკადასტრო რუკას (საჯარო რეესტრის მიერ დადგენილი სტანდარტის შესაბამისად);
- ინფორმაციას მესაკუთრეთა და ფულადი კომპენსაციის თაობაზე (თუ მონაცვლეობა ხდება არატოლფასი ღირებულების მიწის ნაკვეთით).

მიწის ნაკვეთების მონაცვლეობის გეგმა მზადდება ერთი პლანშეტის სახით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში რამდენიმე ნაწილდება პლანშეტზე. ინფორმაციის პლანშეტზე განაწილებისას დაცულ უნდა იქნეს გ(დ)გ კონცეფციის პლანშეტისთვის დადგენილი მოთხოვნები (§2.3).

2.4.2. ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმა

ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმა ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც [დაგეგმილი ცვლილებები](#) გულისხმობს გეგმარებით ერთულში საზოგადოებრივ ინტერესებით განპირობებულ ინფრასტრუქტურული, თუ სხვა სახის გაუმჯობესების (კეთილმოწყობის, რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციის და მსგ.) ღონისძიებები, მათ შორის მაკომპენსირებელი ღონისძიებები, §1.4.4-ის შესაბამისად.

ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმა ეფუძნება დაგეგმილი ცვლილებების საბოლოო შეჯერებულ ვარიანტს და მის საფუძველზე მომზადებულ განაშენიანების ესკიზს, და თავისი შემადგენლობით უნდა პასუხობდეს კოდექსის 59-ე მუხლის დადგენილ მოთხოვნებს, მათ შორის: ღონისძიებების ეტაპებსა და რიგობას, მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელ და დამფინანსებელ პირებს.

ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმა მზადდება ერთი პლანშეტის სახით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ნაწილდება რამდენიმე პლანშეტზე. ინფორმაციის პლანშეტზე განაწილებისას დაცულ უნდა იქნეს გ(დ)გ კონცეფციის პლანშეტისთვის დადგენილი მოთხოვნები (§2.3).

2.4.3. გ(დ)გ

გ(დ)გ შინაარსი და შემადგენლობა უნდა პასუხობდეს კოდექსის შესაბამისი მუხლების და გეგმების შემუშავების წესის IV თავის მოთხოვნებს. ამასთან, მისი მომზადების ფორმატი და მასშტაბები უნდა შეესაბამებოდეს გ(დ)გ კონცეფციას (§2.3). ალტერნატიულ ვარიანტებთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება სგმ უფლებამოსილი ორგანოების მიერ სტრატეგიული დოკუმენტის (ამ შემთხვევაში გ(დ)გ პროექტთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით).

გ(დ)გ ტექსტური ნაწილი უნდა წარმოადგენდეს შესაბამისი გეგმის კონცეფციის ტექსტური ნაწილის შევსებულ და/ან დაზუსტებულ ვერსიას (§2.4). ამასთან შევსება და/ან დაზუსტებები უნდა წარმოებდეს მერთან/სამსახურთან შეთანხმებით და/ან საკრებულოს მიერ კონცეფციის დამტკიცების დროს გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით, რაც არ უნდა იწვევდეს გეგმის მონახაზის (კონცეფციის) არსებით ცვლილებას. გ(დ)გ ტექსტური ნაწილი, გარდა ძირითადი მოთხოვნებისა (განაშენიანების მართვის რეგლამენტისა), საბოლოო სახით შეტანილ უნდა იქნეს გ(დ)გ დამტკიცების აქტის განმარტებით ბარათში.

გ(დ)გ კონცეფციის შედგენის ეტაპზე, ცალკე გამოყოფილი დამოუკიდებელი გეგმების კონცეფციებზე (§2.4) დაყრდნობით უნდა მომზადდეს დამოუკიდებელი გეგმები და დამტკიცდეს დანარჩენ



ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

დავლება ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N297(პანსიონატი ქარიშხალა) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. N 20.42.01.051) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (გ(დ)გ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევი დოკუმენტებით) შემუშავების თაობაზე

ქალაქთმშენებლობით დოკუმენტაციასთან ერთად, კოდექსის მე-6 მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად. ამგვარი გეგმები, გ(დ)გ ერთად ქმნიან გეგმარებითი ერთეულის განაშენიანების მართვის დოკუმენტაციას.

2.5. გეგმების მომზადების კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა

ინიციატორი/მიმწოდებელი თავისუფალია წინამდებარე დავალებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის მომზადებისა და რედაქტირებისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის არჩევაში. შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც ფასიანი, ისე უფასო (ღია ლიცენზიის) პროგრამული უზრუნველყოფა, თუმცა საბოლოო შედეგები მან უნდა წარადგინოს §1.4.3.1 მოთხოვნათა დაცვით.

ქვემოთ მოცემულია რეკომენდებული (როგორც შესაძლო) ვარიანტები იმ პროგრამული უზრუნველყოფით, რაც დაეხმარება ინიციატორს/მიმწოდებლის სამუშაოს შესრულებაში.

2.5.1. ტექსტური და გრაფიკული ინფორმაცია

ტექსტური ინფორმაციის მომზადებისა და რედაქტირებისთვის კარგი ინსტრუმენტებია: [MS WORD](#) (2010 ან უფრო ახალი ვერსიები), ⁶⁷ [Google Docs](#) (უფასო ინტერნეტ-პატფორმა), [Apache OpenOffice](#) (უფასო), [LibreOffice Writer](#) (უფასო) და მსგავსი.

გრაფიკული ინფორმაციის მომზადებასა და რედაქტირებაში სხვადასხვა ტიპის პროგრამული უზრუნველყოფა შეიძლება იქნეს გამოყენებული. ასე მაგალითად, ტოპოგრაფიული აგეგმვისა და საბაზისო რუკის შედგენისთვის — [გის](#) ან რომელიმე CAD პროგრამული უზრუნველყოფა გამოიყენება.

დაგეგმარების მიზნებისთვის, საქართველოში დამკვიდრებული გამოცდილებით აქტიურად გამოიყენება: [AutoCAD](#), [Revit](#) და [ArchiCAD](#), ასევე და დამატებით ვიზუალიზაციისთვის [3ds Max](#) ან [SketchUp](#), და [Photoshop](#).

2.5.2. გის ინფორმაცია

გის ინფორმაცია თავს იყრის პერსონალურ გეომონაცემთა ბაზაში, რომელიც შემდგომ ინტეგრირდება სამსახურის დსს. მონაცემთა ბაზის სტანდარტული სტრუქტურა უნდა მოიცავდეს მოსამზადებელი კვლევის შედეგების ამსახველ ფენებს (ორთოფოტოები, გეომორფოლოგიური, კლიმატური და სხვა) და დაგეგმილი ცვლილებების ამსახველ ფენებს (ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის ნაწილები და რეგლამენტები).

ჩასაბარებელ გის ინფორმაციასთან დაკავშირებული მინიმალური ტექნიკური მოთხოვნებია:

- გის ინფორმაციის მომზადებისა და რედაქტირებისთვის კარგი ინსტრუმენტებია: [ArcGIS 10](#), [AutoCAD Map 3D](#), [QGIS](#) (უფასო) ან [gvSIG](#) (უფასო);
- პერსონალური გეომონაცემთა ბაზა უნდა იყოს WGS 84\UTM 38N საქართველოს სახელმწიფო საკოორდინატო სისტემაში; (22)
- პერსონალურ გეომონაცემთა ბაზის ფორმატია [.mdb](#), ხოლო ცალკეული ფენებისა — [.shp](#);
- პერსონალურ გეომონაცემთა ბაზის მონაცემები (იგულისხმება გარკვეული ფენები) საბოლოო ვერსია შემოწმებული უნდა იქნეს ტოპოლოგიურ შეცდომებზე (ტოპოლოგიური სიზუსტე 0.025 მ).

2.6. საპროექტო მომსახურების ვადა და ეტაპები

საპროექტო მომსახურების ყველა ეტაპის ერთად აღებული ვადა ხელშეკრულების დადებიდან, საპროექტო მომსახურების შედეგის მიღება-ჩაბარების ვადების გარეშე, არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს, ხოლო დასაბუთებული შუამდგომლობის შემთხვევაში ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს 2 თვით. ⁶⁸

შესამუშავებელი დოკუმენტების მიწოდების ეტაპობრიობა და ვადები მოცემულია ქვემოთ. მასში გათვალისწინებულია ასევე დოკუმენტაციის განხილვისა და მოწონება/მიღება-ჩაბარების ვადები. ინიციატორი თავად აგებს პასუხს ამ დავალებით განსაზღვრული ეტაპებისა და ვადების მენარდესთან ურთიერთობებში გაითვალისწინებაზე.

⁶⁷ ან მისივე უფასო ონლაინ ვერსია - [Office Online](#).

⁶⁸ კოდექსი: მუხლი 47, ნაწილი 4.



ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

დავალება ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N297(პანსიონატი ქარიშხალა) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. N 20.42.01.051) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (გ(დ)გ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევი დოკუმენტებით) შემუშავების თაობაზე

1. ეტაპი. შუალედური (მოსამზადებელი) დოკუმენტების წარდგენა (სულ არაუმეტეს 26 დღე):

- 1.1. თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსება — ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 3 დღე;⁶⁹
- 1.2. საბაზისო მონაცემები (მატრიცა, რუკა და ანგარიშები) — ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 20 დღე;
- 1.3. განაშენიანების ესკიზი, გ(დ)გ კონცეფცია (გ(დ)გ მონახაზი), სკრინინგის განაცხადი / სკოპინგის განაცხადი და ანგარიში — ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 20 დღე.
- 1.4. დოკუმენტაციის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნება — 1.3 ეტაპის დასრულებიდან და ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან არაუმეტეს 5 დღე.
- 1.5. დოკუმენტაციის გაგზავნა სხვა ადმინისტრაციული ორგანოებისთვის — 1.3 ეტაპის დასრულებიდან და ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან არაუმეტეს 6 დღე.⁷⁰

2. ეტაპი. შუალედური დოკუმენტაციის განხილვები (სულ არაუმეტეს 23 დღე):

- 2.1. დოკუმენტაციაზე დაინტერესებულ პირთა და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მოსაზრებების მიღება — 1.5 ეტაპის დასრულებიდან არაუმეტეს 10 დღე;⁷¹
- 2.2. მიღებული მოსაზრებების განხილვა მერიაში/სამსახურში და საჭიროების შემთხვევაში რელევანტური შენიშვნებით დოკუმენტაციის ინიციატორისთვის/მიმწოდებლისთვის დაბრუნება — 2.1 ეტაპის დასრულებიდან 3 დღე;
- 2.3. ინიციატორის/მენსარდის მიერ დოკუმენტაციის შესწორება/განახლება შენიშვნების შესაბამისად — შენიშვნების მიღებიდან 10 დღე.

3. ეტაპი. შუალედური დოკუმენტაციის დამტკიცება (სულ არაუმეტეს 43 დღე⁷²):

- 3.1. გ(დ)გ კონცეფციის წარდგენა საკრეულოში მერის მიერ — 2.3 ეტაპის დასრულებიდან არაუმეტეს 3 დღე;
- 3.2. გ(დ)გ კონცეფციის განხილვა და/ან დამტკიცება საკრეულოში — 3.1 ეტაპის დასრულებიდან არაუმეტეს 10 დღე;
- 3.3. გ(დ)გ კონცეფციის არ დამტკიცების შემთხვევაში, საკრებულოს მოსაზრებების განხილვა მერიაში/სამსახურში და რელევანტური შენიშვნებით დოკუმენტაციის ინიციატორისთვის/მიმწოდებლისთვის დაბრუნება — 3.2 ეტაპის დასრულებიდან არაუმეტეს 3 დღე.
- 3.4. ინიციატორის/მიმწოდებლის მიერ დოკუმენტაციის შესწორება/განახლება შენიშვნების შესაბამისად — შენიშვნების მიღებიდან 10 დღე.

4. ეტაპი. საბოლოო დოკუმენტების წარდგენა (სულ არაუმეტეს 21 დღე):

- 4.1. თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსება — 3.4 ეტაპის დასრულებიდან არაუმეტეს 3 დღე;⁷³
- 4.2. ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტები და სგშ ანგარიში — 3.4 ეტაპის დასრულებიდან 15 დღე;
- 4.3. ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნება — 4.2 ეტაპის დასრულებიდან და ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან არაუმეტეს 5 დღე.
- 4.4. ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების გაგზავნა სხვა ადმინისტრაციული ორგანოებისთვის — 4.2 ეტაპის დასრულებიდან და ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან არაუმეტეს 6 დღე.

⁶⁹ და ადმინისტრაციული წარმოების დაწყებამდე არაუგვიანეს 2 კვირისა.

⁷⁰ გეგმების შემუშავების წესის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

⁷¹ სხვა ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 84-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

⁷² შენიშვნების გასწორების და განმარებითი განხილვის ჩათვლით.

⁷³ და ადმინისტრაციული წარმოების დაწყებამდე არაუგვიანეს 2 კვირისა.



ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

დავალება ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N297(პანსიონატი ქარიშხალა) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. N 20.42.01.051) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (გ(დ)გ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევი დოკუმენტებით) შემუშავების თაობაზე

6. ეტაპი. საბოლოო დოკუმენტაციის განხილვები (სულ არაუმეტეს 23 დღე):

- 6.1. ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტებზე დაინტერესებულ პირთა და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მოსაზრებების მიღება — 4.4 ეტაპების დასრულებიდან არაუმეტეს 10 დღე;⁷⁴
- 6.2. მიღებული მოსაზრებების განხილვა მერიაში/სამსახურში და საჭიროების შემთხვევაში რელევანტური შენიშვნებით დოკუმენტაციის ინიციატორისთვის/მიმწოდებლისთვის დაბრუნება — 6.1 ეტაპის დასრულებიდან 3 დღე;
- 6.3. ინიციატორის/მიმწოდებლის მიერ ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შესწორება/განახლება შენიშვნების შესაბამისად — შენიშვნების მიღებიდან 10 დღე.

7. ეტაპი. საბოლოო დოკუმენტაციის დამტკიცება (სულ არაუმეტეს 36 დღე⁷⁵):

- 7.1. ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების წარდგენა საკრეულოში მერის მიერ — 6.3 ეტაპის დასრულებიდან არაუმეტეს 3 დღე;
- 7.2. ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების განხილვა და/ან დამტკიცება საკრებულოში — 7.1 ეტაპის დასრულებიდან არაუმეტეს 10 დღე;
- 7.3. ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების არ დამტკიცების შემთხვევაში, საკრებულოს მოსაზრებების განხილვა მერიაში/სამსახურში და რელევანტური შენიშვნებით დოკუმენტაციის ინიციატორისთვის/მიმწოდებლისთვის დაბრუნება — 7.2 ეტაპის დასრულებიდან არაუმეტეს 3 დღე.
- 7.4. ინიციატორის/მიმწოდებლის მიერ ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შესწორება/განახლება შენიშვნების შესაბამისად — შენიშვნების მიღებიდან 10 დღე.

სულ ჯამში, დოკუმენტაციის მომზადებაზე, განხილვაზე (საჭიროებისამებრ გადამუშავებაზე) და დამტკიცებაზე გათვალისწინებულია 172 დღე.

3. დანართი ნაწილი

3.1. ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი. საქართველოს კონსტიტუცია. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონი №786- რს. [ინტერნეტი] 1995 წლის 24 აგვისტო. <https://matsne.gov.ge/document/view/30346?publication=35>.
2. საქართველოს პარლამენტი. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი. საქართველოს ორგანული კანონი N1958-III. [ინტერნეტი] 2014 წლის 05 თებერვალი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=37>.
3. —. საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი. საქართველოს კანონი N3213-რს. [ინტერნეტი] 2018 წლის 20 ივლისი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4276845?publication=1>.

⁷⁴ სხვა ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 84-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

⁷⁵ შენიშვნების გასწორების და განმარებითი განხილვის ჩათვლით.



ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

დავლება ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N297(პანსიონატი ქარიშხალა) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. N 20.42.01.051) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (გ(დ)გ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევნი დოკუმენტებით) შემუშავების თაობაზე

4. — გარემოს დაცვის შესახებ. *საქართველოს კანონი №519– ის*. [ინტერნეტი] 1996 წლის. <https://matsne.gov.ge/document/view/33340?publication=26>.
5. — კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. *საქართველოს კანონი №4708–ის*. [ინტერნეტი] 2007 წლის. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/21076?publication=14>.
6. — კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ. *საქართველოს კანონი*. [ინტერნეტი] 1998 წლის. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/14752?publication=22>.
7. — გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი. *საქართველოს კანონი N890-III*. [ინტერნეტი] 2017 წლის 1 ივნისი. <https://matsne.gov.ge/document/view/3691981?publication=2>.
8. — წყლის შესახებ. *საქართველოს კანონი №936–ის*. [ინტერნეტი] 1997 წლის. <https://matsne.gov.ge/document/view/33448?publication=23>.
9. — საქართველოს ტყის კოდექსი. *საქართველოს კანონი №2124-III*. [ინტერნეტი] 1999 წლის. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16228?publication=28>.
10. — საქართველოს ზღვის, წყალსატევებისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ. *საქართველოს კანონი №576-ის*. [ინტერნეტი] 2000 წლის. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1744?publication=5>.
11. — საქართველოს საზღვაო კოდექსი. *საქართველოს კანონი №715-III*. [ინტერნეტი] 1997 წლის. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29908?publication=34>.
12. — დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ. *საქართველოს კანონი N136-III*. [ინტერნეტი] 1996 წლის 7 მარტი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32968?publication=17>.
13. **საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი**. საავტომობილო გზების შესახებ. *საქართველოს რესპუბლიკის კანონი №585*. [ინტერნეტი] 1994 წლის. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28420?publication=19>.
14. **საქართველოს პარლამენტი**. საგზაო მოძრაობის შესახებ. *საქართველოს კანონი N1830-რს*. [ინტერნეტი] 2013 წლის 24 დეკემბერი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2169396?publication=12>.
15. — საქართველოს სარკინიგზო კოდექსი. *საქართველოს კანონი №1911 –რს*. [ინტერნეტი] 2002 წლის. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/14404?publication=7>.
16. — სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ. *საქართველოს პარლამენტი N2608-III*. [ინტერნეტი] 2018 წლის. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4243170?publication=3>.
17. — ტურიზმისა და კურორტების შესახებ. *საქართველოს კანონი №599*. [ინტერნეტი] 1997 წლის. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33370?publication=9>.
18. — კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ. *საქართველოს კანონი №1296–III*. [ინტერნეტი] 1998 წლის. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32476?publication=12>.



ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

დავალება ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N297(პანსიონატი ქარიშხალა) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. N 20.42.01.051) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (გ(დ)გ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევი დოკუმენტებით) შემუშავების თაობაზე

19. — ნარჩენების მართვის კოდექსი. *საქართველოს კანონი N2994-რს.* [ინტერნეტი] 2014 წლის.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2676416?publication=9>.
20. — გეოდეზიური და კარტოგრაფიული საქმიანობის შესახებ. *საქართველოს კანონი №1345-III.* [ინტერნეტი] 1998 წლის. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32512?publication=14>.
21. — სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ. *საქართველოს კანონი N3099-III.* [ინტერნეტი] 2015 წლის. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2750311?publication=5>.
22. **საქართველოს პრეზიდენტი.** საქართველოში სახელმწიფო გეოდეზიურ კოორდინატთა სისტემის შესახებ. *საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №206.* [ინტერნეტი] 1998 წლის 30 აპრილი.
<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/21628?publication=0>.
23. **საქართველოს მთავრობა.** საქართველოს კურორტების ნუსხისა და სტატუსის დამტკიცების შესახებ. *დადგენილება.* [ინტერნეტი] 2014 წლის.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2386144?publication=0>.
24. — ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ. *დადგენილება N261.* [ინტერნეტი] 2019 წლის 3 ივნისი.
<https://matsne.gov.ge/document/view/4579383?publication=0>.
25. — სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ. *დადგენილება N260.* [ინტერნეტი] 2019 წლის 3 ივნისი.
<https://matsne.gov.ge/document/view/4579368?publication=0>.
26. — ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ. *დადგენილება N366.* [ინტერნეტი] 2013 წლის.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2156434?publication=4>.
27. — მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ. *დადგენილება N365.* [ინტერნეტი] 2013 წლის.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2156463?publication=5>.
28. — საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. *დადგენილება N425.* [ინტერნეტი] 2013 წლის.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2187528?publication=1>.
29. — საქართველოს მცირე მდინარეების წყალდაცვითი ზოლების (ზონების) შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. *დადგენილება N445.* [ინტერნეტი] 2014 წლის.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2187049?publication=0>.
30. — წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. *დადგენილება N440.* [ინტერნეტი] 2013 წლის.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2187020?publication=0>.
31. — საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების შესახებ. *დადგენილება N71.* [ინტერნეტი] 2014 წლის 15 იანვარი.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2197044?publication=0>.



ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

დავალება ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N297(პანსიონატი ქარიშხალა) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. N 20.42.01.051) ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის (გ(დ)გ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევი დოკუმენტებით) შემუშავების თაობაზე

32. **საქართველოს რესპ. არქ. და ქალაქმშენ. სახ. კომიტეტი.** ქალაქმშენებლობა. ქალაქისა და სოფლის დასახლების დაგეგმარება და განაშენიანება. <http://chnp.pq>. [ინტერნეტი] 1991 წლის. <http://xn--h1ajhf.xn--p1ai/snip/view/110>.

33. **НЕДРА.** УСЛОВНЫЕ ЗНАКИ ДЛЯ ТОПОГРАФИЧЕСКИХ ПЛАНОВ МАСШТАБОВ 1:5000, 1:2000, 1:1000, 1:500. [В Интернете] 1989 г. <http://www.rumbgeo.ru/images/normativ-dokumenty/us-snaki-1.pdf>.

34. **საქართველოს მთავრობა.** საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ. დადგენილება №52. [ინტერნეტი] 2014 წლის. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2195713?publication=2>.

35. **საქართველოს პარლამენტი.** გეოდეზიური და კარტოგრაფიული საქმიანობის შესახებ. საქართველოს კანონი №1345-III. [ინტერნეტი] 1998 წლის 28 აპრილი. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/32512?publication=12>.

36. **საქართველოს მთავრობა.** დასახლების შექმნისა და გაუქმების, დასახლებისთვის შესაბამისი კატეგორიის მინიჭებისა და შეცვლის, აგრეთვე დასახლების ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის წესების დამტკიცების შესახებ. დადგენილება N307. [ინტერნეტი] 2016 წლის 1 ივლისი. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3328046?publication=0>.

37. **საქართველოს პარლამენტი.** ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ. საქართველოს კანონი N639-III. [ინტერნეტი] 2017 წლის 21 აპრილი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3654557?publication=0>.

38. **სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე.** კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ. ბრძანება N7. [ინტერნეტი] 2015 წლის 22 მაისი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2850051?publication=8>.

39. **საქართველოს პარლამენტი.** ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ. საქართველოს კანონი 1775-რს. [ინტერნეტი] 2005 წლის 24 ივნისი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/26824>.

ინიციატორის განცხადება და წარმოდგენილი დოკუმენტები

(ჩაერთვება აქ დასკანერებული ვერსია JPG ან სხვა რასტრული ფორმატის ფაილი)

გთხოვთ იხილოთ თანდართული PDF დოკუმენტი და ასევე დამატებით CD დისკი განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტისათვის



ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

დავალება ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N297(პანსიონატი ქარიშხალა) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. N 20.42.01.051) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (გ(დ)გ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევი დოკუმენტებით) შემუშავების თაობაზე

3.1.ეკონომიკური დასაბუთება

სამშენებლო პოტენციალის ($კ^1/კ^2$) ზრდის ხარჯ-სარგებლიანობის საანგარიშო ცხრილი	
(ინფორმაცია შეიყვანოთ მხოლოდ ლურჯად მონიშნულ ველებში)	
გათვლები ლარში	

ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ

გათვლების გაკეთების თარიღი	
მისამართი	
საკადასტრო კოდ(ებ)ი	
დეველოპერული კომპანია	
საკონტაქტო პირი	
ტელეფონი	

არსებული და მოთხოვნილი პარამეტრები

ფაქტობრივი/დადგენილი პარამეტრები		მოთხოვნილი პარამეტრები	
$კ^1$	0,0	$კ^1$	0,0
$კ^2$	0,0	$კ^2$	0,0
$კ^3$	0,0	$კ^3$	0,0

სამშენებლო მოცულობები

მიწის ფართობი	0,0		
$კ^2$ საანგარიშო ფართი	0,0		
კვ.მ. მიწის საშუალო საბაზრო ღირებულება			
მიწის ზედა სართულიანობა	0	მიწის ზედა სამშენებლო მოცულობა კვმ	0,0
მიწის ქვედა სართულიანობა	0	მიწის ქვედა სამშენებლო მოცულობა კვმ	0,0

მშენებლობის ხარჯი

	ფართობი	1 კვმ ღირებულება დღგ გარეშე ლარში	ლანაკარგი%
მთლიანი სამშენებლო მოცულობა	0,0	X	
მ.შ. საერთო ფართი (დანაკარგი სადარბაზო, კიბის უჯრედი)	0,0	0,0	#DIV/0!
მ.შ. საცხოვრებელი ფართი კვმ	0,0	0,0	
მ.შ. კომერციული ფართი კვმ	0,0	0,0	
მ.შ. საოფისე ფართი კვმ	0,0	0,0	
მ.შ. დახურული ავტოსადგომები კვმ	0,0	0,0	
მ.შ. სხვა დანიშნულების ფართი კვმ	0,0	0,0	
სულ მშენებლობის ხარჯი	0,0		

ვალდებულება (არსებობის შემთხვევაში)

ჯამური ვალდებულება გამოსახული თანხობრივად	0,0
გთხოვთ აღწერთ ვალდებულება და თანხის გაანგარიშება:	

შემოსავლები (სარეალიზაციო ფართზე დაყრდნობით)

	ფართობი	კვ.მ ღირებულება	ჯამური ღირებულ.
საცხოვრებელი ფართი	0,0	0,0	0,0
კომერციული ფართი	0,0	0,0	0,0
საოფისე ფართი	0,0	0,0	0,0
ავტოსადგომების რაოდენობა*	0	0,0	0,0
სხვა დანიშნულების ფართი	0,0	0,0	0,0
* გთხოვთ დააფიქსიროთ ავტოსადგომების რაოდენობა და თითო ავტოსადგომის სარეალიზაციო ფასი			
მთლიანი მიღებული შემოსავალი	0,0		

ინფორმაცია პროექტის განსორციელების მიზანშეწონილობის შესახებ

სხვაობა შემოსავალს და ხარჯს შორის	0,0
დღგ	0,0
მოგების გადასახადი	0,0
კ2 გადასახადი და მშენებლობის ნებართვა	0,0
დივიდენდი	0,0
მოგება გადასახადების შემდეგ	0,0



ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

დავალება ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N297(პანსიონატი ქარიშხალა) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. N 20.42.01.051) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (გ(დ)გ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევი დოკუმენტებით) შემუშავების თაობაზე

3.2.საინფორმაციო დაფა ⁷⁶

დაგეგმვის საჯაროობის უზრუნველსაყოფად გეგმარებით ერთეულში, საზოგადოებისათვის თვალსაჩინო ადგილას უნდა გამოეკრას საინფორმაციო დაფა. მისი გამოქვეყნების მინიმალური ზომები არ უნდა იყოს A1 ფორმატის პლანშეტზე მცირე.

განაშენიანების (დეტალური) გეგმის შემუშავება საინფორმაციო დაფა	
ინიციატორი:	ქ. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია კერძო ინიციატივის საფუძველზე შპს „დრიმლენდ რაზისი“ (I/D ნომერი 205205124) 
გადაწყვეტილება გ(დ)გ ინიცირების თაობაზე:	მერის ბრძანება N: 01-06 1038 თარიღი: 21/09/2021
დასაგეგმარებელი ტერიტორიის საზღვრები:	მისამართი: ქალაქ ქობულეთი, დ. აღმაშენებლის გამზირი #297 (ს.კ.20,42,01,051)
დაინტერესებული პირებისაგან მოსაზრებებისა და შეფასებების პერიოდი:	16/05/2022 -- 13/06/2022
გეგმის კონცეფციის და დამტკიცების აღმინისტრაციული წარმოების ვადები (სავარაუდო):	15/06/2022 - დან არაუმეტეს 40 სამუშაო დღე.
გეგმის განხილვის და დამტკიცების აღმინისტრაციული წარმოების ვადები (სავარაუდო):	22/09/2022 - დან არაუმეტეს 40 სამუშაო დღე.
დამამტკიცებელი ორგანო:	ქ. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია:	kobuletimunicipality@gmail.com

⁷⁶საჯარო აღმინისტრაციული წარმოება განაშენიანების გეგმის/განაშენიანების დეტალური გეგმის განხილვასა და დამტკიცებასთან დაკავშირებით

ილ. 4. საინფორმაციო დაფის ბლანკეტური ფორმა, ბათუმის მაგალითზე.

საინფორმაციო დაფის ციფრული ფაილი დავალებას ერთვის კომპაქტ-დისკით. დამატებით შეგიძლიათ მისი გამოთხოვა სამსახურიდან.

3.3.საბაზისო მონაცემების მატრიცა

საბაზისო მონაცემთა მატრიცის ციფრული ფაილი დავალებას ერთვის კომპაქტ-დისკით. დამატებით შეგიძლიათ მისი გამოთხოვა სამსახურიდან.

ფუძის რამონატი

ბებ-ბ..1	ფუძის რამონატი	ბებ-ბ.46	ა.მონაბაბა.
ბებ-ბ..2	შენაბაბა	ბებ-ბ.47	ა.მონაბაბა.
ბებ-ბ..3	ბაბაბაბა	ბებ-ბ.48	ა.მონაბაბა.
ბებ-ბ..4	ბაბაბაბა	ბებ-ბ.49	ა.მონაბაბა.
ბებ-ბ..5	ბაბაბაბა (ბაბაბა ბ)	ბებ-ბ.50	ა.მონაბაბა.
ბებ-ბ..6	ბაბაბაბა	ბებ-ბ.51	ა.მონაბაბა.
ბებ-ბ..7	ბაბაბაბა	ბებ-ბ.52	ბაბაბაბა
ბებ-ბ..8	ბაბაბაბა	ბებ-ბ.53	ბაბაბაბა
ბებ-ბ..9	ბაბაბაბა	ბებ-ბ.54	ბაბაბაბა
ბებ-ბ..10	ბაბაბაბა	ბებ-ბ.55	ბაბაბაბა
ბებ-ბ..11	ბაბაბაბა	ბებ-ბ.56	ბაბაბაბა
ბებ-ბ..12	ბაბაბაბა	ბებ-ბ.57	ბაბაბაბა
ბებ-ბ..13	ბაბაბაბა	ბებ-ბ.58	ბაბაბაბა
ბებ-ბ..14	ბაბაბაბა	ბებ-ბ.59	ბაბაბაბა
ბებ-ბ..15	ბაბაბაბა	ბებ-ბ.60	ბაბაბაბა
ბებ-ბ..16	ბაბაბაბა და ბაბაბაბა	ბებ-ბ.61	ბაბაბაბა
ბებ-ბ..17	ბაბაბაბა და ბაბაბაბა	ბებ-ბ.62	ბაბაბაბა
ბებ-ბ..18	ბაბაბა	ბებ-ბ.63	ბაბაბაბა
ბებ-ბ..19	ბაბაბა	ბებ-ბ.64	ბაბაბაბა
ბებ-ბ..20	ბაბაბა	ბებ-ბ.65	ბაბაბაბა
ბებ-ბ..21	ბაბაბა	ბებ-ბ.66	ბაბაბაბა
ბებ-ბ..22	ბაბაბა	ბებ-ბ.67	ბაბაბაბა
ბებ-ბ..23	ბაბაბა	ბებ-ბ.68	ბაბაბაბა
ბებ-ბ..24	ბაბაბა	ბებ-ბ.69	ბაბაბაბა
ბებ-ბ..25	ბაბაბა	ბებ-ბ.70	ბაბაბაბა
ბებ-ბ..26	ბაბაბა	ბებ-ბ.71	ბაბაბაბა
ბებ-ბ..27	ბაბაბაბა და ბაბაბაბა	ბებ-ბ.72	ბაბაბაბა
ბებ-ბ..28	ბებ ბაბაბაბა და ბაბაბა	ბებ-ბ.73	ბაბაბაბა
ბებ-ბ..29	ბაბაბაბა, ბაბაბაბა და ბაბაბა	ბებ-ბ.74	ბაბაბაბა
ბებ-ბ.30	ბაბაბა	ბებ-ბ.75	ბაბაბაბა
ბებ-ბ.31	ბაბაბა	ბებ-ბ.76	ბაბაბაბა
ბებ-ბ.32	ბაბაბა	ბებ-ბ.77	ბაბაბაბა
ბებ-ბ.33	ბაბაბა	ბებ-ბ.78	ბაბაბაბა
ბებ-ბ.34	ბაბაბა	ბებ-ბ.79	ბაბაბაბა
ბებ-ბ.35	ბაბაბა	ბებ-ბ.80	ბაბაბაბა
ბებ-ბ.36	ბაბაბაბა	ბებ-ბ.81	ბაბაბაბა
ბებ-ბ.37	ბაბაბა-ბაბაბაბა	ბებ-ბ.82	ბაბაბაბა
ბებ-ბ.38	ბაბაბაბა	ბებ-ბ.83	ბაბაბაბა
ბებ-ბ.39	ბაბაბაბა	ბებ-ბ.84	ბაბაბაბა
ბებ-ბ.40	ბაბაბაბა	ბებ-ბ.85	ბაბაბაბა
ბებ-ბ.41	ბაბაბაბა (ბაბა)	ბებ-ბ.86	ბაბაბაბა
ბებ-ბ.42	ბაბაბაბა (ბაბაბაბა ბაბაბა)	ბებ-ბ.87	ბაბაბაბა
ბებ-ბ.43	ბაბაბაბა (ბაბაბა)	ბებ-ბ.88	ბაბაბაბა
ბებ-ბ.44	ბაბაბაბა (ბაბაბა და ბაბაბა)	ბებ-ბ.89	ბაბაბაბა
ბებ-ბ.45	ბაბაბაბა. (ბაბაბაბა ბაბაბა)	ბებ-ბ.90	ბაბაბაბა



1 შესავალი

1.1. წინათქმა

შპს "დრიმლენდ ოაზისი" (ს/ნ: 205205124)

გეგმარებითი ერთეულის - შპს "დრიმლენდ ოაზისი"-ს (ს/ნ: 205205124) საკუთრებაში არსებული (ს.კ. 20,42,01,051) ნაკვეთის განაშენიანების დეტალური დაგეგმარების კონცეპცია წარმოადგენს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით“, გეგმების შემუშავების წესითა და გეგმარებითი დავალება(დამტკიცებული ქ. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის 21/09/2021 წლის № 01-06 1038 ბრძანებით) შედგენილ დოკუმენტაციას რომელიც მომზადდა - შპს "დრიმლენდ ოაზისი"-ს კერძო ინიციატივით. ის შემუშავდა გეგმარებითი ერთეულის ფარგლებში სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, გეგმარებითი ერთეულის ანალიზისა და განვითარების ხედვის საფუძველზე, გეგმარებითი ერთეულისა და მიმდებარე ტერიტორიების განვითარების პერსპექტივისა და საქართველოს შავიზღვისპირეთის განსახლების ქვესისტემის კონტექსტის გათვალისწინებით.

1.2. განმარტებები

1.2.1 შემოკლებები

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებული შემოკლებები აიხსნება შემდეგნაირად:

- (1) **გგ** - განაშენიანების გეგმა;
- (2) **გღვ** - განაშენიანების დეტალური გეგმა;
- (3) **გეგმარებითი ერთეული** - გეგმების შემუშავების წესის შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის შემუშავებისთვის ინდივიდუალურად განსაზღვრული დაგეგმვის ტერიტორიული ფარგლები;
- (4) **გეგმების შემუშავების წესი** - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“;
- (5) **გენგეგმა** - გენერალური გეგმა;
- (6) **გის** - გეოინფორმაციული სისტემა;
- (7) **დაგეგმარება** - სივრცის დაგეგმარება (პროექტირება). ამაში ერთიანდება: ქალაქგეგმარება, არქიტექტურული დაგეგმარება და საინჟინრო დაგეგმარება;
- (8) **დაგეგმვა** - სივრცითი განვითარების და/ან განაშენიანების მართვის დაგეგმვა. აქ ერთიანდება: სტრატეგიული დაგეგმვა, სივრცითი დაგეგმვა და/ან მიწათსარგებლობის დაგეგმვა;
- (9) **დაგეგმვის გუნდი** - მრავალდარგობრივი სპეციალისტთა გუნდი, რომელიც პასუხისმგებელია დაგეგმვაზე და თანმდევს სამუშაოების შესრულებაზე;
- (10) **დსს** - კოდექსის მე-14 მუხლით გათვალისწინებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის საინფორმაციო სისტემა“;
- (11) **კვლევა** - მოსამზადებელი (წინასაპროექტო) კვლევა;
- (12) **კოდექსი** - საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“;
- (13) **მერია** - მუნიციპალიტეტის მერია;
- (14) **მთავრობა** - საქართველოს მთავრობა;
- (15) **ნებართვა** - მშენებლობის ნებართვა;
- (16) **პარლამენტი** - საქართველოს პარლამენტი;
- (17) **საკრებულო** - მუნიციპალიტეტის საკრებულო;
- (18) **საჯარო რეესტრი** - სსიპ საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;
- (19) **სგმ** - გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება;

- (20) **სღგ** - მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების გეგმა;
- (21) **ძირითადი დებულებები** - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის №261 დადგენილებით დამტკიცებული „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“

1.2.2 ტერმინთა განმარტებები

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს გააჩნიათ საქართველოს კანონმდებლობაში განმარტებული/გამოყენებული მნიშვნელობები, დამატებით გამოიყენება ქვემოთ მოცემული მნიშვნელობები:

- (1) **აეროფოტო** - საჰაერო გადაფრენით შესრულებული ორთოფოტოგადაღება;
- (2) **დაგეგმარება** - პროექტირება, რომლის დროსაც, სივრცითი განვითარების და/ან განაშენიანების მართვის დაგეგმვის საფუძველზე, ხორციელდება ტერიტორიების ფიზიკური გარემოსა და ინფრასტრუქტურის ფორმირების ამოცანების გადაწყვეტა და შესაბამისი ტექსონომიური დონის დოკუმენტაციის მომზადება;
- (3) **დენდროლოგია** - მერქნიანი მცენარეების შესწავლა, ტაქსონომია და აღნუსხვა, მათი სარგებლიანობის და გამოყენების საჭიროების დადგენის მიზნით;
- (4) **დრონი** - ახლო მანძილის დისტანციური ზონდირებისთვის განკუთვნილი საფრენი მოწყობილობა;
- (5) **ესთეტიკური პარამეტრები** - შენობა-ნაგებობის ესთეტიკური წყობისა და მახასიათებლების ერთობლიობა, რომელიც დგინდება განაშენიანების მართვის რეგლამენტით, განვითარების ხედვის შესაბამისად;
- (6) **ვიზუალიზაცია** - დაგეგმილი თუ დაგეგმარებული წარმოსახვითი ფიზიკური გარემოს სხვადასხვა კომპიუტერული გრაფიკის გამოყენებით შექმნილი გრაფიკული გამოსახულება (სურათი, დიაგრამა და/ან ანიმაცია);
- (7) **ზედა ტექსონომიური დონე** - სივრცითი დაგეგმვის მაკრო ხასიათი და მიზნები, რომელიც აღწერს უფრო მეტად აბსტრაქტული ხასიათის მონაცემებს და მათ კორელაციებს; სადაც საერთო მიზნები და ამოცანების თავისებურებანი, როგორც წესი კონცენტრირებულია უფრო მეტად ფართომთლიან სისტემაზე;
- (8) **კომიუტერი** - ადამიანი, რომელიც რეგულარულად გადაადგილდება საცხოვრებელი ადგილიდან დასახლებათმორის მანძილზე დაშორებული სამუშაოს/სასწავლებლის მიმართულებით. როგორც წესი 1 დღე-ღამის ინტერვალით;
- (9) **კოსმოფოტო** - სატელიტური გადაფრენით შესრულებული ორთოფოტოგადაღება;
- (10) **ლიდარი** - მიწისზედა გამოყენებითი ფოტო-გრამმეტრიული მეთოდი, რომლისა საშუალებითაც გაიზომება მანძილი ობიექტამდე, მასზე ლაზერის სხივის მიხედვით;
- (11) **ლიმიტაცია** - გარემო ფაქტორების ერთობლიობა, რომლებმაც დაგეგმვის მიზნების ფორმირებისას ინტერესთა შეჯერების პროცესი შეზღუდეს ან შეუძლებელი გახადეს;
- (12) **მასშტაბი** - ფიზიკურ გარემოში გაზომილი სხეულების გამოსატყვის/გამოსახვის დროს შემცირების ზომა. ასევე, რუკაზე, გეგმაზე ან სქემაზე მოცემული ხაზების სიგრძის შეფარდება ამ ხაზით გამოსატყველ ნამდვილ სიგრძესთან. მასშტაბი სამი სახისაა: რიცხვითი, ხაზოვანი და სიტყვიერი. ქართული შესატყვისია **ხაზოსადარი**
- (13) **ინტერეს-წერტილი** - სივრცით დაგეგმვაში, ასევე ტოპოგრაფიასა და კარტოგრაფიაში, განსაზღვრული სივრცე ან ადგილმდებარეობა, გამოსახული ნივთიერ-წერტილის სახით, რომელიც კონკრეტული მიზნებისთვის (ადამიანთა მოღვაწეობის/საქმიანობის თვალსაზრისით) წარმოადგენს ინტერესის და/ან მიზიდულობის ობიექტს;
- (14) **ორთოფოტოგადაღება** - ტერიტორიის ნაწილის ორთოგონალური პროექციის მსხვილ- ან წვრილ-მასშტაბიანი ფოტოსურათი, რომელიც დისტანციური ზონდირების მეთოდით, დედამიწის დონებრივი სიმრუდის გათვალისწინებით ასახავს ფიზიკურ გარემოს;
- (15) **საზოგადოებრივი სივრცე** - განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში მდებარე ქუჩა, გზა, მოედანი, ხიდი, სკვერი, პარკი, ბაღი, ხეივანი, წყლის ზედაპირი და მისი სანაპირო ზოლი, ბუნებრივი ან ხელოვნური ლანდშაფტი, მიწის ნაკვეთებს შორის გასასვლელი და სხვა მსგავსი ტიპის სივრცეები და/ან მიწის ნაკვეთები, რომლებიც განკუთვნილია ან გადაცემულია საზოგადოებრივი მოხმარებისთვის, მათ შორის საჯარო სერვიტუტის გამოყენებით;
- (16) **საკვლევო არეალი** - წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის შემუშავებისთვის საჭირო კვლევების ჩატარების ტერიტორიული ფარგლები და/ან მონაცემების შეგროვების ინფორმაციული არე, რომელიც დამატებით დაზუსტდება შესაბამისი ტექსონომიური დონის შესაბამისი კონცეფციების შეფასებისას, დაგეგმვაზე უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით;
- (17) **საკოორდინატო ბადე** - მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული, ტერიტორიის აბსოლუტური ჰორიზონტალური ნიშნულების ერთობლიობა (WGS 84 კოორდინატთა სისტემასა და UTM პროექციაში), გამოსახული ორთოგონალურ ბადეზე;



- (18) **სამშენებლო პოტენციალი** - ტერიტორიისთვის გამოყენების დროს ან მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების დროს, განაშენიანების მართვის რეგლამენტით მათთვის დადგენილი ქალაქმშენებლობითი სიმჭიდროვების და/ან განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ათვისების შესაძლებლობა;
- (19) **საბაზისო რუკა** - გეგმების შემუშავების წესის შესაბამისად, ტერიტორიის სივრცითი განვითარებისა და ფიზიკური გარემოს ფორმირების, მათ შორის მიწათდაფარულობის (არსებული სურათის) ამსახველი, დაგეგმარების საბაზისო დოკუმენტი, რომელიც შუადდება ციფრული (ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემაში) და/ან ბეჭდური (კარტოგრაფიული გეგმის/რუკის) სახით;
- (20) **საცხოვრებელი ფონდის სიმჭიდროვე** - დაგეგმარებითი თვალსაზრისით მოწესრიგებული ტერიტორიის (უბანი/კვარტალი ან სამუშაო) საზღვრებში რეგულირების წესებით ფუნქციური ქვეზონისთვის დადგენილი **საცხოვრებელი ერთეულების** მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა ან ამავე ტერიტორიის ყოველ 1 ჰა-ზე ან შენობის განაშენიანების ფართობის განსაზღვრულ წილზე, გამომდინარე **განაშენიანების მართვის** ამოცანებიდან;
- (21) **სტრატეგიის განაცხადი** - გეგმარებითი ერთეულის განვითარების სტრატეგიის ამსახველი დოკუმენტი;
- (22) **ქვედა ტაქსონომიური დონე** - სივრცითი დაგეგმვის მიკრო ხასიათი და მიზნები, რომელიც ფოკუსირებულია უფრო მეტად ინდივიდუალური ხასიათის მონაცემებზე და თავისებურებებზე; სადაც დაგეგმვის მიზნები და ამოცანების თავისებურებანი, როგორც წესი, კონცენტრირებულია მთლიანის ნაწილებზე და მათ ფუნქციონირებაზე;
- (23) **ტოპოგრაფიული (ტოპოგეოდეზიური) გეგმა** - ტერიტორიის ნაწილის ორთოგონალური პროექციის მსხვილ-მასშტაბიანი (არაუმეტეს მ 1:10000) ნახაზი, რომელიც პირობითი აღნიშვნების გამოყენებით დედამიწის დონებრივი სიმრუდის გათვალისწინების გარეშე ასახავს ფიზიკურ გარემოს;
- (24) **ტოპოგრაფიული (ტოპოგეოდეზიური) რუკა** - ტერიტორიის ნაწილის ორთოგონალური პროექციის წვრილ-მასშტაბიანი (მ 1:10000 მეტი) ნახაზი, რომელიც პირობითი აღნიშვნების გამოყენებით, დედამიწის დონებრივი სიმრუდის გათვალისწინებით ასახავს ფიზიკურ გარემოს;
- (25) **ფოტოგრამეტრია** - სამეცნიერო-ტექნიკური დისციპლინა, რომელიც გამოიყენება ობიექტების ფოტოგამოსახულების მიხედვით მათი ფორმების, ზომების, მდებარეობის და მსგავსი სივრცული მახასიათებლების განსაზღვრისთვის;
- (26) **ფოტოფიქსაცია** - ტერიტორიის ფიზიკური გარემოს ასახვა ფოტოგადაღების მეთოდით, კონკრეტულ დროში მისი მდგომარეობის დაფიქსირების მიზნით;
- (27) **ქალაქის ფუნქცია** - ქალაქის მოსახლეობის (კომიუტერები და მაცხოვრებლები) და/ან სხვა სუბიექტების საქმიანობის სფერო(ებ)ის/დარგ(ებ)ის თვითკმარი კონცენტრაცია, რომელიც/რომლებიც განსაზღვრავს ქალაქის არსებობას და განვითარებას;
- (28) **ქალაქწარმომქმნელი ფაქტორი** - იმ გარემო პირობების (ადმინისტრაციული საქმიანობა, საფინანსო საქმიანობა, მრეწველობა, ტურიზმი, სატრანსპორტო კვანძები და კავშირები, და სხვა) საერთო სახელი, რომელთა კონცენტრაცია მოცემულ ტერიტორიაზე განაპირობებს, როგორც წესი ურბანიზებული კატეგორიის დასახლების გაჩენას;
- (29) **ქალაქმოსახურე სფერო/დარგი** - ქალაქის ფუნქციაში არსებული სფერო(ები)/დარგ(ებ)ი, რომელთა საშუალებით შექმნილი პროდუქტი (საქონელი და/ან მომსახურება) მოცემული ქალაქის ფარგლებში მოიხმარება და/ან საკუთრივ ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად შეიქმნა;
- (30) **ქალაქმაფორმირებელი სფერო/დარგი** - ქალაქის ფუნქციაში არსებული სფერო(ები)/დარგ(ებ)ი, რომელიც უზრუნველყოფს ქალაქის შემოსავალს და ამ ფუნქციების შედეგად შექმნილი პროდუქტი (საქონელი და/ან მომსახურება) მოიხმარება ქვეყნის მასშტაბით და მის ფარგლებს გარეთ (საქალაქო ექსპორტი) **ქალაქმაფორმირებელი სფერო/დარგი** განსაზღვრავს ქალაქის მნიშვნელობას და მის ადგილს ქვეყნის შიგნით და მის საზღვრებს გარეთ;
- (31) **ღირებული ობიექტი** - ისტორიულ-კულტურული (ურბანული, არქიტექტურული, მხატვრული, და/ან მეხსიერებითი) ღირებულების მქონე უძრავი ობიექტი (შენობა ან ნაგებობა), რომელსაც არ გააჩნია ძეგლის სტატუსი, თუმცა კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად მოიაზრება;
- (32) **წამახალისებელი ზონირება** - ცალკეული ტერიტორიებისთვის, *კოდექსითა* და/ან *ძირითადი დებულებებით* განსაზღვრულ ფარგლებში, განაშენიანების მართვის რეგლამენტებით დადგენილი ზონირების საერთო წესების შემარბილებელი (გამონაკლისი) და/ან მასტიმულირებელი ღონისძიებების (გამოწვეული საჯარო ინტერესით) ერთობლიობა, რომლის დროსაც მენაშენეს ეძლევა სამშენებლო მიწის ნაკვეთის განვითარების დამატებითი შესაძლებლობები: **საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურის განვითარების, მუსაბამო ობიექტში ცვლილებების შეტანის და/ან დასახლების ეკონომიკურად ნაკლებ საინტერესო უბნებში წარმოებული მშენებლობის სანაცვლოდ**
- (33) **ხედვის განაცხადი** - გეგმარებითი ერთეულის განვითარების ხედვის ამსახველი დოკუმენტი.



2. წინაპირობები

2.1 დაპროექტების საფუძველი

განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი არსებული ქალაქმშენებლობითი პარამეტრების შეცვლის მიზნით მომზადდა შპს „არტ-დიზაინი+“ საპროექტო ჯგუფის მიერ დამკვეთის შპს "დრიმლენდ ოაზისი" (ს/ნ: 205205124) დირექტორის ნიკოლოზ გეგუჩაძის საპროექტო დავალების, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის და სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის საფუძველზე.

2.1.1 დაგეგმვის საჭიროება და ინიციატივა

გეგმარებითი ერთეულის დაგეგმვის საჭიროებას განაპირობებს ქ. ქობულეთის მუნიციპალიტეტის კონკრეტული ფუნქციური ზონირების რუკით დადგენილი ქალაქგეგმარებითი პარამეტრების შპს "დრიმლენდ ოაზისი" -ს საპროექტო დავალებით მოთხოვნილი ქალაქგეგმარებითი პარამეტრების ცვლიება.

ქ. ქობულეთის მუნიციპალიტეტის კონკრეტული ფუნქციური ზონირების რუკის შესაბამისად საპროექტო ტერიტორიული ერთეული წარმოადგენს ლანდშაფტის ტერიტორიას და სამშენებლოდ დასახული მიზნის ხორცშესხმის საშუალებას არ იძლევა, მაგრამ საპროექტო ტერიტორიული ერთეული მდებარეობს განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში და საკვლევი არეალის განაშენიანების მიხედვით წარმოადგენს ნაშენ ტერიტორიას სადაც კოეფიციენტებია დადგენილი არაა.

ინიციატორის მიერ განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების მიზანს წარმოადგენს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დადგენილი ზონის ცვლილების მოთხოვნა, რაც აისახება შედგომში: საპროექტო ტერიტორიის საზღვრებში ლანდშაფტის ტერიტორიის ზონა შეიცვალოს საკურორტო-სარეკრეაციო ზონით (შზ-4)-ით და მოცემულ ზონაში დადგენილი კოეფიციენტები შეიცვალოს ქვევით გაწერილი პარამეტრების შესაბამისად, აგრეთვე სიმაღლე გაიზარდოს 120,5 მეტრამდე. აღნიშნული ზონა წარმოადგენს შერეული ზონის ქვეზონას და ემსახურება დასასვენებელი ან/და სამკურნალო დანიშნულების შენობა-ნაგებობების ფუნქციონირებას.

2019 წლის 3 ივნისის ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება №261 შესაბამისად საკურორტო სარეკრეაციო ზონაში (შზ-4), დადგენილი კოეფიციენტებია:

- კ-1= 0,2
- კ-2= განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლეა 15 მ* (გამონაკლისი რეგულირდება გდგ-ით)
- კ-3= 0,8

ხოლო ცვლილებით მოთხოვნილი კოეფიციენტები და სიმაღლე განისაზღვრა შემდეგნაირად:

- კ-1= **0,2** მოშენების ფართობი **2750,0** კვ.მ (რჩება უცვლელი)
- კ-2= **3,0** მოშენების ინტენსივობის ფართობი **46854,0** კვ.მ (მოთხოვნილია კ-2 კოეფიციენტის და სიმაღლის გაზრდა H= max. **120.5** m.)
- კ-3= **0,2** გამწვანების ფართობი **3123.6** კვ.მ (მოთხოვნილია კ-3 კოეფიციენტის შემცირება)

2.1.2. გეგმარებითი ერთეულის მდებარეობა და აღწერა

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქობულეთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის გამზირი #297-ში (ს/კ 20.42.01.051) მდებარე მართკუთხა ფორმის მქონე მიწის ნაკვეთზე და მისი ფართი შეადგენს 15611,0 კვ.მ. წარმოდგენილი ნაკვეთი განლაგებულია სანაპირო ზოლის ერთ-ერთ უაღმაშეს ადგილზე დავით აღმაშენებლის გამზირისა და თამარ მეფის სანაპიროს შორის, ყოფილი „პანსიონატ ქარიშხალა“-ს ტერიტორიაზე, მას ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხრებიდან ესაზღვრება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნაკვეთები, სადაც განლაგებულია საზოგადოებრივი სკვერები და დავით აღმაშენებლის გამზირიდან თამარ მეფის სანაპიროზე გადასასვლელი გზები, აღმოსავლეთის მხრიდან დავით აღმაშენებლის გამზირი და დაბალი ინტენსივობის მქონე განაშენიანება, ხოლო დასავლეთის მხრიდან თამარ მეფის სანაპირო, პლაჟი და შავი ზღვა, რომლებიც წარმოადგენს საზოგადოებრივ სივრცეს.

საპროექტო ტერიტორიის რელიეფი დახრის მიმართ თითქმის უცვლელია, გაშენებულია აკუმულაციურ ალუვიულ ვაკეზე; ზღვის დონიდან 3-5 მეტრის სიმაღლეზე. მისი კოორდინატებია - ჩრდილოეთის განედის 41049' და აღმოსავლეთის გრძედის 41047'. იგი შედგება ქვიშა ხრეშოვანი გრუნტისაგან. სეისმური დარაიონების რუქის შესაბამისად ტერიტორია მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმურ ზონას.


2.1.3. საკუთრების ანალიზი

გეგმარებითი ერთეულისა და მიმდებარე კვლევის არეალის საერთო ფართობი შეადგენს 7,9 ჰექტარს,
საიდანაც

- 21.5% (1,7 ჰა) სანაპიროს ტერიტორიაა; — მესაკუთრე: ქობულეთის მუნიციპალიტეტი.
- 21.2% (1,6 ჰა) საპროექტო ტერიტორიაა; — მესაკუთრე: შპს "დრიმლენდ ოაზისი" (ს/ნ: 205205124)
- 26.6% (2,1 ჰა) ინდივიდუალური განაშენიანების ტერიტორიაა ; — მესაკუთრე: კერძო საკუთრება.
- 12.7% (1,0 ჰა) სატრანსპორტო და საფეხმავლო ტერიტორიებია; — მესაკუთრე: სახელმწიფო საკუთრება.
- 18.0% (1,5 ჰა) გამწვანებული ტერიტორიაა ; — მესაკუთრე: ქობულეთის მუნიციპალიტეტი.

ქვემოთ გრაფიკულად მოცემულია ნაკვეთების საკუთრების სტრუქტურის მიხედვით განაწილება. (იხილეთ გრაფიკი # 1)

გრაფიკი # 1



2.1.4. სოციალური ინფრასტრუქტურა

კვლევის არეალის ყველა ძირითადი აქტივობა და სოციალურ-კულტურული ინფრასტრუქტურის ობიექტები თავმოყრილია დავით აღმაშენებლის გამზირის მიმდებარე და სანაპირო ზოლში; ძირითადად გეგმარებითი არეალის საკვლევ ტერიტორიის ფარგლებში განლაგებულია ავტობუსების გაჩერებები, საზოგადოებრივი სივრცეები (სკვერები) და სანაპიროზე, პლაჟზე ჩასასვლელიები.

ბენზოგასამართი სადგური, ვალიუტის გადამცვლელი ჯიხურები, კომერციული და კვების ობიექტები კვლევის არეალში არ არსებობს, სადაც მეტწილად დასაქმებულია ადგილობრივი მაცხოვრებლები.

2.1.5. დემოგრაფია

საქსტატის 2021 წლის 1 იანვრის მონაცემებზე დაყრდნობით ქ. ქობულეთის მოსახლეობა 17,3 ათასი კაცი (იხილეთ ცხრილი #1), რომლის 50,6% ქალია და 49,4% მამაკაცი. მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ/კმ-ზე 1500 კაცი/კმ²-ზე ნაკლებია, ხოლო ჩვენს შემთხვევაში ინტერპოლიაციით დადგინდა მუდმივი მოსახლეობა 96 კაცი, რომლის 51,0% ქალია და 49,0% მამაკაცი და მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ/კმ-ზე 8 კაცია (იხილეთ ცხრილი #2.) გარდა მუდმივი მოსახლეობისა, საკვლევ ტერიტორიის მოსახლეობის მეორე თავისებურებაა მკვეთრი სეზონური პიკები, რაც გამოწვეულია როგორც ტურისტების, ასევე ვიზიტორების, საკმაოდ დიდი რაოდენობით. ოფიციალური მონაცემები ე.წ. არამუდმივად მოსახლეობაზე არ არსებობს.

ცხრილი #1

ქალაქების და დაბების მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრის მდგომარეობით																					
(ათასი)																					
რეგიონი, მუნიციპალიტეტი, ქალაქი, დაბა	2015			2016			2017			2018			2019			2020			2021		
	სულ	საქალაქო დასახლება	სასოფლო დასახლება	სულ	საქალაქო დასახლება	სასოფლო დასახლება	სულ	საქალაქო დასახლება	სასოფლო დასახლება	სულ	საქალაქო დასახლება	სასოფლო დასახლება	სულ	საქალაქო დასახლება	სასოფლო დასახლება	სულ	საქალაქო დასახლება	სასოფლო დასახლება	სულ	საქალაქო დასახლება	სასოფლო დასახლება
საქართველო	3 721,9	2 135,6	1 586,3	3 728,6	2 151,5	1 577,1	3 726,4	2 161,9	1 564,5	3 729,6	2 174,8	1 554,8	3 723,5	2 184,3	1 539,1	3 716,9	2 194,5	1 522,4	3 728,6	2 215,6	1 512,9
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი	1 115,7	1 085,6	30,1	1 132,0	1 101,7	30,2	1 145,5	1 115,1	30,4	1 158,7	1 128,4	30,3	1 171,1	1 140,7	30,4	1 184,8	1 154,3	30,5	1 202,7	1 172,0	30,7
აჭარის არ	336,6	187,1	149,5	340,2	190,1	150,0	343,0	192,6	150,4	346,3	195,2	151,1	349,0	197,7	151,4	351,9	200,6	151,3	354,9	203,5	151,4
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი	155,2	155,2		158,2	158,2		160,8	160,8		163,4	163,4		166,0	166,0		169,1	169,1		172,1	172,1	
ქედის მუნიციპალიტეტი	16,7	1,5	15,3	16,8	1,4	15,3	16,8	1,4	15,4	16,8	1,4	15,4	16,8	1,4	15,5	16,8	1,3	15,5	16,7	1,3	15,4
დაბა ქედა	1,5	1,5		1,4	1,4		1,4	1,4		1,4	1,4		1,4	1,4		1,3	1,3		1,3	1,3	
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	74,5	28,7	45,7	74,1	28,8	45,3	73,6	28,7	44,9	73,4	28,7	44,7	72,8	28,6	44,2	72,2	28,5	43,6	71,8	28,6	43,3
ქ. ქობულეთი	17,1	17,1		17,2	17,2		17,1	17,1		17,2	17,2		17,2	17,2		17,2	17,2		17,3	17,3	
დაბა ოჩხამური	4,1	4,1		4,1	4,1		4,0	4,0		4,0	4,0		3,9	3,9		3,7	3,7		3,7	3,7	
დაბა ჩაქვი	7,5	7,5		7,5	7,5		7,5	7,5		7,6	7,6		7,6	7,6		7,6	7,6		7,6	7,6	
შუახევის მუნიციპალიტეტი	15,2	0,8	14,4	15,1	0,8	14,4	15,1	0,7	14,4	15,1	0,7	14,4	15,1	0,7	14,4	15,0	0,7	14,3	14,9	0,7	14,3
დაბა შუახევი	0,8	0,8		0,8	0,8		0,7	0,7		0,7	0,7		0,7	0,7		0,7	0,7		0,7	0,7	
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	51,1		51,1	51,5		51,5	51,8		51,8	52,1		52,1	52,4		52,4	52,6		52,6	52,7		52,7
ხულოს მუნიციპალიტეტი	24,0	1,0	23,0	24,5	1,0	23,5	25,0	1,0	24,0	25,5	1,0	24,5	25,9	1,0	24,9	26,3	0,9	25,3	26,6	0,9	25,7
დაბა ხულო	1,0	1,0		1,0	1,0		1,0	1,0		1,0	1,0		1,0	1,0		0,9	0,9		0,9	0,9	

ცხრილი #2

მოსახლეობის სიმჭიდროვის მონაცემები კვ/კმ-ზე.

	მოსახლეობა	ფართობი კმ ² -ზე	მოსახლეობის სიმჭიდროვე კაცი/კმ ² -ზე
ქ. ქობულეთი	17300	19,9	1500 კაცი/კმ ² -ზე
გეგმარებითი ერთეული	96	0,8	8,3 კაცი/კმ ² -ზე

2.1.6. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა

2.1.6.1 განვიხილავთ ქ. ქობულეთში, დ. აღმაშენებლის გამზირზე N297–ში არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 20.42.01.051) მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტის განხორციელების შემდგომ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე ზეგავლენას, სატრანსპორტო/საქვეითე ინფრასტრუქტურის არსებულ მდგომარეობასა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურებას.

2.1.6.2 შესავალი

ავტომობილზაციის სწრაფი (საქართველოში ამჟამად 1 228 000 მეტი ერთეული სატრანსპორტო საშუალებაა რეგისტრირებული) განვითარება და შედეგად სატრანსპორტო ნაკადების მოძრაობის ინტენსივობისა და სიმკვრივის ზრდა, განსაკუთრებულ სერიოზულ პრობლემას უქმნის ქალაქებს, რომლებშიც ავტომობილზაციის დონეს საგრძნობლად ჩამორჩება საგზაო ქსელის ინფრასტრუქტურის განვითარება. სატრანსპორტო ნაკადების მოძრაობის ინტენსივობების, საგზაო ქსელის გამტარუნარიანობის ზღვრულ სიდიდემდე მიღწევას, მიყვავართ ქალაქებში საცობების წარმოქმნამდე.

საქალაქო მაგისტრალზე მოძრაობის ინტენსივობის პროგნოზირება, ქალაქის როგორც ცალკეულ მონაკვეთებზე, ასევე მთელ საგზაო ქსელში გამტარუნარიანობის უზრუნველყოფის, ქალაქის ტერიტორიაზე ავტომობილების პარკინგების, მისი გარემომცველ გარემოზე ზემოქმედების ამოცანის გადაჭრას, დღეისათვის აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, არა მხოლოდ ქალაქმშენებლობის გენერალური გეგმის ფორმირებისას, არამედ ქალაქის ცალკეული რაიონების ან კონკრეტული ობიექტების დეტალური გეგმის დამუშავებისას. საქალაქო საავტომობილო ტრანსპორტი წარმოადგენს მოსახლეობის ცხოვრების განუყოფელ ნაწილს. ის გავლენას ახდენს ქალაქის არა მხოლოდ ეკონომიკაზე, არამედ მის სოციალურ განვითარებაზე.

საგზაო მოძრაობის ორგანიზებას სერიოზულ სირთულეს უქმნის, ეგრეთ წოდებული „პიკური“ დატვირთვა, რომლის დროსაც მნიშვნელოვნად იზრდება სატრანსპორტო ნაკადის მოძრაობის ინტენსივობა.

თანამედროვე ქალაქებში, გადატვირთულობის სირთულეები გადაიჭრება ორი გზით: არსებულ ქუჩებზე მოძრაობის ორგანიზებით და ქსელის რეკონსტრუქციით, რომელიც თავისი ფუნქციონალური ნიშანთვისებებით ყოფს სატრანსპორტო ნაკადს. სატრანსპორტო ნაკადის ქვეითთა ნაკადისაგან გამოცალკავება უზრუნველყოფს ქუჩების მაღალ გამტარუნარიანობას. ასევე რეკომენდირებულია საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყოფა შესაბამისი ქუჩის სატრანსპორტო პარამეტრების გათვალისწინებით.

ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ვთქვათ, რომ ქალაქმშენებლობის განვითარებაზე, ასევე უდიდეს ზეგავლენას ახდენს საქალაქო საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და მისი თანმდევი ინფრასტრუქტურის გამართული მუშაობა.

შესაბამისად, ქალაქის მობინადრეთა ცხოვრების პირობებზე, უსაფრთხოების ნორმატივების გათვალისწინებით, მათ კომფორტულ ტრანსპორტაბელურობაზე ზეგავლენას ახდენს სატრანსპორტო და ქვეითთა ნაკადების გამართული, რეგულირებული გადაადგილება, მოძრაობის სიჩქარე, ავტომობილების პარკინგი და გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობა.

2.1.6.3 დაგეგმილი პროექტისა და მიმდებარე ტერიტორიის დადებითი მხარეები

- პროექტით იგეგმება მიმდებარე ქუჩის ნაწილის მოწესრიგება, დადგენილი პარამეტრებისა და ნორმების შესაბამისად (ტროტუარის რეაბილიტაცია და საგზაო ნიშნების მონტაჟი).
- საპროექტო ტერიტორიაზე შესასვლელად გათვალისწინებულია 6 მეტრი სიგანის ცალმხრივი შიდა შემოსავლელი გზა. შედეგად შემსვლელი სამანქანო ნაკადი გვერდს აუვლის აღმაშენებლის გამზირს და მგზავრთა გადმოსხმის დროს არ შეაფერხებს სამანქანო მოძრაობას.
- გათვალისწინებულია მინიმუმ 2,5 მეტრი სიგანის საზოგადოებრივი საქვეითე ძირითადი ტროტუარი, რაც საკმარისი და მისაღებია ქვეითთა კომფორტული, უსაფრთხო გადაადგილებისთვის.
- აღმაშენებლის გამზირზე საკვლევ არეალში შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ ტროტუარებზე არ გვხვდება ქვეითთა დატვირთული მოძრაობა და რაც მთავარია ტროტუარების არსებული პარამეტრები აკმაყოფილებს ფეხითმოსიარულეთა მოთხოვნებს უსაფრთხოდ გადასადგილებლად (ტროტუარების სიგანე ძირითადად 2,5 მეტრზე მეტია და კონსტრუქციულად გამოყოფილია სამანქანო სავალი ნაწილისგან).
- ასევე არსებული მდგომარეობით აღმაშენებლის გამზირის ცალ მხარეს მონიშნული და მოწყობილია საველოსიპედე ბილიკი.
- საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის შესაბამისად საპროექტოდ გათვალისწინებულია ტროტუარებზე უნარშეზღუდულთა პანდუსების მოწყობა. ასევე ტერიტორიაზე სამანქანო შესასვლელ-გამოსასვლელზე მოინიშნება საქვეითე ზებრა გადასასვლელი და მოწყობა შესაბამისი საგზაო ნიშნები მძღოლების გასაფრთხილებლად.
- სამანქანო შესვლა/გამოსვლის მანევრი დარეგულირდება შესაბამისი ნიშნებითა და პარამეტრებით.
- დაგეგმარდება დადგენილი ნორმების შესაბამისი სრულიად გამართული და რეგულირებული სამანქანო და საქვეითე ინფრასტრუქტურა.
- საპროექტო პარკირებები მოეწყობა შიდა მიწისზედა და უმეტესი ნაწილი მიწისქვეშა პარკინგზე. საპროექტო ნაწილზე გამოირიცხება არარეგულირებული პარკირება.
- აღსანიშნავია, რომ აღმაშენებლის გამზირის მიმდებარედ დიდი მოცულობის სარეკრეაციო სივრცეების (სანაპიროს რეკრეაცია, სკვერები, სპორტული მოედნები და ა.შ) არსებობიდან გამომდინარე მიმდებარე ტერიტორიებზე პოპულარულია ფეხით გადაადგილება, რაც მგზავრთა გადაადგილების მოდალურ განაწილებაზე დადებითად მოქმედებს.



2.1.6.4 საქვეითე ინფრასტრუქტურის ზოგადი აღწერა და რეკომენდაციები

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებული საქვეითე ინფრასტრუქტურის მდგომარეობა ძირითადად დამაკმაყოფილებელია: ტროტუარები კონსტრუქციულად გამოყოფილია სამანქანე სავალი ნაწილისგან, ტროტუარების სიგანის პარამეტრები აკმაყოფილებს ქვეითთა უსაფრთხოდ გადაადგილებას. ზედაპირზე დაგებულია ფილაქანი და საქვეითე გადასასვლელები მონიშნულია „ზებრა“ მონიშვნით. გამზირის ცალ მხარეს, ტროტუართან, ერთ დონეზე გამოყოფილია საველოსიპედე ბილიკი, სიგანით საშუალოდ 1,2 მეტრი, რაც ერთ-ერთი პლიუსია მიმდებარე ინფრასტრუქტურისთვის.




ასევე დამაკმაყოფილებლად მოწესრიგებულია ზღვისპირა საქვეითე ინფრასტრუქტურა.



საპროექტო ობიექტს საფეხმავლო მისაწვდომობის ფარგლებში გააჩნია ყველა საჭირო საყოფაცხოვრებო ფუნქციის მქონე ობიექტი. მიმდებარე ტერიტორია მდიდარია სარეკრეაციო გამწვანებული სივრცეებით (სკვერი, ბულვარი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი), ასევე იქვეა სანაპიროც და ტურისტული და არამხოლოდ ტურისტული მიზიდვის ობიექტები. ფაქტობრივი მდგომარეობით და ასევე პროექტის განხორციელების შემდგომ მაცხოვრებელთა გადაადგილება განხორციელდება უმეტესად ფეხით და ნაკლებად გამოიყენებენ ავტომობილს, რაც სატრანსპორტო ნაკადების დატვირთვაზე დადებითად აისახება.


რუკაზე მოცემულია სივრცითი დაფარვის იზოქრონული რუკა საპროექტო ტერიტორიიდან 20 წუთის განმავლობაში ქვეითად გადაადგილების შემთხვევაში



რუკაზე მოცემულია სივრცითი დაფარვის იზოქრონული რუკა საპროექტო ტერიტორიიდან **30 წუთის** განმავლობაში კერძო ტრანსპორტით გადაადგილების შემთხვევაში


როგორც ზემოთ მოცემულ სივრცითი დაფარვის რუკაზეა ნაჩვენები 20 წუთის საფეხმავლო მისაწვდომ მანძილზე საპროექტო ტერიტორიას გააჩნია სხვადასხვა ფუნქციის მქონე საყოფაცხოვრებო და სარეკრეაციო სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტი. აღსანიშნავია რომ დაგეგმილი პროექტის კლასისა და მრავალფუნქციონალიდან გამომდინარე, ვიზიტორების საჭირო ფუნქციებით უზრუნველყოფას თავად დაგეგმილი პროექტი ითვალისწინებს.

ქუჩაზე ტროტუარების მცირე მონაკვეთებზე აღინიშნა ზედაპირის დაზიანება (საჭიროებს რეაბილიტაციას). მიმდებარე მიწის ნაკვეთების ან/და ობიექტების სამანქანო შესასვლელებზე, რეკომენდირებულია ზებრა გადასასვლელების მონიშვნა, ასევე საქვეითე ინფრასტრუქტურა სრულად ადაფტირდეს შპმ პირთათვის. რეკომენდირებულია მიმდებარე მიწის ნაკვეთების ან/და ობიექტების სამანქანო შესასვლელ/გამოსასვლელების სიგანისთვის განისაზღვროს არანაკლებ 3,5 და არაუმეტეს 6 მეტრი. ქვეითთა უსაფრთხოდ გადასადგილებლად მნიშვნელოვანია, რომ ის ძირითადად გადაადგილდებოდეს კონსტრუქციულად გამოყოფილ ტროტუარზე და რამდენადაც შესაძლებელია, ნაკლები მანძილის დაფარვა უწევდეს სამანქანო სავალი ნაწილის, სამანქანო შესასვლელ/გამოსასვლელების გადაკვეთისას. მნიშვნელოვანია რომ ნებისმიერი საქვეითე გადაკვეთის ლოკაციის შესახებ გაფრთხილდეს გადამკვეთი სამანქანო ნაკადი შესაბამისი საგზაო ნიშნებით. თავად გამზირზე არასრულადაა დამონტაჟებული საგზაო ნიშნები, არასრულადაა ავტობუსების გაჩერებები მონიშნული საგზაო ნიშნით და რეკომენდირებულია, რომ მთავარი სამანქანო სავალი ნაწილისგან გამოყოფილ იქნას საავტობუსე ჯიბით. ზემოხსენებული რეკომენდაციები გათვალისწინებულია საპროექტო ტერიტორიისთვის და შესასვლელ/გამოსასვლელი მკაცრად რეგულირდება საგზაო ნიშნებით.



2.1.6.5 სამანქანე მოძრაობის ზოგადი აღწერა და რეკომენდაციები

აღმაშენებლის გამზირი წარმოადგენს საერთო სარგებლობის, ძირითად გამტარ საავტომობილო გზას. სამანქანე სავალი ნაწილის ზედაპირი წარმოადგენს ასფალტს, რომლის საფარის მდგომარეობაც დამაკმაყოფილებელია. მოძრაობა ორმხრივია და თითოეული მიმართულებისთვის განსაზღვრულია 1 სამოძრაო ზოლი. ვინაიდან თითოეული სამოძრაო ზოლის სიგანე საშუალოდ 5,5 მეტრია, აღნიშნული იძლევა გვერდის ავლის ან/და გასწრების საშუალებას. საპირისპიროდ მოძრავი მიმართულებები გამოყოფილია ჰორიზონტალური უწყვეტი მონიშვნით (ზოლით). გამზირზე სამანქანო გადაადგილება მიმდინარეობს თავისუფლად და არ აღინიშნება რაიმე სამანქანო გადატვირთულობა.



ქუჩის მაღალი სამანქანე გამტარუნარიანობის შესაძლებლობიდან და ინტენსიური ქვეითთა გადაადგილების გათვალისწინებით, ობიექტიდან გამომავალი და შემავალი ავტომანქანებისათვის საჭიროა მკაცრი საგზაო რეგულაციების დაწესება. კერძოდ, აღმაშენებლის გამზირიდან შესასვლელად ავტოსატრანსპორტო საშუალებას მოუწევს გადაკვეთოს საფეხმავლო ტროტუარი და ველობილიკი, სადაც ტურისტულ სეზონზე ინტენსიურად გადაადგილდება ქვეითად მოსიარულე, განსაკუთრებით ზაფხულის თვეებში, როცა ქალაქში მკვეთრად იზრდება დამსვენებელთა ნაკადები, ამიტომ უსართხოების მიზნით აუცილებელია მოეწყოს შესაბამისი საგზაო ნიშნები. აღმაშენებლის გამზირი ქ. ქობულეთის პირობებში ითვლება ინტენსიური მოძრაობის ქუჩად, მისი სატრანსპორტო მაქსიმალური გამტარუნარიანობა გადამკვეთი ქუჩებისა და შუქნიშნების გათვალისწინებით პიკურ სიტუაციაში (ზაფხულის თვეებში) შეადგენს საშუალოდ-1800 (დატვირთვით 2200-მდე) ავტომობილს საათში, დღე-ღამეში საშუალოდ-25-30 ათას ავტომობილს, შესაბამისად ობიექტიდან ავტომობილების შესვლა-გამოსვლის მანევრი რიგ შემთხვევებში შეიძლება ტრანსპორტის მოძრაობის დაბრკოლების მიზეზი გახდეს. პრობლემის მაქსიმალურად თავიდან აცილების მიზნით საჭიროა სწორად იქნას დაპროექტებული ტროტუარზე მანქანის შესასვლელი არეალი, რათა ავტომობილს მოუწიოს რაც შეიძლება ნაკლებად დამაბრკოლებელი მანევრის შესრულება.

ზემოხსენებული გათვალისწინებული საპროექტო ობიექტისთვის. საპროექტო ობიექტთან მისასვლელად მოწყობილია სპეციალური შიდა შემოსავლელი ცალმხრივი გზა. შესასვლელად განსაზღვრულია 6 მეტრის სიგანის 2 ზოლიანი სამანქანე შესასვლელი და გამოსასვლელი მანევრის მართობულად განსაზღვრულია 6 მეტრი სიგანის გამოსასვლელი. შედეგად შემსვლელი მანქანებისგან სწრაფად დაიცლება ქუჩა, ხოლო ობიექტიდან მანქანების გამოსვლა განხორციელდება რიგითობით და ქუჩაზე მოძრაობა ნაკლებად შეფერხდება, შიდა გზის ცალმხრივიდან გამომდინარე, რადგან როდესაც შიდა შემოსავლელი გზა ცალმხრივია ეს ნიშნავს ნაკლებ სამანქანო გადაკვეთას. სამანქანო შესვლა/გამოსვლა განხორციელდება მკაცრად მარეგულირებელი საგზაო ნიშნებით. იმის გათვალისწინებით, რომ ყველა შემთხვევაში რეკომენდირებულია პარკირებები მოეწყოს შენობაში ან/და მიწისქვეშ, რათა პრიორიტეტი მიენიჭოს ქვეითს, შესაბამისად დაგეგმილია პარკირებების თითქმის მთლიანი მოცულობის შენობაში და ნაწილის ეზოში, სპეციალურად გამოყოფილ საპარკინგე ადგილზე განთავსება, ხოლო გარე არარეგულირებული პარკირებები გამოირიცხება.

ისევე როგორც საქვეითე მოძრაობა, ასევე სამანქანო პარკინგი სრულად ადაფტირებულია შშმ პირთათვის.

შშმ პირთათვის გამოყოფილი საპარკინგე ადგილი კანდუსით



სტანდარტული მაგალითი

2.1.6.6 საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურება

საკვლევი საამშენებლო ობიექტი უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურებით. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ საფეხმავლო მისაწვდომობის ფარგლებში მდებარეობს საზ. ტრანსპორტის გაჩერებები, სადაც ავტობუსები მოძრაობენ დაბალი დატვირთვით. მნიშვნელოვანი გადატვირთვები ტურისტულ სეზონებზე არ შეინიშნება ვინაიდან აღნიშნულ რეგიონში პოპულარულია ქვეითად გადაადგილება.



მარშრუტების გადახედვის შედეგად ირკვევა რომ მგზავრებს შეუძლიათ ყველა საჭირო მიზიდვის ობიექტამდე უპრობლემოდ გადაადგილება ზედმეტი გადაჯდომების გარეშე. მუნიციპალური ავტობუსები ასრულებენ რეგულარულ რეისებს დადგენილი გრაფიკების მიხედვით შემდეგ მარშრუტებზე: ძირითადი M2 კატეგორიის N1; N1ა და M3 კატეგორიის N1 მიკროავტობუსი, რაც სრულიად ყოფნის და აკმაყოფილებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომხმარებლებს. აღნიშნული ნომრის ავტობუსებს შორის ინტერვალი მერყეობს საშუალოდ 5–დან–15 წუთამდე. მოცემული ობიექტის მიმდებარედ, უახლოესად, საპროექტო ტერიტორიის წინ განთავსებულია ავტობუსის გაჩერების მიმანიშნებელი საინფორმაციო დაფა და მგზავრთა მოსაცდელი. რაც მთავარია ავტობუსის გასაჩერებელ ადგილას გამოყოფილია საავტობუსე ჯიბე, თუმცა საჭიროებს განახლება/რეაბილიტაციას. თავად მთელ გამზირზე არასრულადაა ავტობუსების გაჩერებები მონიშნული საგზაო ნიშნით, ასევე გზის ორივე მხარეს არ გვხვდება საზ. ტრანსპორტის მომხმარებელთა მოსაცდელი (მოწყობილია ნაწილობრივ) და რეკომენდირებულია, რომ ყველა გაჩერების ადგილი მთავარი სამანქანო სავალი ნაწილისგან გამოყოფილ იქნას საავტობუსე ჯიბით.

2.1.6.7 დამატებით:

დაანგარიშებულია მოცემული საკვლევი ობიექტიდან ეკონომიკური საქმიანობისა და სხვა საჯარო სივრცეებთან დამაკავშირებელი გზების მანძილები და საჭირო დრო მათ დასაფარავად, ასე მაგალითად: სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტამდე მანძილია–51 კმ და მის დასაფარად საჭირო დრო შეადგენს მსუბუქი ავტომობილისათვის–1 სთ და 3 წთ; ადლიის „გაფორმების ეკონომიკურ ზონა“–მდე მანძილი–40 კმ; მის დასაფარად საჭირო დრო–48 წთ; ბათუმის ცენტრალი(რკინიგზის სადგური)–33 კმ, დაფარვის დრო–39 წთ; ბათუმის ცენტრალურ ავტოსადგურამდე მანძილი–32 კმ, საჭირო დრო მის დასაფარად–37 წთ; ბათუმის საერთაშორისო აეროპორტამდე მანძილი შეადგენს–38 კმ–ს, მის დასაფარად საჭირო დრო–47 წთ; ბათუმის პორტის „გაფორმების ეკონომიკური ზონა“–მდე მანძილი–32 კმ, დაფარვის დრო–34 წთ.

შედეგად:

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია გავაკეთოთ დასკვნა, რომ მოცემულ საკვლევი ობიექტზე მშენებლობის განხორციელების შემთხვევაში, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციის შესრულების გათვალისწინებით, ის ვერ მოახდენს არსებით უარყოფით ზეგავლენას, არსებულ საერთო სარგებლობის საგზაო ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებაზე და ხელს შეუწყობს ერთიანი ინფრასტრუქტურის განვითარებას.

2.1.7. ტექნიკური ინფრასტრუქტურა

საჯარო რეესტრის მონაცემებისა და სავლე კვლევის შედეგად დადგინდა რომ გეგმარებითი ერთეულის არეალში სხვადასვა პარამეტრების მქონე გაზომარაგების, ელ.მომარაგების, წყლისა და კანალიზაციის ქსელური სისტემა არსებობს, კერძოდ ტერიტორიის მიმდებარედ გადის მაღალი ძაბვის 6/10 კვტ. ელ გადამცემი საზუბი, ასევე გეგმარებითი ერთეულიდან 170-180 მეტრის რადიუსში მდებარეობს გამანაწილებელი სატრანსფორმატორო ქვესადგური. ტერიტორია უშუალოდ ემიჯნება ძირითად გაზომარაგებისა, წყალმომარაგების ქსელისა, წყალარინებისა და კანალიზაციის ქსელს, რომლებიც ძირითადად გადის დ.აღმაშენებლის გამზირზე, ასევე გეგმარებითი ერთეულის საკომუნიკაციო ქსელებთან უშუალო სიახლოვე საშუალებას იძლევა მინიმალური დანახარჯებით განხორციელდეს მაგისტრალში ჩართვა. სუსტი დენები (კავშირგაბმულობა და ტელეკომუნიკაცია) უშუალოდ საპროექტო ტერიტორიაზე არ გადის მაგრამ მისი დაერთება შესაძლებელია აღმაშენებლის გამზირის მეორე გამავალ ოპტიკურ ბოჭკოვან საზუბზე.

გეგმარებითი ერთეულის გაზომარაგების, ელ.მომარაგების, წყლისა და კანალიზაციის მომარაგებასთან დაკავშირებით შესაბამის უწყებებში გაგზავნილია წერილები საკომუნიკაციო ქსელებზე შესაძლო დაერთების ადგილების მოთხოვნით რაც წარმოდგენილი იქნება მომდევნო ეტაპზე, ხოლო მოთხოვნილი პიკური საანგარიშო სიმძლავრეები წინა საპროექტოკვლევებზე დაყრდნობით იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილი #3-ში.

მოთხოვნილი სიმძლავრეები	
ელ.მომარაგება	2948 კვტ/სთ.
წყალ მომარაგება	1514 კბ.მ/დღ.
გაზ მომარაგება	147 კბ.მ/სთ.

ცხრილი #3

2.1.7.1 წყალმომარაგება

გეგმარებითი ერთეულის წყალმომარაგებისა და წყალარინების მომარაგების მიზნით ჩატარდა კვლევა რის შედეგადაც დადგინდა რომ დ. აღმაშენებლის გამზირზე მდებარეობს წყალმომარაგების Ø 355-იანი გამანაწილებელი ქსელი საიდანაც შესაძლებელია მომარაგდეს ობიექტი.

სრულად იხ. დანართი:ფურც გდგ.გ 47-48 (წყალმომარაგება)

2.1.7.2 გაზომარაგება არსებული

საკვლევი ტერიტორიის მომავალი გაზიფიცირების პროგრამის შემუშავებისა და სწორად დაგეგმვის მიზნით გაანალიზებული იქნა მიმდებარედ არსებული გაზომარაგების ქსელის გეგმარება და გაზის მოცულობის მიწოდების შესაძლებლობის პოტენციალი.

სრულად იხ. დანართი:ფურც. გდგ.გ 19 (საბაზისო რუკა1)

2.1.7.3 ელმომარაგება

საკვლევი ტერიტორიის ელ.ენერგიით მომარაგების მიზნით სავლე კვლევის შედეგად გაანალიზებული იქნა მიმდებარედ არსებული ელ.ქსელის საზობრივი ნაგებობების ადგილმდებარეობა და მათი სიმძლავრეები, რის შედეგადაც დადგინდა რომ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ გადის 35 კვტ-იანი მაღალი ძაბვის და 6/10 კვტ-იანი ძალოვანი ძაბვის საზუბი რომელსაც გააჩნიათ გასხვისების ზონები, კერძოდ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის #366 დადგენილების „ელექტრული ქსელების საზობრივი ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები“-ს მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა.ა.დ.“; „ა.ა.ე.“ და „ა.ა.ვ.“ პუნქტების თანახმად, 0.4 კვ ძაბვის საპროექტო ელექტროგადამცემი საზის დაცვის ზონად საზის ორივე მხარეს განაპირა სადენებიდან მათი გადაუხრედ მდგომარეობაში ყოფნისას დადგენილია 2 მეტრი, 10 კვ ძაბვის სეგ საზისათვის დაცვის ზონაა 10 მეტრი, ხოლო 35 კვ ძაბვის სეგ საზისათვის დაცვის ზონაა 15 მეტრი, ამავე დადგენილების მე-4 მუხლის თანახმად ელექტროგადამცემი საზის დაცვის ზონაში აკრძალულია ნებისმიერი ქმედება, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ელექტრული ქსელის საზობრივი ნაგებობის ნორმალური ფუნქციონირების მოშლა, მათ შორის შენობა-ნაგებობის, ხიდების, კოლექტორების, გვირაბების, საავტომობილო გზებისა და რკინიგზის რეკონსტრუქცია, ან/და მშენებლობა ელექტროგადამცემი საზის დამცავი ღონისძიებების გატარების ან მისი წინასწარი გადატანის გარეშე. გეგმარებით ერთეულზე დაგეგმილი მრავალფუნქციური ობიექტის მშენებლობის პროექტირებისას შენობა ნაგებობების უსფრთხოდ განლაგებისთვის გათვალისწინებული იქნება ზემოთ აღნიშნული შეზღუდვები და მომავალი სიმძლავრეების ანგარიში წარმოდგენილია გდგ კონცეპციაში.

სრულად იხ. დანართი: ფურც. (გდგ.დ 45/51 და გდგ.გ 19/46)

2.1.7,4 გაზომარაგება

საპროექტო ტერიტორიის გაზომარაგება შესაძლებელია ბაგრატიონის ქუჩის მიმდებარედ არსებული დაბალი წნევის გაზომარაგების ქსელიდან (დიამეტრი 300 მმ). საპროექტო ტერიტორიიდან გაზომარაგების ქსელამდე მანძილი შეადგენს სავარაუდოდ 500 მეტრს.

სრულად იხ. დანართი: (ფურც. გდგ.გ 49/50)

2.1.7,5 სანიაღვრე

საპროექტო ტერიტორიის სანიაღვრე სისტემის დაერთება შესაძლებელია დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებულ სანიაღვრე მილზე (დიამეტრი 300 მმ) .

გრაფიკული მასალა იხილეთ გდგ ინიცირების ალბომის გრაფიკულ ნაწილში (საბაზისო რუკა 3-გდგ.გ 21)

2.1.7,6 სუსტი დენები

საპროექტო ტერიტორიის სუსტი დენების დაერთება შესაძლებელია დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებული რომელიმე ქსელზე

გრაფიკული მასალა იხილეთ გდგ ინიცირების ალბომის გრაფიკულ ნაწილში (საბაზისო რუკა 1-გდგ.გ 19)



2.1.8. ბუნებრივი ფასეულობები

ქ. ქობულეთი წარმოადგენს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრს და იგი მდებარეობს ქ. ბათუმიდან 25 კმ-ის დაშორებით, კოლხეთის დაბლობის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ განშტოებაზე - ქობულეთის დაბლობზე. იგი გაშენებულია აკუმულაციურ ალუვიულ ვაკეზე; ზღვის დონიდან 3-5 მეტრის სიმაღლეზე. მისი კოორდინატებია - ჩრდილოეთის განედის 41°49' და აღმოსავლეთის გრძედის 41°47'.

ქ. ქობულეთი უშუალოდ შავი ზღვის სანაპიროზე, ის შავი ზღვისპირა ცნობილი საკურორტო ქალაქია და წარმოადგენს ქვეყნის ტურიზმის განვითარებისა და ეკონომიკური აღმავლობის ერთერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრს. ქალაქის საერთო ფართობი შეადგენს დაახლოებით 15 კმ². მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით 17 300 კაცი, საკურორტო სეზონის პერიოდში მოსახლეობის რაოდენობა 2-3-ჯერ იზრდება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ქ. ქობულეთი მდებარეობს ქვეზონაში, რომელიც გამოირჩევა მაღალი ნესტიანობითა და ზღვის ქარებით მთელი წლის განმავლობაში, უხვი წვიმებით შემოდგომასა და ზამთარში; შესაბამისად ხასიათდება ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავით. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა უდრის +14,3°C-ს; იანვარში +5.8°C, აგვისტოში +23.0°C; აბსოლუტური მინიმუმი - 16°C; აბსოლუტური მაქსიმუმი + 41°C. ნალექების წლიური რაოდენობა მაღალია - 2352 მმ, მაგრამ იმის გამო, რომ უფრო ხშირად მათ აქვთ ხანმოკლე ხასიათი (ე.წ. „ტროპიკული თავსხმა“) და ტერიტორიის გეოლოგიური თავისებურების გამო (ის ძირითადად წარმოადგენს წყალგამტარ სუბსტრატს), წვიმები ნაკლებ გავლენას ახდენს ჰაერის სინოტივის ცვალებადობაზე.

საზოგადოდ, ქობულეთისთვის დამახასიათებელია მაღალი სინოტივე, რომელიც თავის მაქსიმუმს აღწევს გაზაფხულზე (75%), ხოლო ზამთარში - 70%. მაგრამ, ბათუმთან შედარებით, კონტინენტის უშუალო გავლენის გამო, ქობულეთამდე აღწევს მშრალი ფენები, შედეგად, ჰაერის ფარდობითი ტენიანობა ეცემა 40-50%-მდე.

ზღვის წყლის ტემპერატურა მაისიდან ოქტომბრის ჩათვლით აღემატება 15°C; ივნისში ის აღწევს 20,7°C, ივლისში - 24,1°C, აგვისტოში - 24,4°C, სექტემბერში - 22,0°C, ოქტომბერში 18,3°C.

ქობულეთი ხასიათდება მაღალი რადიაციული დასხივებით. დილის პირდაპირი რადიაციის დონე აღწევს 0,35 მ.კალ., საღამოსი - 0,60-0,80 მ. კალ. განსაკუთრებით მაღალია ულტრაიისფერი რადიაცია, რასაც ფაქტორების მთელი რიგი ადასტურებს - სწრაფი გარუჯვა, მზის სამკურნალო მოქმედება და ა.შ.

მზის ნათების ხანგრძლივობის წლიური ჯამი ქობულეთში შეადგენს 2 100 საათს, რითაც ის გამოირჩევა აჭარის კურორტებს შორის. დასავლეთიდან მიმდებარე გამწვანებული ხმელეთი არ აბრკოლებს აღმოსავლეთის (დილის) მზის მოქმედებას ქობულეთის ტერიტორიაზე და თავისუფლად ატარებს ნოტიო ჰაერის მასებს ხმელეთის სიღრმეში და არ ახდენს მათს კონდენსაციას, როგორც ეს, მაგალითად, ბათუმში ხდება.

ქარის საშუალო სიჩქარე ქობულეთში შეადგენს 2/3 მ/წმ; დღის საათებში ეს სიჩქარე მეტია, ვიდრე ღამე; ზღვის ბრიზის გაძლიერება შეიმჩნევა შუადღეს. საერთოდ, ზღვის ბრიზის მოქმედება შეიმჩნევა თითქმის მთელი დღეღამის განმავლობაში; ამასთან, ალიონზე ხშირია შტილი, ან თითქმის შეუმჩნეველი ნიავით მატერიკის მხრიდან, რაც, აგრეთვე ანელებს ზაფხულის სიცხეს.

ქობულეთის საქალაქო პლაჟი, ძირითადად, ქვიშიან-ღორღიან კატეგორიას განეკუთვნება, პლაჟის ქვიშიანი მონაკვეთები გვხვდება სამხრეთით და ჩრდილოეთით.

ქარის საშუალო სიჩქარე ქობულეთში შეადგენს 2/3 მ/წმ; დღის საათებში ეს სიჩქარე მეტია, ვიდრე ღამე; ზღვის ბრიზის გაძლიერება შეიმჩნევა შუადღეს. საერთოდ, ზღვის ბრიზის მოქმედება შეიმჩნევა თითქმის მთელი დღეღამის განმავლობაში; ამასთან, ალიონზე ხშირია შტილი, ან თითქმის შეუმჩნეველი ნიავით მატერიკის მხრიდან, რაც, აგრეთვე ანელებს ზაფხულის სიცხეს.


ქობულეთის საქალაქო პლაჟი, ძირითადად, ქვიშიან-ღორღიან კატეგორიას განეკუთვნება, პლაჟის ქვიშიანი მონაკვეთები გვხვდება სამხრეთით და ჩრდილოეთით.

ქობულეთის სანაპირო შავი ზღვის კურორტებს შორის ერთ-ერთი საუკეთესოა. უცხოელი ვიზიტორებისთვისაც ეს ადგილი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია თავისი ადგილმდებარეობითა და რეკრეაციული ზონით, სადაც ზღვისა და მთის ჰაერი ერთ-მანეთს ერწყმის. დამსვენებელს აქ მთებით შემოსაზღვრული სანაპირო, ულამაზესი ბუნება, ზღვის თბილი, გამჭვირვალე წყალი და მშვიდი ყურე, დაივინგის მოყვარულებს კი - ღრმა ფსკერი. ბოლო წლებში გონიო-კვარიათში აშენდა უამრავი სასტუმრო და საოჯახო სასტუმრო, რომელთაგან ზოგი ზღვის პირას მდებარეობს, ზოგიც ფერდობებზეა შეფენილი.

2.1.9 კულტურული ფასეულობები

გეგმარებით ერთეულში არ არსებობს კულტურის უძრავი ძეგლები. ტერიტორია ასევე მწირია კულტურული ფასეულობებითაც მაგრამ კვლევის არეალში გამოვლინდა კულტურის უძრავი ძეგლის ვიზუალური დაცვის 150 მეტრიანი არეალი, საიდანაც საპროექტო ტერიტორია მდებარეობს 77,0 მეტრით დაშორებაში. ჩვენს შემთხვევაში კულტურული ფასეულობების მიმართ კვლევები ჩატარებული არაა.

(იხილეთ ილ. # 1).



ილუსტრაცია # 1

2.1.10 გეომორფოლოგია და ჰიდროლოგია

ქ. ქობულეთის მიმდებარე ტერიტორიებზე გაედინება მდინარეები: ოჩხამური, ჩოლოკი, შავი დელე, ტოგონი, აჭყვა, კინტრიში და კინკიმა. აღნიშნული მდინარეებიდან ორი - ტოგონი და შავი დელე გაედინება ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალის და ადკვეთილის ტერიტორიაზე. მიკრორაიონის ჰიდროლოგიური დახასიათებისათვის მნიშვნელოვანია ქობულეთის ჭარბტენიან ტერიტორიაზე არსებული ჭაობები და რამდენიმე წყალსაწრეტი არხი.

ჰიდროლოგიური კუთხით უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს შავი ზღვა, რომელიც მთელს სიგრძეზე გასდევს ქალაქს. ვინაიდან ტურისტული კუთხით მთავარ მიმზიდველობას ქობულეთს სწორედ ზღვა სძენს, მნიშვნელოვანია მისი დაბინძურების დონის შესწავლა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა.

შავი ზღვის დაბინძურების პრობლემატიკის გადასაჭრელად, 2011 წლის ნოემბრიდან 2013 წლის ივნისამდე, რუმინეთისა და საქართველოს ტერიტორიაზე, მიმდინარეობდა ერთობლივი კვლევები სამი ქვეყნის (საქართველო, გერმანია, საბერძნეთი) მეცნიერთა მონაწილეობით.

სხვადასხვა წყლის ეკოლოგიური „ტრასერების“ გამოყენებით მოხდა მიწისქვეშა წყლის განტვირთვის ზონის ლოკალიზაცია და რაოდენობის განსაზღვრა. ეკოლოგიური „ტრასერები“ (ისეთები როგორცაა სტაბილური და რადიოაქტიური იზოტოპები) წარმოადგენენ ნივთიერებებს, რომლებიც არსებობენ ბუნებაში და წარმოიშობებიან განსაზღვრული წყაროებიდან. ხელოვნური „ტრასერებისაგან“ განსხვავებით ისინი არ აბინძურებენ გარემოს. ასევე, მიღებული შედეგების დადასტურების მიზნით, გამოყენებული იქნა თანამგზავრული მონაცემები. კერძოდ, გერმანელმა კოლეგებმა შეისწავლეს აჭარის ტერიტორიისთვის სატელიტური მონაცემები და გააანალიზეს დედამიწისა და ზღვის ზედაპირის თერმული ფონის მასალა. საქართველოში მსგავსი საზღვაო და სახმელეთო კვლევათა კომპლექსი ეკოლოგიური „ტრასერების“ გამოყენებით პირველად განხორციელდა.


კვლევებისთვის შერჩეული იქნა აჭარის სანაპირო ზოლები. მეცნიერების განმარტებით, აჭარის საკვლევო რეგიონი წარმოადგენს ზედაპირული წყლების ინტენსიური განტვირთვის ზონას, სადაც თავს იყრის როგორც ამ რეგიონის, ისე მის ფარგლებს გარეთ მდებარე მსხვილი სამრეწველო ობიექტების, ქალაქების საყოფაცხოვრებო ტოქსიკური და სასოფლო-სამეურნეო ნარჩენებით დაბინძურებული წყლები. ამ ტერიტორიის ფარგლებში განლაგებულია საქართველოს მსხვილი სამრეწველო-საპორტო ქალაქი ბათუმი, ქალაქი ქობულეთი, მრავალი სოფელი და დასახლებული პუნქტი, რომლებიც თავისი საყოფაცხოვრებო, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ნარჩენებით აბინძურებენ შავ ზღვას.

კვლევების შედეგად დადგინდა მიწისქვეშა წყლის ნაკადის მოძრაობის და ზღვაში განტვირთვის (ზღვაში გაჟონვის) უბანი. პირველი, პირობითად, ქობულეთის ცენტრთან და მეორე სოფ. ჩაქვის მახლობლად. დადგინდა დაბინძურების ზედაპირული ხასიათი. აითროფიკაციის (ტოქსინებით - ნიტრატებით და ფოსფატებით დაბინძურება) ინტენსივობის დასადგენად, განისაზღვრა ნიტრატების და ფოსფატების შემცველობები საკვლევო ტერიტორიის მიწისქვეშა წყლებსა და ზღვაში. კვლევის შედეგები დამაიმედებელია - საბედნიეროდ, ტოქსინები მიწისქვეშა წყლებში დასაშვებ ნორმაზე ნაკლები აღმოჩნდა - მაგალითად, მდინარე კინტრიში და ჩაქვის წყალში. ეს მაჩვენებლები დროთა განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს, თუ ისევ მოხდა სასოფლო სამეურნეო სავარგულების გამდიდრება შხამქიმიკატებით.

2012 წლის მაისსა და დეკემბერში იყო ორგანიზებული ზღვის 2 ექსპედიცია. სინჯები აღებული იქნა 5 სადგურიდან, რომელთაგან ერთ-ერთი იყო ქ. ქობულეთი.

სქემაზე მოცემულია ხუთივე სადგურის მონაცემები. კონცენტრაციები PO4, NO2, NO3, NH4 (µmol/l) (იხ. ილუსტრაცია 2)

ილუსტრაცია #2 მიწისქვეშა წყლების დაბინძურების მაჩვენებლები



კვლევებმა აჩვენა, რომ ნიტრატის კონცენტრაცია მერყეობს - 0.08-4.93 $\mu\text{mol/l}$ N; ნიტრიტის კონცენტრაცია - 0.45-0.63 $\mu\text{mol/l}$ N; ამონიუმის კონცენტრაცია - 0.00-1.56 $\mu\text{mol/l}$ N; ფოსფატის - 0.42 - 0.56 $\mu\text{mol/l}$ P; სილიკატის კონცენტრაცია - 1.73 - 63.71 $\mu\text{mol/l}$. ჟანგბადის კონცენტრაცია იყო მაღალი ყველგან და მერყეობს 297.18 - 346.25 $\mu\text{mol/l}$. pH-ის მნიშვნელობა მერყეობს 8.3-8.8 და წყლის მარილიანობა - 8.05% - 17.72 %. უნდა ითქვას, რომ ყველა შემოწმებული პარამეტრი არის დასაშვები კონცენტრაციის მაქსიმუმის დაბლა.

ქ. ქობულეთის ფარგლებში ზღვის წყლის ზოგად მდგომარეობაზე წარმოდგენას იძლევა ასევე „საქართველოს ინტეგრირებული მართვის პროექტი“, რომელიც მსოფლიო ბანკის ხელშეწყობით დაამუშავა სწიმ ცენტრმა. ამ ნაშრომის მონაცემების თანახმად, ქობულეთის ზონაში ზღვის წყლის მარილიანობა მეტია, ვიდრე, მაგალითად, ბათუმსა თუ ფოთში. მძიმე ლითონების კონცენტრაცია ქობულეთის მიმდებარე ზღვის აკვატორიის ფსკერზე გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ბათუმის ზონაში; იგულისხმება სპილენძი, დარიშხანი, თუთია, ქრომი და სხვა. ზღვის წყლის ხარისხის სინჯები ქობულეთის ზონაში გვიჩვენებს, რომ აქაც წყლის მდგომარეობა ნორმის ფარგლებშია.

ზოგადად საქართველოში, ზედაპირული წყლების დაბინძურების ძირითადი წყაროებია წყალმომარაგება - კანალიზაციის სექტორი, თბოენერგეტიკა და მრეწველობა. სექტორების მიხედვით დაბინძურებული ჩამდინარე წყლების ჩაშვება ასე ნაწილდება: წყალმომარაგება-კანალიზაციის სექტორი – 344.1 მლნ.მ³/წელ. (67%); თბოენერგეტიკა – 163.8 მლნ.მ³/წელ. (31%); მრეწველობა – 9.6 მლნ.მ³/წელ. (2%)
ქობულეთის ზღვის აკვატორიის დაბინძურების ძირითად წყაროდ რჩება ქალაქის საკანალიზაციო სისტემა და მყარი მუნიციპალური ნარჩენები.

ამრიგად, დღევანდელი მონაცემებით, აჭარის რეგიონში, შავ ზღვაში ჩამდინარე მდინარეების თანამედროვე ეკოქიმიური მდგომარეობა მინიმუმებს იმას, რომ ისინი არ განიცდიან მკვეთრ ანთროპოგენურ დატვირთვას. ამის მიზეზი არის ის, რომ სრული დატვირთვით არ მუშაობს ძირითადი დამაბინძურებელი ობიექტები. ეპიზოდურად აღინიშნება პესტიციდების არსებობა ზღვის წყლებში, ხოლო რაც შეეხება მძიმე ლითონებს, მათი არსებობა არ აღემატება ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს. აქედან გამომდინარე, შავი ზღვის სანაპირო ზოლს არსებითად არ აბინძურებს მასში ჩამდინარე მდინარეები.

2.1.11 კლიმატი

ქ. ქობულეთი წარმოადგენს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრს და იგი მდებარეობს ქ. ბათუმიდან 25 კმ-ის დაშორებით, კოლხეთის დაბლობის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ განშტოებაზე - ქობულეთის დაბლობზე. იგი გაშენებულია აკუმულაციურ ალუვიულ ვაკეზე; ზღვის დონიდან 3-5 მეტრის სიმაღლეზე. მისი კოორდინატებია - ჩრდილოეთის განედის 41°49' და აღმოსავლეთის გრძედის 41°47'.

ქ. ქობულეთი უშუალოდ შავი ზღვის სანაპიროზე, ის შავი ზღვისპირა ცნობილი საკურორტო ქალაქია და წარმოადგენს ქვეყნის ტურიზმის განვითარებისა და ეკონომიკური აღმავლობის ერთერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრს. ქალაქის საერთო ფართობი შეადგენს დაახლოებით 19.9 კმ². მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით 17 300 კაცი, საკურორტო სეზონის პერიოდში მოსახლეობის რაოდენობა 2-3-ჯერ იზრდება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ქ. ქობულეთი მდებარეობს ქვეზონაში, რომელიც გამოირჩევა მაღალი ნესტიანობითა და ზღვის ქარებით მთელი წლის განმავლობაში, უხვი წვიმებით შემოდგომასა და ზამთარში; შესაბამისად ხასიათდება ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავით. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა უდრის +14,3°C-ს; იანვარში +5.8°C, აგვისტოში +23.0°C; აბსოლუტური მინიმუმი - 16°C; აბსოლუტური მაქსიმუმი + 41°C. ნალექების წლიური რაოდენობა მაღალია - 2352 მმ, მაგრამ იმის გამო, რომ უფრო ხშირად მათ აქვთ ხანმოკლე ხასიათი (ე.წ. „ტროპიკული თავსხმა“) და ტერიტორიის გეოლოგიური თავისებურების გამო (ის ძირითადად წარმოადგენს წყალგამტარ სუბსტრატს), წვიმები ნაკლებ გავლენას ახდენს ჰაერის სინოტივის ცვალებადობაზე.

საზოგადოდ, ქობულეთისთვის დამახასიათებელია მაღალი სინოტიოვ, რომელიც თავის მაქსიმუმს აღწევს გაზაფხულზე (75%), ხოლო ზამთარში - 70%. მაგრამ, ბათუმთან შედარებით, კონტინენტის უშუალო გავლენის გამო, ქობულეთამდე აღწევს მშრალი ფენები, შედეგად, ჰაერის ფარდობითი ტენიანობა ეცემა 40-50%-მდე.

ზღვის წყლის ტემპერატურა მაისიდან ოქტომბრის ჩათვლით აღემატება 15°C; ივნისში ის აღწევს 20,7°C, ივლისში - 24,1°C, აგვისტოში - 24,4°C, სექტემბერში - 22,0°C, ოქტომბერში 18,3°C.

ქობულეთი ხასიათდება მაღალი რადიაციული დასხივებით. დილის პირდაპირი რადიაციის დონე აღწევს 0,35 მ.კალ., საღამოსი - 0,60-0,80 მ. კალ. განსაკუთრებით მაღალია ულტრაიისფერი რადიაცია, რასაც ფაქტორების მთელი რიგი ადასტურებს - სწრაფი გარუჯვა, მზის სამკურნალო მოქმედება და ა.შ.

მზის ნათების ხანგრძლივობის წლიური ჯამი ქობულეთში შეადგენს 2 100 საათს, რითაც ის გამოირჩევა აჭარის კურორტებს შორის. დასავლეთიდან მიმდებარე გამლილი ხმელეთი არ აბრკოლებს აღმოსავლეთის (დილის) მზის მოქმედებას ქობულეთის ტერიტორიაზე და თავისუფლად ატარებს ნოტიო ჰაერის მასებს ხმელეთის სიღრმეში და არ ახდენს მათს კონდენსაციას, როგორც ეს, მაგალითად, ბათუმში ხდება.

ქარის საშუალო სიჩქარე ქობულეთში შეადგენს 2/3 მ/წმ; დღის საათებში ეს სიჩქარე მეტია, ვიდრე ღამე; ზღვის ბრიზის გაძლიერება შეიმჩნევა შუადღეს. საერთოდ, ზღვის ბრიზის მოქმედება შეიმჩნევა თითქმის მთელი დღეღამის განმავლობაში; ამასთან, ალიონზე ხშირია შტილი, ან თითქმის შეუმჩნეველი ნიავით მატერიკის მხრიდან, რაც, აგრეთვე ანელებს ზაფხულის სიცხეს.

ქობულეთის საქალაქო პლაჟი, ძირითადად, ქვიშიან-ღორღიან კატეგორიას განეკუთვნება, პლაჟის ქვიშიანი მონაკვეთები გვხვდება სამხრეთით და ჩრდილოეთით.

ქ. ქობულეთის ფარგლებში ზღვის წყლის ზოგად მდგომარეობაზე წარმოდგენას იძლევა „საქართველოს ინტეგრირებული მართვის პროექტი“, რომელიც მსოფლიო ბანკის დახმარებით დაამუშავა სწიმ ცენტრმა. ამ ნაშრომის მონაცემების თანახმად, ქობულეთის ზონაში ზღვის წყლის მარილიანობა მეტია, ვიდრე, მაგალითად, ბათუმსა თუ ფოთში. მძიმე ლითონების კონცენტრაცია ქობულეთის მიმდებარე ზღვის აკვატორიის ფსკერზე გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ბათუმის ზონაში; იგულისხმება სპილენძი, დარიშხანი, თუთია, ქრომი და სხვა. ზღვის წყლის ხარისხის სინჯები ქობულეთის ზონაში გვიჩვენებს, რომ აქაც წყლის მდგომარეობა ნორმის ფარგლებშია, ამასთან ერთად, ქობულეთის ზღვის აკვატორიის დაბინძურების წყაროდ რჩება ქალაქის საკანალიზაციო სისტემა და მყარი მუნიციპალური ნარჩენები. საქართველოს მეტეოროლოგიის დეპარტამენტის ცნობით, ქ. ქობულეთის მდინარეები ძირითადად ბინძურდებოდნენ (80-იან - 90-იან წლებში) მსუბუქი და კვების მრეწველობის ჩამდინარე წყლებით, სასოფლო-სამეურნეო ნარჩენებით. წლების მანძილზე ამ მდინარეების ძირითად დამაბინძურებლად ითვლებოდა: ქლორი, მაგნიუმი, სულფატები, ჰიდროკარბონატები, კალციუმი, ფენოლები, პესტიციდები, ნავთობპროდუქტები, ბიოგენური ელემენტები და სხვა. მათი შემცველობა აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს (ზ.დ.კ.).

აჭარის რეგიონში, შავ ზღვაში ჩამდინარე მდინარეების თანამედროვე ეკოქიმიური მდგომარეობა მინიმუმებს იმას, რომ ისინი არ განიცდიან მკვეთრ ანთროპოგენურ დატვირთვას. ამის მიზეზი არის ის, რომ სრული დატვირთვით არ მუშაობს ძირითადი დამაბინძურებელი ობიექტები. ეპიზოდურად აღინიშნება პესტიციდების არსებობა ზღვის წყლებში, ხოლო რაც შეეხება მძიმე ლითონებს, მათი არსებობა არ აღემატება ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს. აქედან გამომდინარე, შავი ზღვის სანაპირო ზოლს არსებითად არ აბინძურებს მასში ჩამდინარე მდინარეები.



ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, საერთოდ, მოწმდება შემდეგი პარამეტრებით: მტვერი, SO₂, NO₂, SO₄, H₂S და CO. ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მიერ მოპოვებული მონაცემებიდან გამომდინარე, მოცემული კომპონენტებით ჰაერი არ არის დაბინძურებული და ისინი შეესაბამება მისაღებ ფონურ მდგომარეობას.

ამრიგად, ქობულეთის რეგიონის ზემოქაამოთვლილ ეკოსისტემებში არ შეინიშნება განსაკუთრებული დაბინძურების ფაქტები, გარდა ერთეული შემთხვევისა.


ქ. ქობულეთისთვის დამახასიათებელი მეტეოპირობები წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილებსა და დიაგრამებზე (ქ. ქობულეთის მეტეოსადგურის მონაცემებით). (წყარო: სნწ „სამშენებლო კლიმატოლოგია“ (პნ 01.05-08)) (იხ. ცხრილი 1)

ცხრილი 1

ქ.ქობულეთისმეტეოსადგურისმონაცემები


ა) ატმოსფერული ჰაერის ტემპერატურა (°C).

თვე საშ.	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ. წლ.	აბს. მინ. წლ.	აბს. მაქს. წლ.
ქობულეთი	4.8	5.5	7.6	10.9	15.4	19.5	22.4	22.6	19.5	15.4	10.7	6.7	13.4	-16	41



ბ) ფარდობითი ტენიანობა (%).

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
ქობულეთი	80	80	79	80	82	80	80	82	84	84	82	80	81



სადგური	საშუალო ფარდობითი ტენიანობა 13 საათზე		ფარდობითი ტენიანობის საშ. დღე-ღამური ამპლიტუდა	
	ყველაზე ცივი თვის	ყველაზე ცხელი თვის	ყველაზე ცივი თვის	ყველაზე ცხელი თვის
ქობულეთი	69	71	16	21

ნალექების რაოდენობა


სადგური	ნალექების რაოდენობა წელიწადში, მმ	ნალექების დღე-ღამური მაქსიმუმი, მმ
ქობულეთი	2352	240

ქარის მახასიათებლები

სადგური	ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელია 1,5,10,15,20. წელიწადში ერთხელ. მ/წმ				
	1	5	10	15	20
ქობულეთი	18	22	24	25	26

სადგური	ქარის საშუალო უდიდესი და უმცირესი სიჩქარე მ/წმ	
	იანვარი	ივლისი
ქობულეთი	4,4/1,5	5,1/1,7


სადგური	ქარის მიმართულებისა და შტილის განმეორებადობა (%) წელიწადში								
	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	შტილი
ქობულეთი	2	23	13	8	7	30	11	6	20




აქვე მოყვანილია საქართველოს ტემპერატურული დახასიათების და საკურორტო-კლიმატური დარაიონება, დასავლეთსაქართველოს კლიმატური დარაიონების, მზის ინსოლიაციის, ნალექების განაწილების და ქარის საშუალო სიჩქარეების სქემები. (იხ სქემა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7.)

სქემა 1


საქართველოს ტერიტორიის საშუალებლო კლიმატური დარაიონება




სქემა 2 საქართველოს საკურორტო-კლიმატური დარაიონება



სქემა 3 დასავლეთ საქართველოს ტემპერატურული დახასიათება



სქემა 7 ქარის საშუალო სიჩქარეები დასავლეთ საქართველოში




ქობულეთი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა,
 საქართველო, 41.82°ჩრ. 41.78°აღმ., 3ზღ.დ.


meteoblue-ს კლიმატის დიაგრამები ეფუძნება ბოლო 30 წლის განმავლობაში ამინდის სიმულაციის საათობრივ დაკვირვებას და ხელმისაწვდომია დედამიწის ნებისმიერი ადგილზე. დაკვირვებები გვაძლევენ ტიპურ კლიმატურ მახასიათებლებსა და მოსალოდნელ პირობებზე მინიმუმებს (ტემპერატურა, ნალექიანობა, მზიე და ქარი). იმიტირებულ ამინდის მონაცემებს აქვს სივრცითი გადაწყვეტის შესაძლებლობა დაახლოებით 30 კმ-ზე და არ შეუძლია ადაღინოს ადგილობრივი ამინდის ყველა ეფექტი, როგორცაა წვიმა-ელჭექით, ადგილობრივი ქარი, და ტორნადოები

საშუალო ტემპერატურა და ნალექიანობა




"საშუალო დღიური მაქსიმუმი" (მყარი წითელი ხაზი) გვიჩვენებს დღის საშუალო მაქსიმალურ ტემპერატურას ყოველთვიურად 41.81°ჩრ. 41.78°აღმ.. მსგავსად, "დღიური საშუალო მინიმალური" (მყარი ლურჯი ხაზი) გვიჩვენებს საშუალო მინიმალურ ტემპერატურას. ცხელი დღეები და ცივი დამებები (წყვეტილი წითელი და ლურჯი ხაზებით გამოსახული) აჩვენებს საშუალო ტემპერატურას დღე-ღამის ყველაზე ცხელი და ყველაზე ცივი დამებისას. თქვენ შეგიძლიათ 30 წელზე მეტი მონაცემების შეგროვება. შვებულების დაგეგმვის დროს, შეგიძლიათ წინასწარ განსაზღვროთ და მოემზადოთ ცხელი და ცივი დღეებისთვის. ქარის სიჩქარე პირდაპირ არ არის ნაჩვენები, თუმცა შეგიძლიათ ჩართოთ გრაფიკის ქვემოთ.

ღრუბლიანი, მზიანი და ნალექიანი დღეები




გრაფიკი გვიჩვენებს მზიან, ნაწილობრივ მოღრუბლულ, ჩამობნელებულ და წვიმიან დღეებს. დღეები სადაც ღრუბლიანობა 20%-ზე ნაკლებია განიხილება როგორც მზიანი დღე. 20დან-80დღე ღრუბლიანობა განიხილება ნაწილობრივ მოღრუბლულობად. ხოლო 80%-ზე მეტი მოღრუბლულობა კი განიხილება როგორც ძლიერ მოღრუბლულობა.

ქარის სიჩქარე




• დიაგრამა 41.81°ჩრ. 41.78°აღმ.-თვის აჩვენებს დღეებს თვის განმავლობაში, რომლებშიც ქარი აღწევს გარკვეულ სიჩქარეს.

მაქსიმალური ტემპერატურა




მაქსიმალური ტემპერატურის დიაგრამა 41.81°ჩრ. 41.78°აღმ. გვიჩვენებს ტემპერატურის სხვადასხვა მაჩვენებლებს ერთი თვის განმავლობაში. ღუბაი, ერთ-ერთი ყველაზე ცხელი ქალაქი დედამიწაზე, თითქმის არც ერთი დღე ტემპერატურა 40 ° C ქვემოთ არ ჩამოდის ივლისში.

ნალექების რაოდენობა



• ნალექების დიაგრამა 41.81°ჩრ. 41.78°აღმ. გვიჩვენებს, თვის განმავლობაში ნალექების დღიურ რაოდენობას.

ქარის სიჩქარის ვარდი.



• ქარის ვარდი 41.81°ჩრ. 41.78°აღმ.-თვის გვიჩვენებს, წელიწადში რამდენ საათს უბერავს ქარი მითითებული მიმართულებიდან. მაგალითად სამხრეთ-დასავლეთი: ქარი ქრის სამხრეთ-დასავლეთიდან (სდ) ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ (ჩა).

2.1.12 სეისმოლოგია გეოლოგია

ქ. ქობულეთის ტერიტორია მიეკუთვნება საქართველოს ბელტის დასავლეთის დაძირვის ოლქს. ტერიტორია ძირითადად აგებულია თანამედროვე (Q4) - ახალმაჯზღვიური, ძველმაჯზღვიური (პოლოცენი) და ზედა მეოთხეული Q3 - ახალ ევქსინური პლიაწური და დელტური ფხვიერი მეოთხეული დანალექებით. აღნიშნულ რეგიონში ნალექების დაგროვება დაკავშირებული იყო ტრანსგრესიებსა და რეგრესიებზე. დაახლოებით 30 მ-დან 100 მ-დე ნალექების დაგროვება უკავშირდება ახალევქსინურ რეგრესიას, ხოლო უფრო ახალგაზრდა (15მ-დან-30მ-დე) ნალექების დაგროვება დაკავშირებულია პონტურ და კოლხურ რეგრესიებთან, რაც შეეხება სულ ზედა ფენას 15.0 მ სიღრმემდე ნალექების დაგროვება დაკავშირებულია ლაზურ ტრანსგრესიასთან.


ქობულეთის ვაკე-დაბლობი სამხრეთიდან ისაზღვრება ციხისძირის ვულკანოგენური ქანებით აგებული ჭიუხით, ხოლო ჩრდილოეთიდან მდ. ნატანებით და წარმოადგენს უახლოეს ეპოქაში გაღუნულ ბლოკს, რომელიც ამჟამად განიცდის დაძირვას 2 მმ-მდე წელიწადში. თავის მხრივ კოლხეთის დაბლობის არეალში მორფოლოგიურად გამოიყოფა ლაგუნა-ჭაობის ზონა, ვიწრო შეღვი და ძველი სანაპირო ზვინული, რომელიც წარმოადგენს ფანაგორიის (ეგრისული ფაზა) რეგრესიის რელიეფს და გრძელდება ნაპირის გასწვრივ 10კმ-ზე.

გეომორფოლოგიური თვალსაზრისით, გამოკვლეული ტერიტორია განთავსებულია კოლხეთის დაბლობის დასავლეთ დაბლობებზე, აკუმულაციურ ზღვისპირა დაბლობებზე, ზედაპირი სწორია, თითქმის ბრტყელი, ზღვისკენ ოდნავ დახრილი.

სეისმური დარაიონების რუკის შესაბამისად ტერიტორია მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმურ ზონას.

ილუსტრაცია # 3

სეისმური საშიშროების რუკა
მაქსიმალურ პორიზონტულ აჩქარებასა და ბალებში



მონაცემები მოცემულია რაიონის კლიმატური პირობების შესახებ სნ და წ („სამშენებლო კლიმატოლოგია“, 36 01.05-08)-ზე დაყრდნობით:

- 1.ჰაერის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა _80 ჩ;
- 2.ჰაერის აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა..... + 400 ჩ;
- 3. ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა (საშუალო წლის განმავლობაში) 79%;
- 4. ნალექების რაოდენობა წელიწადში 2685 მმ;
- 5. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა..... +14,40 ჩ;
- 6. ნალექების რაოდენობა დღე-ღამეში 231 მმ;
- 7. თოვლის საფარის წონა 0,5 კპა;
- 8. ირიბი წვიმების რაოდენობა წელიწადში 1316 მმ;
- 9. თოვლის საფარის დღეთა რიცხვი 10

10. ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობები:

5 წელიწადში ერთხელ 0,30 კპა;

20 წელიწადში ერთხელ 0,38 კპა;

11. ქარის მახასიათებლები, ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელია:

წელიწადში ერთხელ 17 მ/ წმ;

5 წელიწადში ერთხელ 22 მ/ წმ;

10 წელიწადში ერთხელ 24 მ/ წმ;

15 წელიწადში ერთხელ 25 მ/ წმ;

20 წელიწადში ერთხელ 28 მ/ წმ;

12. გრუნტების სუზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე 0 სმ.

- მეწყერული დაზიანებისა და საშიშროების თვალსაზრისით არეალი მიჩნეულია საშუალო რისკის ღონისად და მიეკუთვნება 0,1-0,3 კატეგორიას. მიუხედავად იმისა, რომ მეწყერული დაზიანების საშიშროების თვალსაზრისით საქართველო უმაღლესი რისკის ზონაში გადის მთელი კავკასიის მასშტაბით, აჭარის რეგიონში კერძოდ კი ქ. ბათუმის ტერიტორიაზე რისკის დონე განისაზღვრება როგორც საშუალო. საპროექტო ტერიტორია არ შედის საქართველოში არსებულ 53 ათასი მეწყერული უბნის ზონაში, რასაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ამ არეალში არსებული

ილუსტრაცია # 4

საქართველოს ტერიტორიის დარაიონების რუკა
მეწყერებით დაზიანებისა და საშიშროების რისკის მიხედვით



2.1.13 დაგეგმვისწინა მდგომარეობა

2.1.13.1. სივრცითი დაგეგმვის მიზნები და პრინციპები

სივრცითი დაგეგმვის მიზნებსა და პრინციპებს, ზოგადად, აყალიბებს საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“. საყოველთაო, უნივერსალური მიზნების გარდა, კონკრეტულ შემთხვევაში დაგეგმვა-დაპროექტების მიზნებად მიჩნეულია:

- მდგრადი და დაბალანსებული განვითარების მიღწევა;
- მიმზიდველ, კონკურენტუნარიან, თანამედროვე დონის დაბალი ინტენსივობის განაშენიანების ჩამოყალიბება;
- ღივრსიფიცირებული ტურიზმის განვითარება და მართვა Covid-ეპიდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გათვალისწინებით

შპს „დრიმლენდ ოაზისი“-ის გეგმარებითი ერთეულის განვითარება და დაპროექტების პრინციპები კონკრეტულ

შემთხვევაში გულისხმობს შემდეგს:

- დასახული მიზნების მისაღწევად, ერთი ტაქსონომიური საფეხურით უფრო მაღალი ურბანისტული კონტექსტის გათვალისწინება;
- სხვადასხვა მხარის ინტერესთა შეჯერება, მათ შორის, ურბანსოციოლოგიური კვლევის შედეგების საფუძველზე;
- გარემოსდაცვითი მოთხოვნებისა და სხვა ქალაქთმშენებლობითი შეზღუდვების გათვალისწინება;
- ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების პრიორიტეტულობა;
- უძრავი ქონების კანონიერი მესაკუთრეების კონსტიტუციური უფლებების დაცვა და, საჭიროებისამებრ, კომპრომისული წინადადებების შეთავაზება და სხვა.
- მაკომპენსირებული დონისძიებების ადგილობრივ თვითმმართველობასთან შეთანხმებით და გეგმაზომიერათ განხორციელება.

2.1.13.2. ზემდგომი გეგმები.

საქართველოში სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა-დაპროექტების ფრაგმენტული პრაქტიკის პირობებში, შპს „დრიმლენდ ოაზისი“-ის გეგმარებითი ერთეულის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავება ეფუძნება ქობულეთის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის რუკებს, რომელიც დამტკიცებულია ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

2.1.14 სოციოლოგიური კვლევა

სოციოლოგიური კვლევები და მათი ქალაქთმშენებლობითი ინტერპრეტაცია თანამედროვე ეტაპის ურბანული განვითარების აუცილებელ სტადიას წარმოადგენს. ეს ეხება ნებისმიერი მასშტაბის დასახლებას - ისეთ მცირესაც, როგორც ჩვენს შემთხვევაში წარმოდგენილი გეგმარებითი ერთეულია.

ამდენად, პროექტის - განაშენიანების დეტალური დაგეგმარების კონცეფციის შემუშავების საპროექტო დოკუმენტაციის,, - ფარგლებში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის მონაცემები ემსახურება როგორც ზოგადი სტატისტიკური სურათის წარმოდგენას, ისე ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შემუშავების სტადიაზე ოპტიმალური გადაწყვეტილებების შეთავაზებას.

სოციოლოგიური კვლევა, ანკეტური გამოკითხვის ფორმით, ჩატარდა 2021 წლის 01-05 ნოემბერს, სოციოლოგ თამარ დობორჯგინიძის მიერ. კვლევას წინ უსწრებდა პროექტში მონაწილე სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტების ჩართული დაკვირვება ადგილზე, რამაც ხელი შეუწყო ანკეტების კითხვების მიზანდასახულ ჩამოყალიბებას.

კვლევის მსვლელობაში ყურადღება გამახვილდა საკუთრივ გეგმარებითი ერთეულზე მრავალფუნქციური ობიექტის მშენებლობაზე - მისი ტურისტული მიმზიდველობისა და განვითარების მდგომარეობის გამო.

სრულად იხ. დანართი: ფურც. გღგ.დ 38/41 __ სოციოლოგიური კვლევა

3 განაშენიანების დეტალური გეგმა (კონცეპცია)

3.1 გღგ კონცეპციის ანოტაცია

3.1.1 გღგ კონცეპციის მიზანი და ამოცანები

გეგმარებითი ერთეულის დაგეგმვის მიზანი და შესაბამისად გღგ მიღების მიზანია ადეკვატურად უპასუხოს გეგმარებით ერთეულში დაგეგმვის საჭიროებებს, აღნიშნულისთვის აუცილებელია გეგმარებით ერთეულში საბაზისო მონაცემებისა და სავსე კვლევების საფუძველზე, განვითარების საერთო და შეჯერებული ხედვის ჩამოყალიბება, შესაბამისი სტრატეგიის (პრიორიტეტები და რიგითობა) შემუშავება და განაშენიანების დეტალური გეგმაში ასახვა, რათა შემდგომ გღგ იმპლემენტაციის ეტაპზე, მიღწეულ იქნას გეგმარებითი ერთეულის დაბალანსებული და მდგრადი განვითარება, კერძო ინვესტიციების ფარგლებში.

გამომდინარე აღნიშნულიდან, გღგ უნდა უპასუხოს შემდეგ ამოცანებს:

გეგმარებითი ერთეულის დაგეგმვის მიზნის მისაღწევად, საჭიროა გადაჭრილ იქნას შემდეგი სახის დაგეგმვის ამოცანები:

- კერძო და საჯარო ინტერესების, მათ შორის დარგთაშორისი კონფლიქტების, დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების მაქსიმალური დაახლოვება და ურთიერთშეთანხმება გეგმარებითი ერთეულის დაგეგმარების მართვის საკითხებში;
- შპს "დრიმლენდ ოაზისი"-ის საპროექტო დავალების გათვალისწინებით დადგენილი პარამეტრების ცვლილება და მიმდებარე გარემოსთან ცვლილებებით გამოწვეული ასპექტების სრულყოფილად ადაპტაცია.
- გეგმარებით ერთეულში შემავალი ნაკვეთის დაყოფა გადასასვლელი გზის მოწყობის მიზნით (იხ.რუკა ნაკვეთების მონაცვლეობის გეგმა: გღგ-გ 26.)
- გეგმარებით ერთეულის მაქსიმალურად გამწვანება.
- გეგმარებით ერთეულის საინჟინრო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა.
- საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 41-ე მუხლის მე-5 ქვეპუნქტის შესაბამისად მაკომპენსირებელი ღონისძიების გატარება

3.1.2 გღგ კონცეპციის შინაარსი

განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეპცია კოდექსის თანახმად წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის მეორე საფეხურის დოკუმენტს, რომლითაც ხორციელდება განაშენიანების რეგულირება.

შპს „დრიმლენდ ოაზისი“-ის მიერ ინიცირებულ იქნა დეტალური განაშენიანების გეგმის შემუშავება, მუნიციპალიტეტთან შეთანხმებული რიგითობის დაცვით. სწორედ ამ დოკუმენტით იქნება დარეგულირებული კოდექსის 41-ე მუხლით გათვალისწინებული ყველა პარამეტრი და შეიქმნება სამართლებრივი საფუძვლები მშენებლობის ნებართვის გაცემისთვის.

განაშენიანების დეტალური გეგმა ფიზიკური სახით წარმოადგენს ერთ პლანშეტზე დატანილ ტერიტორიის გამოყენების რუკას (შესაბამისი გეგმარებითი პარამეტრებით) და განაშენიანების მართვის რეგლამენტს. ზონირება წარმოდგენილია როგორც დარგობრივი კანონმდებლობის შესაბამისად, ისე ძირითადი დებულებების შესაბამისად. ქ. ქობულეთის განაშენიანების გენერალური გეგმით სამშენებლო ტერიტორიაზე დადგენილია ერთი ძირითადი ზონა - ლანდშაფტის ტერიტორიის ზონა, რომელიც გღგ კონცეფციის ფარგლებში ცვლილებას განიცდის როგორც ზონის ასევე დადგენილი პარამეტრების ცვლილების სახით. (იხილეთ ცხრილი #4)

არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი იზღუდება გეგმარებითი ერთეულის საზღვრებით, მაგრამ გეგმარებითი ერთეულის დადგენილი პარამეტრების ცვლილების მოთხოვნის (საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 41-ე მუხლის მე-5 ქვეპუნქტის შესაბამისად) მიზნით გღგ პროექტის განხილვის საგანია მაკომპენსირებელი ღონისძიების გატარება, რაც კანონმდებლობითაა დაშვებული.

გეგმარებითი ერთეულისა და მიმდებარე ტერიტორიების განვითარების მიზნით კერძო ინიციატივით შემოთავაზებულია ინვესტორის ხარჯით მაკომპენსირებელი ღონისძიების გატარება და მისი არსი შემდეგია: მაკომპენსირებელი ღონისძიების ფარგლებში საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე სამხრეთის მხრიდან ქობულეთის მუნიციპალიტეტის სარგებლობაში არსებულ საზოგადოებრივ სკვერს (კოდით 20,42,01,601) ჩაუტარდება სარებილიტაციო სამუშაოები და განახლება კეთილმოწყობილი სკვერის სახით, სადაც მოეწყობა საფეხმავლო ბილიკები, ბავშვთა გასართობი ზონა, გაზონები სხვადასხვა ხე-ნარგავებით და სკვერის განათვლებით, რაზედაც ინიციატორის მიერ დაიხარჯება 100000 ლარი.

ასევე საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთის მხრიდან საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში განვითარდება 4 მ. სიგანის საფეხმავლო გზა საერთო ფართობით 363,3 კვ.მ. საერთო ჯამში დაგეგმილი მაკომპენსირებელი ღონისძიების გატარება გათვალისწინებულია 8570,3 კვ.მ ფართის ტერიტორიაზე რაც შეადგენს გეგმარებითი ერთეულის 55%.

ცხრილი #4)

მოთხოვნილ ზონაში დადგენილი პარამეტრები და მათი ცვლილება		
კოეფიციენტი	დადგენილი პარამეტრები	მოთხოვნილი პარამეტრები
კ-1	0,2	კ-1=0,2 მოშენების ფართობი 2750,0 კვ.მ (რჩება უცვლელი)
კ-2	განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლეა 15 მ* <small>(გამონაკლისი რეგულირდება გღგ-ით)</small>	კ-2= 3,0 მოშენების ინტენსივობის ფართობი 46854,0 კვ.მ <small>(მოთხოვნილია კ-2 კოეფიციენტის და სიმაღლის გაზრდა H= max.120.5 მ.)</small>
კ-3	კ-8	კ-3= 0,2 გამწვანების ფართობი 3123.6 კვ.მ <small>(მოთხოვნილია კ-3 კოეფიციენტის შემცირება)</small>



3.1.3 ეფექტიანობის შეფასება

გდგ კონცეპციაზე მუშაობის მსვლელობაში შეფასდა ყველა ქალაქმშენებლობითი წინადადებების ძირითადი ვერსიები და მათი ალტერნატივები, ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობების და საფრთხეების განხილვის საფუძველზე. შემდგომ (III) ეტაპზე გათვალისწინებულია ზემოთაღნიშნული ქალაქგეგმარებითი გადაწყვეტილებისა და მათი ალტერნატივების ეფექტიანობის შეფასება, რაც გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში თითოეული კონცეფციური წინადადების უფრო დეტალურ განხილვას დაინტერესებულ მხარეებთან ერთად. კონსულტაციების საფუძველზე შეირჩევა ოპტიმალური ვარიანტი. დაგეგმილი ქალაქმშენებლობითი ღონისძიებები შეფასდება ხარჯეფექტურობის/მომგებიანობის თვალსაზრისით. ეს გულისხმობს, სახელმწიფოს მიერ წლების მიხედვით დაგეგმილი კაპიტალური და ინფრასტრუქტურული დანახარჯების და შედეგად გარემოს გაუმჯობესებით მიღებული გაზრდილი შემოსავლების გადათვლას და შედეგების ფინანსურ ანალიზს.

შემოსავლების გადათვლა მოხდება შპს „დრიმლენდ ოაზისი“-ის მიერ შემოთავაზებული უძრავი ქონების ფუნქციური განვითარების პროგრამის მიხედვით. კერძოდ, გაანალიზდება მრავალფუნქციური ობიექტის მშენებლობის/განვითარების შედეგად სახელმწიფოს მიერ მიღებული შემოსავალი. გადასახადების დათვლისას გამოვიყენებთ ოთხ ძირითად გადასახადს:

ქობულეთი 2022 წ.



მასშტაბი



ექსპლიკაცია:

პირობითი ნიშნები

ელ.შარის განთავსება და ღანტიშეშევა	აღრიცხვის კარადა / შემქმნან- გამანაწილებელი შარი	P _{საანბ}	P _{ერთნართ}	P _{საანბ}	I საანბ (ა)	I ავტ.ნომ. (ა)	U (ბ)	მკვებაპი კაბელის მარკა, კვეთი	აბონენტის რ-ბა	
აღრიცხვის კარადა-განთავსება (მრიცხველი 6 ც სამფაზა, 60/100 ა - 6 ც)	საერთო სივრცის განათების შარი-1	10,0	1,0	10	45,8	3P 50	400	5x10 N2XH	1	3-ფაზა
	ტექნიკური შარი	60,0	1,0	60	274,6	3P 400	400	5x150 N2XH	1	3-ფაზა
	DB-პარკინგი-(სართული -3, -2 -1)	30,0	1,0	30	137,3	3P 250	400	5x25 N2XH	1	3-ფაზა
	DB-სახანძრო შესართხობა	60,0	1,0	60	274,6	3P 400	400	5x150 N2XH	1	3-ფაზა
	DB-საქვებზე	30,0	1,0	30	137,3	3P 250	400	5x25 N2XH	1	3-ფაზა
	ლიფტის შარი (3 ლიფტი)-ბლოკი 1	30,0	1,0	30	137,3	3P 250	400	5x25 N2XH	1	3-ფაზა
ჯამური მოთხოვნილი სიმძლავრე (კვტ)		220,0		220	1006,9	2 x 3P 600	400	2 x 4x150 NAYY		
მგკ-1 აღრიცხვის კარადა-1 არასაყოფაცხოვრებო აღრიცხვა (მრიცხველი სამფაზა, 5ა- 2 ც დენის ტრ-რები 400/5 - 6 ც)	რესტორანი, სამზარეულო (ბლოკი-1)	100,0	1,0	100	152,1	3P 200	400	5x120 N2XH	1	3-ფაზა
	სპა, აუზი (ბლოკი-1)	100,0	1,0	100	152,1	3P 200	400	5x120 N2XH	1	3-ფაზა
მგკ-2 საყოფაცხოვრებო აღრიცხვა	სასტუმრო-340 ნომრით (ბლოკი-1-25 სართულიანი)	3400,0	0,251	853	1298,1	6 x 3P 250	400	6 x 4x150 NAYY	23	3-ფაზა
ბლოკი-1 ჯამური მოთხოვნილი სიმძლავრე (კვტ)				1273	1937,0	8 x 3P 400	400	8 x 4x240 NAYY	31	3-ფაზა
შედეგები										
ელ.შარის განთავსება და ღანტიშეშევა	აღრიცხვის კარადა / შემქმნან- გამანაწილებელი შარი	P _{საანბ}	P _{ერთნართ}	P _{საანბ}	I საანბ (ა)	I ავტ.ნომ. (ა)	U (ბ)	მკვებაპი კაბელის მარკა, კვეთი	აბონენტის რ-ბა	
აღრიცხვის კარადა-განთავსება (მრიცხველი 6 ც სამფაზა, 60/100 ა - 6 ც)	საერთო სივრცის განათების შარი-1	10,0	1,0	10	45,8	3P 50	400	5x10 N2XH	1	3-ფაზა
	ტექნიკური შარი	60,0	1,0	60	274,6	3P 400	400	5x150 N2XH	1	3-ფაზა
	DB-პარკინგი-(სართული -3, -2 -1)	30,0	1,0	30	137,3	3P 250	400	5x25 N2XH	1	3-ფაზა
	DB-სახანძრო შესართხობა	60,0	1,0	60	274,6	3P 400	400	5x150 N2XH	1	3-ფაზა
	DB-საქვებზე	30,0	1,0	30	137,3	3P 250	400	5x25 N2XH	1	3-ფაზა
	ლიფტის შარი (3 ლიფტი)-ბლოკი 1	30,0	1,0	30	137,3	3P 250	400	5x25 N2XH	1	3-ფაზა
ჯამური მოთხოვნილი სიმძლავრე (კვტ)		220,0		220	1006,9	2 x 3P 600	400	2 x 4x150 NAYY		
მგკ-1 აღრიცხვის კარადა-1 არასაყოფაცხოვრებო აღრიცხვა (მრიცხველი სამფაზა, 5ა- 2 ც დენის ტრ-რები 400/5 - 6 ც)	რესტორანი, სამზარეულო (ბლოკი-1)	100,0	1,0	100	152,1	3P 200	400	5x120 N2XH	1	3-ფაზა
	სპა, აუზი (ბლოკი-1)	100,0	1,0	100	152,1	3P 200	400	5x120 N2XH	1	3-ფაზა
მგკ-2 საყოფაცხოვრებო აღრიცხვა	სასტუმრო-500 ნომრით (ბლოკი-2-35 სართულიანი)	5000,0	0,251	1255	1909,0	8 x 3P 400	400	8 x 4x150 NAYY	33	3-ფაზა
ბლოკი-2 ჯამური მოთხოვნილი სიმძლავრე (კვტ)				1675	2547,9	8 x 3P 400	400	8 x 4x240 NAYY	41	3-ფაზა
ობიექტისთვის ჯამური მოთხოვნილი სიმძლავრე (კვტ)				2948						

პროექტის სახელწოდება

მრავალფუნქციური კომპლექსის
მშენებლობის განაშენიანების
ლექტურული გეგმის კონცეფცია

ფურცლის სათაური

პ.მომახიბაძე

სიმძლავრის საანგარიშო და საოპერატიული
აპარატის ასარეგულირებელი
კალკულაციური და პროექტის და აღრიცხვის
აპარატის მოწყობა

მისამართი:

ქ.ქობულეთი, დ. აღმაშენებლის
გზის №297
ს/პ: 20 42 01 051

ინიციატორი:

შპს „დრიმლენდ ზაზისი“
(I/D ნომერი 205205124)

შემსრულებელი:

შპს „არტ-დიზაინი“
ს/ნ 247007297 მის:
ქ.ქობულეთი მ.კომანდის #16

თანამდებობა: გვარი სელმონოვი

დირექტორი მ.ქათამაძე

სტრუქტურული ინჟინერი

სტრუქტურული ინჟინერი

ლაშაშაძე გ. ბერიძე

სტადია: მ.დ.შ.კონცეფცია

ქობულეთი 2022 წ.



მასშტაბი



ექსპლიკაცია:

პროექტის სახელწოდება

მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეპცია

ფურცლის სათაური

ი.მომხიბვა.
საპროექტო სახანსო-საპროექტო კვლევების ჯინსიონილი სპეციალური ელექტროენერჯის და აღმოსავლეთი ჯინსიონის მოწყობა

მისამართი:

ქ.კობულეთი, დ. აღმაშენებლის გამზირი №297
ს/პ: 20 42 01 051

ინიციატორი:

შპს „დრიმლენდ ზაზისი“
(I/D ნომერი 205205124)

შემსრულებელი:

შპს „არტ-დისაინი“
ს/ნ 247007297 მის:
ქ.კობულეთი მ.კომაროვის #16

თანამდებობა

დირექტორი მ.ქაიჭაძე

საინჟინრო-საპროექტო

ს. ბერიძე


დაამუშავა

გ. ბერიძე

სტადია

მ.დ.შ.კონცეპცია

ქობულეთი 2022 წ.



$P_{\Sigma} = 1273 \text{ kW}$

$P_{\Sigma} = 1675 \text{ kW}$

ობიექტის ჯამური მოთხოვნილი სიმძლავრე

$P_{\Sigma} = 2948 \text{ kW}$

ავტონომიური კვების წყაროს ჩართვის სქემის განმარტებითი გარათი
 შეიქმნა კვების მოწოდების უწყვეტის უზრუნველყოფის მიზნით. გარათი მოიცავს:
 - ჩართვას QS1 კონტაქტორი, მოხდება გენერატორის ავტომატური გაშვება;
 - ჩართვას QS2 კონტაქტორი, გენერატორის ავტომატური მართვის მოწყობილობაში მოხდება მიერთებული მომხმარებლის ავტომატური გადართვა გენერატორზე,
 - გადართვები ხორციელდება ავტომატურად (მომხმარებელ კერძონალის ჩარევით გარეშე, რაც გათვალისწინებულია გენერატორის მართვის სქემაში);
 - შეიქმნა კვების მოწოდების განმარტებითი გარათი QS2 კონტაქტორი, და ავტომატურად ჩართვას QS1 კონტაქტორი, რითიც აღდგება პირველი სქემა;

სა-ს მკვეთრი გარე ქსელის სპეციფიკაცია

დასახელება	ბანხ. ერთ	რ-ბა
სახაზო უჯრედი - 10 კვ კაპის ვაკუუმური ამომრთველით In=630 A	ც	1
(N)A2XS2Y -10 kV 3 x 240RM/25 კვითის ალუმინისკარგვიანი კაბელი (L=100 მ)	მ	100
„რეიხემი“-ს დამაბოლოებელი ქურო 10 კვ 240 კვითის კაბელისთვის	კომპ	2
სქელკედლიან კოლიტორვინილის მილში, შიდა დიამ. 100 მმ, სისისტის კლასი SN8;	მ	20
სილა (ბაცრილი მიწა)	მ ³	4,0
აბური წითელი თიხის სრულტანიანი	ათ.ც	0,8
კაბელმანიშენებელი ღუნტი	მ	80

ობიექტის მკვეთრი გარე ქსელის სპეციფიკაცია

დასახელება	ბანხ. ერთ	რ-ბა
NAYY -1 kV 4 x 150 კვითის ალუმინისკარგვიანი კაბელი	მ	2000
დამაბოლოებელი ბუნიკი 1 კვ 150 კვითის კაბელისთვის	კომპ	16
სქელკედლიან კოლიტორვინილის მილში, შიდა დიამ. 100 მმ, სისისტის კლასი SN8;	მ	40
სილა (ბაცრილი მიწა)	მ ³	73,6
აბური წითელი თიხის სრულტანიანი	ათ.ც	14,72
კაბელმანიშენებელი ღუნტი	მ	1840

დამიწების კონტურის და მოწყობილობების დამიწების სპეციფიკაცია

დასახელება	ბანხ. ერთ	რ-ბა
ბალვანიზირებული ფოლადის ღერო დიამ.18 მმ L=3 მ	ც / მ	30 / 60
ზოლოვ.ფოლადი 40x4 მმ	მ	60
ზოლოვ.ფოლადი 25x4 მმ	მ	46

გარე ქსელის მასალათა და მოწყობილობათა სპეციფიკაცია

№№	დასახელება	ბანხ. ერთ	რ-ბა
1	კალვანი ტრანსფორმატორი 1600 კვა, 10/0,4 კვ	ც	2
2	10 კვ სახაზო უჯრედი KCO-366 - დენმკვეთით P-10-400	კომპ	1
3	10 კვ შეწყვეტი უჯრედი KCO-366 - ვაკუუმური ამომრთველით VS1-10-20/630 A რელი REST.02 - დეშენტირებით დენის ტრ-რები 200/5 TPO-10	კომპ	2
4	0,4 კვ შეწყვეტი ფარი ЦО-70-1-60У3 დემკვეთები-მცველებით PP-2000 A	კომპ	2
5	0,4 კვ სახაზო ფარი ЦО-70-4 დემკვეთი-მცველით 4 x PP 400 A	კომპ	4
6	კონდენსატორი 10 კვარ	გლოკი	2
7	სამფაზა ავტომატური ამომრთველი BA 3P16 ა	ც	2
8	(N)A2XS2Y -10 kV 3 x 240RM/25 კვითის ალუმინისკარგვიანი კაბელი	მ	60
9	„რეიხემი“-ს დამაბოლოებელი ქურო 240 კვითის კაბელისთვის	კომპ	4
10	დენის ტრანსფორმატორი 0000/5	ც	6
11	საკონტროლო კაბელი AKBBr-0,66 4x1,5	მ	40
12	1,0 სისისტის კლასის აქტიური ელ.ენერგიის სამფაზა ცალმიმართულევიანი 3-ელემენტიანი მრიცხველი 220/380 V, 5(10) A	ც	2
13	კონდენსატორების გლოკი სტატიკური გატარებით 250 კვარ	გლოკი	2
14	სამფაზა ავტომატური ამომრთველი 3P 400 ა	ც	2
15	ალუმინის სალტი АД31Т-8Х80	მ	60
16	ბენეატორი 2000 კვა, რეპარვის ავტომატური ჩართვის სინქრონიზაციის პანელი	კომპ	2



ექსპლიკაცია:

პროექტის სახელწოდება

მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია

ფურცლის სათაური

ი.მომხიბება.
სახიობო სახანსო-სამრეწველო ქვესადგომის ჰინსინიციანი სემა ქალკანი ქალსიონსი და აღისსვის ხანძარის მოწყობა

მისამართი:

ქ.კობულეთი, დ. აღმაშენებლის გამზირი №297
ს/ა: 20 42 01 051

ინიციატორი:

შპს „დრიმლენდ რაზისი“
(I/D ნომერი 205205124)

შემსრულებელი:

შპს "არტ-დიზაინი"
ს/ნ 247007297 მის:
ქ.კობულეთი მ.კომანდის #16

თანამდებობა

გვარი: სელმურგო
დირექტორი: მ.ქაიამაძე
სახელისწამლი: გ. ბერიძე
დაამუშავა: გ. ბერიძე

სტადია



მ.დ.მ კონცეფცია
კობულეთი 2022 წ.





10 კვ კაბელის ჩადება მიწის ტრანშეაში ქუჩის პირას

10 კვ კაბელის ჩადება მიწის ტრანშეაში ქუჩის გადაკვეთის ადგილას მიწში გატარებით



პირობითი ნიშნები

პროექტის სახელწოდება

მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეპცია

ფურცლის სათაური

ა.მომთახაზა.
10 ხვ ხაზის სამონტაჟო ბაზა, ჭიჩი
ქალაქი ქუთაისი ქ. ალექსანდრე მთაწმიდის და ალექსანდრე მთაწმიდის მოსაზრება

მისამართი:

ქ.კობულეთი, დ. ალექსანდრე მთაწმიდის
ბაზირი №297
ს/პ: 20 42 01 051

ინიციატორი:

შპს „დრიმლენდ რაზისი“
(I/D ნომერი 205205124)

შემსრულებელი:

შპს "არტ-დიზაინი"
ს/ნ 247007297 მის:
ქ.კობულეთი მ.კომანდის #16

თანამდებობა: გვარი ხელმოწერა

დირექტორი მ.კათაძე

საინჟინრო-სამშენებლო

ლაშაშაძე გ. ბერიძე

სტადია: მ.დ.შ.კონცეპცია

ქობულეთი 2022 წ.



შპს "არტ-დიზაინი"

ქალაქ ქობულეთში, დ.აღმაშენებლის გამზირი №297-ში მდებარე ტერიტორიაზე (ს/კ 20.42.01.051)
მრავალფუნქციური ობიექტის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის სტრატეგიული
გარემოსდაცვითი შეფასების

სკრინინგის ანგარიში

შემსრულებელი შპს „არტ-დიზაინი“

ქობულეთი, 2022 წ

შინაარსი

1	შესავალი	3	გღვ-დ 54.
2	ანგარიშის მომზადების საკანონმდებლო საფუძველი	3	გღვ-დ 54.
3	დაგეგმილი საქმიანობის მოკლე აღწერა	4	გღვ-დ 55.
4	სტრატეგიული დოკუმენტის სხვა სტრატეგიულ დოკუმენტთან მიმართება	6	გღვ-დ 57.
5	ინფორმაცია საქმიანობის განხორციელების ადგილის გარემოს ფონურ მდგომარეობაზე	7	გღვ-დ 58.
5.1	კლიმატური პირობები	7	გღვ-დ 58.
5.1.1	კლიმატის მიმდინარე ცვლილება	8	გღვ-დ 59.
5.2	ზოგადი გეოლოგიური პირობები	12	გღვ-დ 64.
5.3	ნაპირდაცვა	13	გღვ-დ 64.
5.4	დაცული ტერიტორიები	13	გღვ-დ 64.
6	გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების ფაქტორები	14	გღვ-დ 65.
6.1	მოსალოდნელი ზემოქმედების მოკლე აღწერა	14	გღვ-დ 65.
6.2	ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიები და ხმაურის გავრცელება	15	გღვ-დ 66.
6.3	ნიადაგის და გრუნტის დაბინძურება	15	გღვ-დ 66.
6.4	ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურება	16	გღვ-დ 67.
6.5	ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება	16	გღვ-დ 67.
6.6	დაცულ ტერიტორიებზე ზემოქმედება	19	გღვ-დ 70.
6.7	ნარჩენების არასათანადო მართვით გამოწვეული ზემოქმედება	19	გღვ-დ 70.
6.8	სოციალურ გარემოზე ზემოქმედება	20	გღვ-დ 71.
6.9	ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ზემოქმედება	20	გღვ-დ 71.
7	უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები	21	გღვ-დ 72.
8	დასკვნა	23	გღვ-დ 74.

ილუსტრაციები

ილუსტრაცია 1	საპროექტო ტერიტორიის მდებარეობა	4	გღვ-დ 55.
ილუსტრაცია 2	საპროექტო ტერიტორიის ორთო ფოტო	4	გღვ-დ 55.
ილუსტრაცია 3	გეგმარებითი ობიექტის გენგეგმა	5	გღვ-დ 56.
ილუსტრაცია 4	საპროექტო ობიექტის ფოტომონტაჟი და ვიზუალიზაცია	5	გღვ-დ 56.
ილუსტრაცია 5	საპროექტო ტერიტორიის არსებული ზონირება ქალაქ ქობულეთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით	6	გღვ-დ 57.
ილუსტრაცია 6	საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მცენარეულობა	17	გღვ-დ 68.

ცხრილები

ცხრილი 1	ინფორმაცია პროექტის და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის შემმუშავებელი კომპანიის შესახებ	3	გღვ-დ 54.
ცხრილი 2	ჰაერის ტემპერატურა	7	გღვ-დ 58.
ცხრილი 3	ცხრილი ჰაერის ტემპერატურის ამპლიტუდა	7	გღვ-დ 58.
ცხრილი 4	ცხრილი ჰაერის ფარდობითი ტენიანობა	7	გღვ-დ 58.
ცხრილი 5	ცხრილი ნალექების რაოდენობა	8	გღვ-დ 59.
ცხრილი 6	ცხრილი თოვლის საფარი	8	გღვ-დ 59.
ცხრილი 7	ცხრილი ქარის მახასიათებლები	8	გღვ-დ 59.
ცხრილი 8	მზის პირდაპირი S და ჯამური Q რადიაცია ჰორიზონტალურ და a კუთხით დახრილი სამხრეთის ორიენტაციის ზედაპირზე, კვტ×სთ/მ ² დღეში	8	გღვ-დ 59.
ცხრილი 9	ვერტიკალურ ზედაპირზე მზის პირდაპირი რადიაცია S, კვტ×სთ/მ ² თვეში	8	გღვ-დ 59.
ცხრილი 10	ინფორმაცია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ	19	გღვ-დ 70.

რუკები

რუკა 1	ჰაერის საშუალო ტემპერატურის ცვლილება (°C) იანვარში ორ ოცდაათწლიან პერიოდს შორის (1956-1985 და 1986-2015)	9	გღვ-დ 60.
რუკა 2	ჰაერის საშუალო ტემპერატურის ცვლილება (°C) ივლისში ორ ოცდაათწლიან პერიოდს შორის (1956-1985 და 1986-2015)	9	გღვ-დ 60.
რუკა 3	ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურის ცვლილება (°C) ორ ოცდაათწლიან პერიოდს შორის (1956-1985 და 1986-2015)	9	გღვ-დ 60.
რუკა 4	ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა (°C) 1986-2015 წლებში	9	გღვ-დ 60.
რუკა 5	ატმოსფერული ნალექების საშუალო რაოდენობის ცვლილება (%) იანვარში ორ ოცდაათწლიან პერიოდს შორის (1956-1985 და 1986-2015)	10	გღვ-დ 61.
რუკა 6	ატმოსფერული ნალექების საშუალო რაოდენობის ცვლილება (%) ივლისში ორ ოცდაათწლიან პერიოდს შორის (1956-1985 და 1986-2015)	10	გღვ-დ 61.
რუკა 7	წლიური ატმოსფერული ნალექების საშუალო რაოდენობის ცვლილება (%) ორ ოცდაათწლიან პერიოდს შორის (1956-1985 და 1986-2015)	10	გღვ-დ 61.
რუკა 8	ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა (მმ) 1986-2015 წლებში	10	გღვ-დ 61.

1 შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს ქალაქ ქობულეთში, დ. აღმაშენებლის გამზირი №297- ში მდებარე ტერიტორიაზე (ს/კ 20 42 01 051) მრავალფუნქციური ობიექტის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკრინინგის ანგარიშს, რომელიც მომზადებულია შპს "არტ-დიზაინი+"-ის მიერ. სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკრინინგის ანგარიში მოიცავს ინფორმაციას საკვლევი არეალის ფიზიკური გარემოს ფონურ მდგომარეობის შესახებ, პროექტით გათვალისწინებული საქმიანობების გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების წინასწარ შეფასებას და ამ ზემოქმედებების შემარბილებელ ღონისძიებებს.

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცესი წარმოადგენს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული ერთერთ ძირითად ინსტრუმენტს. სგმ-ს შეფასების პროცედურების საფუძველს სხვადასხვა სფეროებში განსახორციელებელი პროექტების შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად, როგორცაა ქალაქგეგმარება, სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, მრეწველობა, ტრანსპორტი, რეგიონული განვითარება, მიწათსარგებლობა, ნარჩენების, ან წყლის რესურსების მართვა და სხვა. აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ადამიანთა ცხოვრებაზე ზემოქმედების მქონე სამომავლო გადაწყვეტილებებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, გადაწყვეტილებების მიღებისას გათვალისწინებული იქნას გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მოსაზრებები.

სგმ-ს პროცედურა საშუალებას იძლევა გადაწყვეტილებების მიღებამ პირებმა შეძლონ სხვადასხვა საპროექტო გადაწყვეტილებების დადებითი და უარყოფითი მხარეების ურთიერშედარება. შესაბამისად, სგმ აუქმობს გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გამჭვირვალობასა და მის მიმართ სანდოობას. საბოლოო ჯამში, სგმ წარმოადგენს კარგ საშუალებას რათა შესაბამისმა ორგანოებმა, მიიღონ ეკონომიკური განვითარების სწორი გადაწყვეტილებები, რომლებიც თანაბრად სასარგებლო იქნება როგორც ადამიანის ჯანმრთელობისათვის და გარემოსათვის, ასევე მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის.

ცხრილი 1 ინფორმაცია პროექტის და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის შემმუშავებელი კომპანიის შესახებ.

კომპანიის დასახელება	შპს "არტ-დიზაინი+"
მისამართი	6200, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ქ. ქობულეთი მ. კომახიძის ქ. #16
წარმომადგენელი პირი	მალხაზ ქათამაძე
წარმომადგენელი პირის მობ.	551 37 37 33
წარმომადგენელი პირის ელ-ფოსტა	mggroup1975@gmail.com

2 ანგარიშის მომზადების საკანონმდებლო საფუძველი

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს 20-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება სავალდებულოა იმ სტრატეგიული დოკუმენტისთვის, რომელიც წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციული ორგანოს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს, რომლითაც დგინდება სამომავლო განვითარების ჩარჩო კოდექსით განსაზღვრულ სექტორებში (მათ შორის, დაგეგმარება და სივრცითი მოწყობა) და კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული საქმიანობების სახეობებისთვის განისაზღვრება მახასიათებლები ან/და მოცულობები. სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურის გავლის მიზნით, დოკუმენტაცია გარემოს ეროვნულ სააგენტოსა (შემდგომში სააგენტო) და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებში (შემდგომში ჯანდაცვის სამინისტრო) წარმოდგენილი უნდა იქნას დამგეგმავი ორგანოს მიერ, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 22- ე მუხლის შესაბამისად. ამასთან, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს 20-ე მუხლის მე-6 პუნქტის, მიხედვით თუ დამგეგმავი ორგანო მიიჩნევს, რომ კონკრეტული პროექტისთვის სგმ- ის ჩატარება საჭირო არ არის, იგი უფლებამოსილია სგმ-ს საჭიროების განსაზღვრის მიზნით გამოიყენოს კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურა, რომლის შედეგების მიხედვით ჩატარდება ან არ ჩატარდება სგმ.

სტრატეგიული დოკუმენტის სკრინინგის განხორციელების და სათანადო ანგარიშის შედეგის შემდეგ დამგეგმავი ორგანო უფლებამოსილია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში სამინისტროები) მიმართოს სკრინინგის განცხადებით, წარუდგინოს სკრინინგის ანგარიში და სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფცია ან პროექტი. დამგეგმავი ორგანო -ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია სამინისტროებს წარუდგენს სკრინინგის ანგარიშსა და სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფცია/პროექტს სგმ-ს საჭიროების დადგენის მიზნით.

სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში სააგენტო და ჯანდაცვის სამინისტრო, ასევე დამგეგმავი ორგანო სკრინინგის განცხადებასა და სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფციას/პროექტს ოფიციალურ ვებგვერდებზე განათავსებენ. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო უზრუნველყოფს წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და მისი წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განათავსებას. მოთხოვნის შემთხვევაში, სამინისტროები უზრუნველყოფენ აღნიშნული დოკუმენტების ნაბეჭდი ეგზემპლარების ან ელექტრონული ვერსიების ხელმისაწვდომობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 34-ე მუხლის თანახმად, საზოგადოებას უფლება აქვს, ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 7-დღის განმავლობაში, წარადგინოს მოსაზრებები და შენიშვნები მითითებულ დოკუმენტებთან დაკავშირებით. სამინისტროები იხილავენ საზოგადოების მიერ წარმოდგენილ შენიშვნებს და, შესაბამისი საფუძველის არსებობის შემთხვევაში, მხედველობაში იღებენ მათ მოსაზრებებს. სამინისტროები სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს მე- 10 დღისა და არაუგვიანეს მე- 15 დღისა ინდივიდუალურად იღებენ გადაწყვეტილებას, რომლითაც განისაზღვრება სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების საჭიროება/არსაჭიროება. სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში სამინისტროები შედეგის შესახებ პასუხს უგზავნიან დამგეგმავ ორგანოს.

3 დაგეგმილი საქმიანობის მოკლე აღწერა

წინამდებარე განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავება მიზნად ისახავს საპროექტო ტერიტორიაზე სრულყოფილი ინფრასტრუქტურის მქონე მრავალფუნქციური კომპლექსის განთავსებას. საპროექტო ტერიტორია შეადგენს 15611,0 კვ.მ-ს, რომელიც განთავსებულია ქალაქ ქობულეთში, შავი ზღვის სანაპირო ზოლში, დავით აღმაშენებლის გამზირისა და თამარ მეფის სანაპიროს შორის, ყოფილი „პანსიონატ ქარიშხალა“-ს ტერიტორიაზე. ტერიტორიას ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხრებიდან ესაზღვრება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნაკვეთები, სადაც განლაგებულია საზოგადოებრივი სკვერები და დავით აღმაშენებლის გამზირიდან თამარ მეფის სანაპიროზე გადასასვლელი გზები, აღმოსავლეთის მხრიდან დავით აღმაშენებლის გამზირი და დაბალი ინტენსივობის მქონე განაშენიანება, ხოლო დასავლეთის მხრიდან თამარ მეფის სანაპირო, პლაჟი და შავი ზღვა, რომლებიც წარმოადგენს საზოგადოებრივ სივრცეს.

ილუსტრაცია 1 საპროექტო ტერიტორიის მდებარეობა



ილუსტრაცია 2 საპროექტო ტერიტორიის ორთო ფოტო



საპროექტო ტერიტორიაზე მისი ეკონომიურად მომგებიანი და მიმდებარე გარემოსთან შერწყმის მიზნით განსაზღვრულია მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა, რაც ითვალისწინებს აღნიშნულ ტერიტორიაზე პირველი და მეორე სართულის დონეზე 2750,0 მ² ფართის მქონე მოშენებით საერთო სარგებლობის ნაგებობით ორი ურთიერთ დაკავშირებული 35 სართულიანი და 25 სართულიანი მაღლივი ნაგებობის მშენებლობას, რომლებიც საბოლოო ჯამში წარმოადგენს ერთ მთლიან თანამედროვე სტილში მოწყობილ მაღალტექნოლოგიურ ნაგებობას. კონცეფციით აგრეთვე განსაზღვრულია 3600.0 კვ.მ მიწის ქვეშა და 500.0 კვ.მ მიწის ზედა ავტო პარკინგის მოწყობა.

ილუსტრაცია 3 გეგმარებითი ობიექტის გენგეგმა



ილუსტრაცია 4 საპროექტო ობიექტის ფოტომონტაჟი და ვიზუალიზაცია



ილუსტრაცია 4 საპროექტო ობიექტის ფოტომონტაჟი და ვიზუალიზაცია



ილუსტრაცია 4 საპროექტო ობიექტის ფოტომონტაჟი და ვიზუალიზაცია



საპროექტო ტერიტორია თავისი გაბარიტული პარამეტრებიდან გამომდინარე საშუალებას გვაძლევს გაზრდილი კოეფიციენტების გამოყენების შემთხვევაშიც შევინარჩუნოთ საპროექტო ტერიტორიის დადებითი მხარეები კერძოდ:



- შენობა განთავსდება იმგვარად, რომ არ შექმნის ხელოვნურ ფარდას, რათა არ ჩაკეტოს აერაციისა და ვიზუალური აღქმის არეალები. საპროექტო ობიექტები აშენდება და მოპირკეთდება მაღალი კლასის სამშენებლო მასალებით რაც დადებითად აისახება ქალაქის ვიზუალური მხარეზე.
- შენობა ტერიტორიაზე დაისმება წითელი და ლურჯი ხაზების შეზღუდვების სრული დაცვით;
- გათვალისწინებული იქნება შენობის სიმაღლისადმი მოთხოვნები, რის საშუალებასაც გვაძლევს საპროექტო ტერიტორიის ირგვლივ მდებარე საზოგადოებრივი სივრცეები.

განაშენიანების დეტალური გეგმით წარმოდგენილი სამუშაოების განხორციელების სავარაუდო ვადები არ აღემატება 5 წელს.

4 სტრატეგიული დოკუმენტის სხვა სტრატეგიულ დოკუმენტთან მიმართება

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის კონკრეტული ზონირების რუკის შესაბამისად საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება ლანდშაფტური ტერიტორიების ზონას რომელიც მოიცავს ბუნებრივი ლანდშაფტის ან ხელოვნური ლანდშაფტის ტერიტორიებს და წარმოადგენს უშუალო ტერიტორიას.

ილუსტრაცია 5 საპროექტო ტერიტორიის არსებული ზონირება ქალაქ ქობულეთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით



რადგან საპროექტო არეალი წარმოადგენს ლანდშაფტის ტერიტორიას და სამშენებლოდ დასახული მიწის ხორცშესხმის საშუალებას არ იძლევა, განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების მიზანს წარმოადგენს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დადგენილი ზონის ცვლილების მოთხოვნა მხოლოდ საპროექტო ტერიტორიაზე, რაც აისახება შედეგში: საპროექტო ტერიტორიის საზღვრებში ლანდშაფტის ტერიტორიის ზონა შეიცვალოს საკურორტო-სარეკრეაციო ზონით (შზ-4), რომელიც წარმოადგენს შერეული ზონის ქვეზონას და ემსახურება დასასვენებელი ან/და სამკურნალო დანიშნულების შენობა-ნაგებობების ფუნქციონირებას.

2019 წლის 3 ივნისის ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება №261 შესაბამისად საკურორტო-სარეკრეაციო ზონაში (შზ-4), დადგენილი კოეფიციენტებია:

- კ-1=0,2
- კ-2= განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლეა 15 მ* (გამონაკლისი რეგულირდება გდგ-ით);
- კ-3= 0,8

ხოლო განაშენიანების დეტალური გეგმით მოთხოვნილი საპროექტო პარამეტრები განისაზღვრა შემდეგნაირად :

- კ-1= 0,2 მოშენების ფართია 2750,0 კვ.მ (რჩება უცვლელი);
- კ-2= 3,0 მოშენების ინტენსივობის ფართია 46854,0 კვ.მ (მოთხოვნილია კ-2 კოეფიციენტის გაზრდა);
- კ-3= 0,2 გამწვანების ფართია 3123,6 კვ.მ (მოთხოვნილია კ-3 კოეფიციენტის შემცირება);

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წ. 29 ნოემბრის #11 და 2020 წ. 29 მაისის დადგენილებებით დამტკიცებული ქობულეთის განაშენიანების გეგმის, ფუნქციური ქვეზონების სარეკომენდაციო ზღვრული მაჩვენებლების სქემის შესაბამისად, გეგმარებითი ერთეული ექვევა შეუზღუდავი კ-2 კოეფიციენტისა და სანაპიროს ვიზუალური დომინანტი შენობების ზონაში, რაც გეგმარებითი ერთეულის კ-2 კოეფიციენტის გაზრდისას ზონის ცვლილების საშუალებას იძლევა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანის გარეშე.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დადგენილი ზონის ცვლილება შეეხება მხოლოდ საპროექტო ტერიტორიას (ს.კ. N 20.42.01.051), რისთვისაც ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანა აუცილებელი არაა.

(წყარო: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4883924?publication=0>> <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4718253?publication=0>>)
მომზადებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანების მიხედვით (№1-1/1743 2008 წლის 25 აგვისტო ქ. თბილისი) დაპროექტების ნორმების - „სამშენებლო კლიმატოლოგია“. <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/79210?publication=0>>

5 ინფორმაცია საქმიანობის განხორციელების ადგილის გარემოს ფონურ მდგომარეობაზე

5.1 კლიმატური პირობები¹

ქ. ქობულეთი წარმოადგენს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრს და იგი მდებარეობს ქ. ბათუმიდან 25 კმ-ის დაშორებით, კოლხეთის დაბლობის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ განშტოებაზე - ქობულეთის დაბლობზე. იგი გაშენებულია აკუმულაციურ ალუვიურ ვაკეზე; ზღვის დონიდან 3-5 მეტრის სიმაღლეზე. მისი

ქ. ქობულეთი მდებარეობს ქვეზონაში, რომელიც გამოირჩევა მაღალი ტენიანობითა და ზღვის ქარებით მთელი წლის განმავლობაში, უხვი წვიმებით შემოდგომასა და ზამთარში; შესაბამისად ხასიათდება ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავით. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა უდრის +14,3 °C-ს; იანვარში +4,8°C, აგვისტოში +22,6°C; აბსოლუტური მინიმუმი - 16 °C; აბსოლუტური მაქსიმუმი + 41° C. ნალექების წლიური რაოდენობა მაღალია -2352 მმ, მაგრამ იმის გამო, რომ უფრო ხშირად მათ აქვთ ხანმოკლე ხასიათი (ე.წ. „ტროპიკული თავსხმა“) და ტერიტორიის გეოლოგიური თავისებურების გამო (ის ძირითადად წარმოადგენს წყალგამტარ სუბსტრატს), წვიმები ნაკლებ გავლენას ახდენს ჰაერის სინოტივის ცვალებადობაზე.

საზოგადოდ, ქობულეთისთვის დამახასიათებელია მაღალი სინოტოვე, რომელიც თავის მაქსიმუმს აღწევს გაზაფხულზე (75%), ხოლო ზამთარში - 70%. მაგრამ, ბათუმთან შედარებით, კონტინენტის უშუალო გავლენის გამო, ქობულეთამდე აღწევს მშრალი ფენები, შედეგად, ჰაერის ფარდობითი ტენიანობა ეცემა 40-50%-მდე. ზღვის წყლის ტემპერატურა მაისიდან ოქტომბრის ჩათვლით აღემატება 15°C; ივნისში ის აღწევს 20,7°C, ივლისში -24,1°C, აგვისტოში - 24,4°C, სექტემბერში - 22,0°C, ოქტომბერში 18,3°C.

ქობულეთი ხასიათდება მაღალი რადიაციული დასხივებით. დილის პირდაპირი რადიაციის დონე აღწევს 0,35 მ.კალ., საღამოსი - 0,60-0,80 მ. კალ. განსაკუთრებით მაღალია ულტრაიისფერი რადიაცია, რასაც ფაქტორების მთელი რიგი ადასტურებს - სწრაფი გარუჯვა, მზის სამკურნალო მოქმედება და ა.შ. მზის ნათების ხანგრძლივობის წლიური ჯამი ქობულეთში შეადგენს 2 100 საათს, რითაც ის გამოირჩევა აჭარის კურორტებს შორის. დასავლეთიდან მიმდებარე გაშლილი ხმელეთი არ აბრკოლებს აღმოსავლეთის (დილის) მზის მოქმედებას ქობულეთის ტერიტორიაზე და თავისუფლად ატარებს ნოტიო ჰაერის მასებს ხმელეთის სიღრმეში და არ ახდენს მათს კონდენსაციას, როგორც ეს, მაგალითად, ბათუმში ხდება.

ქარის საშუალო სიჩქარე ქობულეთში შეადგენს 2/3 მ/წმ; დღის საათებში ეს სიჩქარე მეტია, ვიდრე ღამე; ზღვის ბრიზის გაძლიერება შეიმჩნევა შუადღეს. საერთოდ, ზღვის ბრიზის მოქმედება შეიმჩნევა თითქმის მთელი დღეღამის განმავლობაში; ამასთან, ალიონზე ხშირია შტილი, ან თითქმის შეუმჩნეველი ნიავით მატერიკის მხრიდან, რაც, აგრეთვე ანელებს ზაფხულის სიცხეს.

ქ. ქობულეთისთვის დამახასიათებელი კლიმატური პირობები წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილებსა და დიაგრამებზე (ქ. ქობულეთის მეტეოსადგურის მონაცემებით). (წყარო: სნწ „სამშენებლო კლიმატოლოგია“ (პნ 01. 05-08)).

ცხრილი 2 ჰაერის ტემპერატურა

პუნქტის დასახელება	გარე ჰაერის ტემპერატურა, °C													პერიოდი -8°C საშუალო თვიური ტემპერატურით	საშუალო ტემპერატურა 13 საათზე								
	თვის საშუალო																						
	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	წლის საშუალო	აბსოლუტური მინიმუმი	აბსოლუტური მაქსიმუმი	ყველაზე ცხელი თვის საშუალო მაქსიმუმი	ყველაზე ცივი ხუთდღიური საშუალო	ყველაზე ცივი დღის საშუალო	ყველაზე ცივი პერიოდის საშუალო	ხანგრძლივობა დღეებში	საშუალო ტემპერატურა	ყველაზე ცივი თვისათვის	ყველაზე ცხელი თვისათვის
ქობულეთი	4,8	5,5	7,6	10,9	15,4	19,5	22,4	22,6	19,5	15,4	10,7	6,7	13,4	-16	41	26,6	-3	-6	4,6	109	5,8	7,5	25,1

ცხრილი 3 ცხრილი ჰაერის ტემპერატურის ამპლიტუდა

პუნქტის დასახელება	თვის საშუალო, °C													თვის მაქსიმალური, °C										
	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
ქობულეთი	8,3	9,0	8,7	9,0	8,6	8,5	7,5	8,0	9,0	10,2	9,8	9,5	17,0	17,8	17,5	17,8	17,0	16,7	19,0	16,6	17,7	21,1	20,0	19,5

ცხრილი 4 ცხრილი ჰაერის ფარდობითი ტენიანობა

პუნქტების დასახელება	გარე ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, %													საშ. ფარდ. ტენიანობა 13 საათზე		ფარდ. ტენიანობის საშ. დღელაღამური ამპლიტუდა	
	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	წლის საშუალო	ყველაზე ცივი თვის	ყველაზე ცხელი თვის	ყველაზე ცივი თვის	ყველაზე ცხელი თვის
ქობულეთი	80	80	79	80	82	80	80	82	84	84	82	80	81	69	71	16	21

¹ მომზადებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანების მიხედვით (№1-1/1743 2008 წლის 25 აგვისტო ქ. თბილისი) დაპროექტების ნორმების - „სამშენებლო კლიმატოლოგია“.

ცხრილი 5 ცხრილი ნალექების რაოდენობა

პუნქტების დასახელება	ნალექების რაოდენობა წელიწადში, მმ	ნალექების დღეღამური მაქსიმუმი, მმ
ქობულეთი	2352	240

ცხრილი 6 ცხრილი თოვლის საფარი

პუნქტების დასახელება	თოვლის საფარის წონა, კვა	თოვლის საფარის დღეღამური რიცხვი	თოვლის საფარის წყალშემცველობა, მმ
ქობულეთი	0,50	7	-

ცხრილი 7 ცხრილი ქარის მახასიათებლები

პუნქტების დასახელება	ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელია 1,5,10,15,20 წელიწადში ერთხელ, მ/წმ					ქარის მიმართულების განმეორებადობა (%) იანვარი, ივლისი								ქარის საშუალო, უდიდესი და უმცირესი სიჩქარე, მ/წმ		ქარის მიმართულებისა და შტილის განმეორებადობა (%) წელიწადში								
	1	5	10	15	20	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	იანვარი	ივლისი	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	შტილი
ქობულეთი	18	22	24	25	26	2/3	36/8	15/11	8/10	7/9	23/40	5/17	4/2	4,4/1,5	5,1/1,7	2	23	13	8	7	30	11	6	20

ცხრილი 8 მზის პირდაპირი S და ჯამური Q რადიაცია ჰორიზონტალურ და a კუთხით დახრილი სამხრეთის ორიენტაციის ზედაპირზე, კვტ/სთ/მ² დღეში

პუნქტების დასახელება	პირდაპირი რადიაცია S								ჯამური რადიაცია Q							
	იანვარი		აპრილი		ივლისი		ოქტომბერი		იანვარი		აპრილი		ივლისი		ოქტომბერი	
	ჩ.ზ.	α=65°	ჩ.ზ.	α=30°	ჩ.ზ.	α=10°	ჩ.ზ.	α=50°	ჩ.ზ.	α=65°	ჩ.ზ.	α=30°	ჩ.ზ.	α=10°	ჩ.ზ.	α=50°
ქობულეთი	0,8	1,9	2,1	2,4	3,0	3,1	1,9	3,0	1,5	2,2	4,4	4,8	6,1	6,2	3,1	4,2

ცხრილი 9 ვერტიკალურ ზედაპირზე მზის პირდაპირი რადიაცია S, კვტ/სთ/მ² თვეში

პუნქტების დასახელება	იანვარი					აპრილი					ივლისი					ოქტომბერი				
	ჩ	ჩა	ა	სა	ს	ჩ	ჩა	ა	სა	ს	ჩ	ჩა	ა	სა	ს	ჩ	ჩა	ა	სა	ს
ქობულეთი	0	0,5	1,4	3,9	5,4	0,6	1,2	2,9	3,6	3,5	6	2,4	4,1	3,6	2,4	0	5	2,8	5,8	7,6

5.1.1 კლიმატის მიმდინარე ცვლილება³

2021 წელს გამოვიდა საქართველოს მეოთხე ეროვნული შეტყობინება კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი, რომელიც მომზადებულია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) ხელშეწყობით. ანგარიში მოიცავს ინფორმაციას როგორც იმ სათბურის აირების შესახებ, რომლებიც არ რეგულირდება ოზონდამშლელი ნივთიერებების შესახებ მონრეალის ოქმით, ასევე კონვენციის განხორციელებისათვის ქვეყნის მიერ გადადგმული ან დაგეგმილი ნაბიჯების ზოგად აღწერას. FNC-ის დოკუმენტი შედგება შემდეგი ხუთი ნაწილისაგან: ეროვნული გარემოებები, სათბურის აირების ინვენტარიზაციის ანგარიში, შერბილების პოლიტიკა, მოწყვლადობა და ადაპტაცია და სხვა ინფორმაცია, რაც მოიცავს კლიმატის ცვლილების ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი მიმართულებების ინტეგრირებას, ორმხრივი შეთანხმებების, კლიმატის ცვლილებისათვის რელევანტური კვლევების, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პოლიტიკის დოკუმენტებისა და შემდგომი საჭიროებების ანალიზს.

მეოთხე ეროვნული შეტყობინებაში, კლიმატის მიმდინარე ცვლილების შესაფასებლად საქართველოს მეტეოროლოგიური ქსელის 39 სადგურის 60-წლიანი პერიოდის (1956-2015 წლები) მონაცემებზე დაყრდნობით შესწავლილი იქნა მეტეოროლოგიური ელემენტების საშუალო და ექსტრემალური მნიშვნელობების ინტენსივობისა და განმეორებადობის ცვლილების ხასიათი. სადგურები შერჩეულ იქნა საქართველოს ტერიტორიის კლიმატური თავისებურებების ოპტიმალურად გათვალისწინების მიზნით, ასევე, ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის საფუძველზე. შეფასებულ იქნა ტემპერატურის, ნალექების, და ჰაერის ფარდობითი ტენიანობისა და ქარის სიჩქარის წლიური, სეზონური და თვიური ცვლილების ტენდენციები ორ 30-წლიან პერიოდს (1956-1985 და 1986-2015 წლები) შორის. ვინაიდან საშუალო სიდიდებით ხშირად შეუძლებელია კლიმატის ცვლილების სხვადასხვა სექტორებზე სოციალურ-ეკონომიკური ზეგავლენის შეფასება, კლიმატური პარამეტრების საშუალო მნიშვნელობებთან ერთად გამოთვლილ იქნა 35 კლიმატური ინდექსი.

საშუალო ტემპერატურა. ორ განხილულ 30-წლიან პერიოდს (1956-1985 და 1986-2015 წლები) შორის ქვეყნის ტერიტორიაზე მიწისპირა ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა მომატებულია თითქმის ყველგან, მხარეების მიხედვით 0.25-0.58°C ფარგლებში, საშუალოდ ტერიტორიაზე ნაზრდი 0.47°C შეადგენს. დათბობის პროცესი შედარებით ინტენსიურად მიმდინარეობს სამეგრელოში (ზუგდიდსა და ფოთში თანაბრად, 0.63°C-ით). ტემპერატურის არასაკმარისად საიმედო ცვლილებები აღინიშნა აჭარა-გურიის მაღალმთიან მხარეში. ყველაზე ნიშნავი დათბობა გამოვლინდა დედოფლისწყაროს რაიონში (ორ პერიოდს შორის წლიური ნაზრდია 0.73°C).


საშუალო მაქსიმალური ტემპერატურა. საშუალო მაქსიმუმების წლიური მნიშვნელობა საგრძნობლად იზრდება თითქმის მთელ ტერიტორიაზე. გამონაკლისია, ძირითადად, მთიანი რაიონები აჭარა-გურიასა და რაჭა-ლეჩხუმში, ასევე, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორია, სადაც ჩამოყალიბებულია მშრალი სუბტროპიკული (სტეპის) ჰავა. საშუალო მაქსიმუმების ცვლილების უდიდესი სიჩქარეები გამოვლინდა შავი ზღვის სანაპირო ზოლსა და კოლხეთის დაბლობის მიმდებარე რაიონებში, ასევე, სამხრეთ საქართველოს მთიანეთში. დღის ტემპერატურების მიხედვით დათბობა შედარებით ინტენსიურად მიმდინარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით, სამხრეთ საქართველოს მთიანეთში. საშუალო ტემპერატურის მსგავსად, საშუალო მაქსიმუმების ზრდაც ძირითადად გამოწვეულია ზაფხული-შემოდგომის მაქსიმუმების აწევით.

საშუალო მინიმალური ტემპერატურა. საშუალო მინიმუმების წლიური მნიშვნელობები გაზრდილია ქვეყნის უმეტეს ტერიტორიაზე, თუმცა, ამ პარამეტრის მიხედვით, დათბობის ტენდენცია ქვეყნის მხოლოდ ერთ ნაწილს შეეხო. ღამის ტემპერატურის ნაზრდი 1956-1985 წლების პერიოდთან მიმართებაში 1 °C-მდე ფარგლებშია. მაქსიმალური დათბობა გამოვლინდა კახეთში. დასავლეთ საქართველოში აღმავალი ტრენდები აღინიშნა შავი ზღვის სანაპირო ზოლში, კოლხეთის დაბლობზე და ლიხის ქედის მიმდებარე რაიონებში. ჰაერის საშუალო ტემპერატურის ცვლილებების რუკები მოცემულია ქვემოთ.




³ მომზადებულია საქართველოს მეოთხე ეროვნული შეტყობინების მიხედვით 8


რუკა 1 ჰაერის საშუალო ტემპერატურის ცვლილება (°C) იანვარში ორ ოცდაათწლიან პერიოდს შორის (1956–1985 და 1986–2015)




რუკა 3 ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურის ცვლილება (°C) ორ ოცდაათწლიან პერიოდს შორის (1956–1985 და 1986–2015)



რუკა 2 ჰაერის საშუალო ტემპერატურის ცვლილება (°C) ივლისში ორ ოცდაათწლიან პერიოდს შორის (1956–1985 და 1986–2015)




რუკა 4 ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა (°C) 1986–2015 წლებში




ნალექების რაოდენობა. დასავლეთ საქართველოში ნალექების წლიური რაოდენობა ძირითადად გაზრდილია, ხოლო აღმოსავლეთის რიგ რაიონებში - შემცირებული, თუმცა ნალექების წლიური ჯამების ცვლილების ხასიათი უმეტესად არასაიმედოა და გამოკვეთილ ტენდენციებს ადგილი არ აქვს. დასავლეთში ნალექების საშუალო წლიური რაოდენობის ცვლილების ტენდენციები თითქმის ყველგან დადებითია, ორ პერიოდს შორის უდიდესი გადახრა (15%-მდე) და შესაბამისად, ყველაზე მდგრადი ზრდის ტენდენცია, ფოთსა და ხულოში გამოვლინდა (60-75 მმ/10 წელიწადში). გამოვლინდა მხოლოდ გურიის მხარესა და აჭარის მაღალ მთაში (გოდერძის უღელტეხილი) გამოვლენილი ნალექების კლების ნიშნადი ტენდენციები. აღმოსავლეთში წლიური ნაზრდი მაქსიმალურია და შესაბამისი ტენდენციები ნიშნადია ლაგოდეხში (17%, 75 მმ/10 წელიწადში), ნალექების შემცირება კი ყველაზე ინტენსიურია თიანეთში (-18%, 39 მმ/10 წელიწადში).

ნალექების დღეღამური მაქსიმუმები. რაც შეეხება ერთ და ხუთ დღე-ღამეში მოსული ნალექების მაქსიმალურ რაოდენობას, საქართველოს ტერიტორიაზე უმეტესად აღინიშნება ამ პარამეტრების ზრდა. შემცირების ტენდენციები კი გამოვლინდა ქვეყნის ცენტრალურ რაიონებში (იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი, შიდა ქართლი), თუმცა ცვლილების ტენდენციები, ძირითადად, არამდგრადია და მხოლოდ რამდენიმე მდგრადი ტრენდი გამოვლინდა. ორ 30-წლიან პერიოდს შორის 1-დღიური მაქსიმუმების გადაჭარბების შემთხვევები უმეტეს ტერიტორიაზე დაფიქსირდა იანვარსა და მაისში დღიურების - ასევე, ნოემბერშიც. წლიური მაქსიმუმების გადაჭარბების სიდიდეები 70-80 მმ-ს აღწევს (ქობულეთი, ლაგოდეხი), ხოლო 5-დღიური მაქსიმუმებისა - 150-160 მმ-მდე ფიქსირდება (ამბროლაური). ატმოსფერული ნალექების რაოდენობის ცვლილებასთან დაკავშირებული რუკები მოცემულია ქვემოთ.


რუკა 5 ატმოსფერული ნალექების საშუალო რაოდენობის ცვლილება (%) იანვარში ორ ოცდაათწლიან პერიოდს შორის (1956-1985 და 1986-2015)




რუკა 7 წლიური ატმოსფერული ნალექების საშუალო რაოდენობის ცვლილება (%) ორ ოცდაათწლიან პერიოდს შორის (1956-1985 და 1986-2015)



რუკა 6 ატმოსფერული ნალექების საშუალო რაოდენობის ცვლილება (%) ივლისში ორ ოცდაათწლიან პერიოდს შორის (1956-1985 და 1986-2015)



რუკა 8 ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა (მმ) 1986-2015 წლებში



ჰაერის საშუალო ფარდობითი სინოტივე. დაკვირვების მონაცემებით, საშუალო წლიური ფარდობითი სინოტივის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 1986–2015 წლებში დაიკვირვებოდა ქვემო ქართლში (საშუალოდ 69%) და საგარეჯოში (66%). სინოტივის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (89%) მთა-საბუეთში იყო დაფიქსირებული. 1956–1985 წლების მიმართ ფარდობითი სინოტივის დაკვირვებული ცვლილება უმნიშვნელოა, მაქსიმალური მატებაა (7%) თელავში, მაქსიმალური კლება (4%) - საგარეჯოში.

ფარდობითი სინოტივის ექსტრემალური მნიშვნელობები (ნოტიო და მშრალი დღეები). ნოტიო დღეების (შუადღის ფარდობითი სინოტივე მეტია 80%) რაოდენობა გაზრდილია საქართველოს უმეტეს ტერიტორიაზე. წლიურ ციკლში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ დაიკვირვება. როგორც პირველ, ისე მეორე 30-წლიან პერიოდში, წლის განმავლობაში ნოტიო დღეების მაქსიმალური რაოდენობა ზამთრის დასაწყისში (დეკემბერში) და, ნაწილობრივ, იანვარში დაიკვირვება.

რაც შეეხება, ექსტრემალურად მშრალ დღეებს (დღეღამის მინიმალური ფარდობითი სინოტივე ნაკლებია 30%), თითქმის მთელს ტერიტორიაზე აღინიშნება ასეთი დღეების შემცირება, რაც წლის განმავლობაში განპირობებულია აპრილ-მაისში მშრალი დღეების ნიშნადი კლებით. ორ პერიოდს შორის შემცირების წლიური სიდიდე საშუალოდ ტერიტორიაზე 6- 8 დღეს შეადგენს. ყველაზე გამოკვეთილად იკვლავს იმერეთში (საშუალოდ, 11 დღემდე), ქუთაისში კი შემცირებულია 27 დღით. რიგ რაიონებში, ძირითადად, გაზაფხულზე კახეთში და შემოდგომის დასაწყისში მთელს აღმოსავლეთ საქართველოში, ასეთი დღეების გახშირება გამოვლინდა. ტენდენციები ნიშნადია კახეთში, სადაც წლიური ნაზრდი 6-9 დღეს, გაზაფხულზე კი 4-5 დღეს შეადგენს.

სინოტივის ექსტრემუმების ანალიზი ადასტურებს და ხსნის საშუალო ფარდობითი სინოტივის ცვლილების გამოვლინებულ კანონზომიერებებს. კერძოდ, სინოტივის მატება გაზაფხულის სეზონზე განპირობებული უნდა იყოს უფრო მშრალი დღეების განმეორებადობის შემცირებით, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო დეკემბერ-იანვარში ტენიანობის მატება დაკავშირებული უნდა იყოს ამ თვეებში ნოტიო დღეების გახშირებასთან, რაც უფრო მეტად დასავლეთ საქართველოში შეინიშნება.

ქარის საშუალო სიჩქარის ცვლილებას თითქმის ყველა განხილული სადგურისათვის შემცირების ტენდენცია აქვს. ორ პერიოდს შორის ქარის საშუალო სიჩქარე საშუალოდ 1-2 მ/წმ-ით არის შემცირებული.

ქარის ექსტრემალური მნიშვნელობები (ძლიერქარიანი დღეები). ძლიერქარიანი დღეთა (≥ 15 მ/წმ) რაოდენობის შემცირების ტენდენციები უფრო ძლიერია დასავლეთში, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში, ძირითადად დაიკვირვება მათი გახშირება. აღსანიშნავია ასეთი დღეების რიცხვის შემცირება ქუთაისში და განსაკუთრებით, ლიხის ქედის დასავლეთ კალთებზე (მთა-საბუეთი), სადაც ტრენდები გამოვლინდა ზაფხული-შემოდგომის სეზონებზე, ხოლო აღმოსავლეთში, მტკვრის ხეობაში, ასეთი დღეების ნიშნადი ზრდა დაიკვირვება. გორში ძლიერქარიანი დღეების გახშირება ყველა სეზონზე დაიკვირვება. მსგავსი კანონზომიერებით იცვლება ექსტრემალურად ძლიერქარიანი დღეთა (≥ 25 მ/წმ) განმეორებადობაც. კერძოდ, ასეთი დღეების ნიშნადი კლება გამოვლინდა ქუთაისსა და მთა-საბუეთში, ხოლო მდგრადი ზრდა დაიკვირვება გორში, ასევე ფოთში.

კლიმატის ცვლილების სცენარი

მეთხე ეროვნულ შეტყობინებაში, კლიმატის მოსალოდნელი ცვლილების პროგნოზირებისთვის გამოყენებულია RCP4.5 სცენარი, რომელიც გულისხმობს რადიაციული ბიუჯეტის სტაბილიზაციას 4.5 W/m^2 დონეზე. მესამე ეროვნულ შეტყობინებაში გამოყენებულ A1B სცენართან შედარებით, RCP4.5 სცენარი ნაკლებ მკაცრია.

გლობალური პროგნოზის მასშტაბის გასაუმჯობესებლად გამოყენებულ იქნა RegCM რეგიონული კლიმატური მოდელის 4.6.0 ვერსია. აღნიშნულ ვერსიაში რიგი ფიზიკური და ქიმიური პროცესების აღწერისა და პარამეტრიზაციის მექანიზმებია დახვეწილი. ჩვენ ამ მოდელში გავითვალისწინეთ მტვრისა და აეროზოლების ზემოქმედება, რასაც წინ უსწრებდა კვლევა: მტვრის ნაწილაკების ეფექტის გათვალისწინება სამხრეთი კავკასიის კლიმატის სიმულაციისას. გარდა ამისა, RegCM 4.6.0 ვერსია ჰორი-ზონტალური მასშტაბის გაუმჯობესების საშუალებას იძლევა ჩადგმული არის მეთოდით (one way nesting). რეგიონული მოდელით ყველა სიმულაცია ჩატარდა ჯერ უფრო უხეში მასშტაბის (30 კმ) და შედარებით დიდი ფართობის არეზე, ხოლო შემდეგ გადათვლილ იქნა 10 კილომეტრიან ბადეზე.

აღნიშნულ სიმულაციაზე დაყრდნობით, ორი 30-წლიანი (2041-2070 და 2071-2100 წლები) საპროგნოზო პერიოდის შედარებით 1971–2000 წლების 30 წლიან საბაზისო პერიოდთან, შეფასდა კლიმატის ცვლილების სამომავლო ტენდენციები საქართველოს მეტეოროლოგიური ქსელის 39 სადგურისთვის. სცენარები შემუშავდა ძირითადი კლიმატური პარამეტრებისთვის, როგორცაა ჰაერის ტემპერატურის, ნალექების ჯამის, ფარდობითი სინოტივისა და ქარის საშუალო თვიური და წლიური მნიშვნელობები. დამატებით გაანგარიშებულ იქნა სპეციალიზებული კლიმატური პარამეტრები – ინდექსები, რომელთა საშუალებით შესაძლებელია ცალკეულ სექტორებზე კლიმატის ცვლილების გავლენის შეფასება.

საშუალო წლიური ტემპერატურა 2041-2070 წლების პერიოდში 1971–2000 წლებთან შედარებით მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე 1°C -დან 3.0°C -მდე ფარგლებში გაიზრდება. აღმოსავლეთ საქართველოში დათბობა 1.8°C – 3.0°C ფარგლებშია, დასავლეთ საქართველოში ოდნავ ნაკლებია, 1.6°C – 2.9°C ფარგლებში.

2071-2100 წლების პერიოდში საშუალო წლიური ტემპერატურა ზრდას განაგრძობს და ის კიდევ 0.4°C – 1.7°C -ის ფარგლებში მოიმატებს. შედეგად, ამ პერიოდისთვის ტემპერატურის ნაზრდი 1971-2000 წლების პერიოდის საშუალოსთან შედარებით 2.1°C – 3.7°C ფარგლებშია. ყველაზე ნაკლებად ეს სიდიდე ლენტეხში იმატებს, ხოლო ყველაზე მეტად - საგარეჯოში. აღმოსავლეთ საქართველოში მატება უმნიშვნელოდ აღემატება დასავლეთ საქართველოში მატებას.

საშუალო მაქსიმალური ტემპერატურების წლიური მატება 2041-2070 წლების პერიოდისთვის 1.9°C – 3.0°C ფარგლებშია, საშუალო მინიმალური ტემპერატურებისა კი 1.1°C – 2.3°C ფარგლებში. მინიმალური ტემპერატურების საშუალო ნაკლებად იმატებს, ვიდრე მაქსიმალური ტემპერატურებისა. 2071-2100 წლების პერიოდისთვის ეს კანონზომიერება ნარჩუნდება, მაქსიმუმები თბება 2.6 – 4.3°C -ით, ხოლო მინიმუმები - 1.7 – 3.7°C -ით.

2041-2070 წლებისთვის იმ დღეთა რიცხვი, როდესაც დღის მაქსიმალური ტემპერატურა აღემატება 25 °C, 30°C და 35 °C-ს, წლის განმავლობაში ყველა სადგურზე გაზრდილია, ისევე როგორც იმ დღეების რაოდენობა, როდესაც მინიმალური ტემპერატურა 2 °C-ზე ქვემოთ არ ჩამოდის. ამავე დროს, მნიშვნელოვნად შემცირდება ყინვიანი დღეებისა და ღამეების რაოდენობა. აღნიშნული პერიოდისთვის, მაღალ მთაში ყინვიანი დღეების რიცხვი უფრო მკვეთრად იკლებს, ვიდრე ყინვიანი ღამეებისა, ხოლო დაბლობ ადგილებში ორივე სიდიდე თითქმის ერთნაირად მცირდება. საუკუნის ბოლოსათვის ყინვიანი დღეები საერთოდ აღარ არის მოსალოდნელი.

დაკვირვების მონაცემებით ნალექების წლიური ჯამის განაწილება საქართველოს ტერიტორიაზე შემდეგი კანონზომიერებით ხასიათდება: ყველაზე ნალექიანი აჭარის სანაპირო ზოლია (2,300 მმ-ზე მეტი). სანაპიროდან აღმოსავლეთით და ზღვის დონიდან სიმაღლის ზრდის მიხედვით ნალექის წლიური რაოდენობა თანდათან იკლებს. ორივე საპროგნოზო პერიოდში ნალექების რაოდენობა სხვადასხვაგვარი პროცენტული თანაფარდობით მცირდება, მაგრამ განაწილების კანონზომიერება უცვლელი რჩება.

2041-2070 წლების პერიოდში ნალექების წლიური ჯამი აღმოსავლეთ საქართველოში საშუალოდ 9%-ით მცირდება. ყველაზე მეტად (12.3%) ფასანაურში, ყველაზე ნაკლებად კი საგარეჯოში (5.3%). ნალექის წლიური რაოდენობა ყველაზე მეტად იმერეთში იკლებს, მაქსიმალური კლებაა საჩხერეში (17.9%-ით). დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში კლება 3.6–15.3%-ის ფარგლებშია. გამონაკლისს წარმოადგენს ზუგდიდი და ფოთი, სადაც ნალექი 8-10%-ით იზრდება.

2071-2100 წლების პერიოდში, 2041-2070 წლების პერიოდთან შედარებით, ნალექების ჯამი უმნიშვნელოდ იცვლება, იზრდება ან მცირდება 1- 6% პროცენტის ფარგლებში. დანართის ცხრილ B2-ში მოყვანილია 2071–2100 წლებში ნალექების საშუალო თვიური, სეზონური და წლიური რაოდენობები და 1971–2000 წლების საშუალოების მიმართ ცვლილება რეგიონებისა და სადგურების მიხედვით.

ქარის საშუალო წლიური სიჩქარის მნიშვნელობა 1971-2000 პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოში 0.4მ/წმ (ლაგოდეხი) - 4მ/წმ-ის (ფარავანი) ფარგლებში მერყეობდა, დასავლეთ საქართველოში კი 0.2 (ლენტეხი) - 5.5მ/წმ (ქუთაისი) ფარგლებში.

მომავალში ამ პარამეტრის უდიდესი მნიშვნელობები კვლავ ქუთაისშია მოსალოდნელი. საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე ქარის საშუალო სიჩქარე წლიურად და სეზონების მიხედვითაც მცირე ცვლილებას განიცდის ±0.5 მ/წმ დიაპაზონში. საშუალოდ მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ქარის საშუალო წლიური სიჩქარე პირველ პერიოდში 0.4 მ/წმ, ხოლო მეორეში კი 0.3 მ/წმ-ით იზრდება. ორივე პერიოდში ქარის სიჩქარის რაიმე გამოკვეთილი კანონზომიერება არ ვლინდება არც გეოგრაფიული მდებარეობის და არც სეზონური ცვალებადობის თვალსაზრისით.

კლიმატის ცვლილების ფონზე შეინიშნება სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების (წყალდიდობა-წყალმოვარდნა, თოვლის ზვავი, ძლიერი ქარი, გვალვა და სხვ.) სიხშირისა და ინტენსივობის ზრდის ტენდენცია. ქვეყნის ტერიტორიაზე მნიშვნელოვნად გაიზარდა მეწყერულ-გრავიტაციული და ღვარცოფული პროცესების რაოდენობა და სიმძაფრე. ინტენსიურად დნება საქართველოს მყინვარები.

საქართველოში კლიმატის ცვლილების უარყოფითი შედეგების ფართო სპექტრი გამოვლინდა და მომავალში ნეგატიური ეფექტი კიდევ უფრო გაძლიერდება. ქვეყნის მთავარი მიზანია, კლიმატისადმი მედეგი პრაქტიკის განვითარებით, ქვეყნის მზადყოფნის და ადაპტაციის უნარის გაუმჯობესება, რაც შეამცირებს კლიმატის ცვლილების მიმართ ყველაზე მგრძობიარე თემების მოწყვლადობას.

დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული იქნება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ასპექტები, აჭარის კლიმატის ცვლილების სტრატეგიასა და მეოთხე ეროვნულ შეტყობინებაში წარმოდგენილი არსებული და სამომავლო კლიმატის სცენარების მიხედვით.

5.2 ზოგადი გეოლოგიური პირობები

ქ. ქობულეთის ტერიტორია მიეკუთვნება საქართველოს ბელტის დასავლეთის დამირვის ოლქს. ტერიტორია ძირითადად აგებულია თანამედროვე (Q4) - ახალშავზღვიური, ძველშავზღვიური (ჰოლოცენი) და ზედა მეოთხეული Q3 – ახალ ევქსინური პლიაჟური და დელტური ფხვიერი მეოთხეული დანალექებით. აღნიშნულ რეგიონში ნალექების დაგროვება დაკავშირებულ იყო ტრანსგრესიებსა და რეგრესიებზე. დაახლოებით 30 მ-დან 100 მ-დე ნალექების დაგროვება უკავშირდება ახალევქსინურ რეგრესიას, ხოლო უფრო ახალგაზრდა (15მ-დან-30მ-დე) ნალექების დაგროვება დაკავშირებულია პონტურ და კოლხურ რეგრესიებთან, რაც შეეხება სულ ზედა ფენას 15 მ სიღრმემდე ნალექების დაგროვება დაკავშირებულია ლაზურ ტრანსგრესიასთან.

ქობულეთის ვაკე-დაბლობი სამხრეთიდან ისაზღვრება ციხისძირის ვულკანოგენური ქანებით აგებული ჭიუხით, ხოლო ჩრდილოეთიდან მდ. ნატანებით და წარმოადგენს უახლოეს ეპოქაში გალუნულ ბლოკს, რომელიც ამჟამად განიცდის დამირვას 2 მმ-მდე წელიწადში. თავის მხრივ კოლხეთის დაბლობის არეალში მორფოლოგიურად გამოიყოფა ლაგუნა-ჭაობის ზონა, ვიწრო შეღფი და ძველი სანაპირო ზვინული, რომელიც წარმოადგენს ფანაგორიის (ეგრისული ფაზა) რეგრესიის რელიქტს და გრძელდება ნაპირის გასწვრივ 10კმ-ზე.

გეომორფოლოგიური თვალსაზრისით, ქალაქ ქობულეთის ტერიტორია განთავსებულია კოლხეთის დაბლობის დასავლეთ დაბოლოებაზე, აკუმულატიურ ზღვისპირა დაბლობებზე, ზედაპირი სწორი თითქმის ბრტყელი, ზღვისკენ ოდნავ დახრილი, ნაწილობრივ დაჭაობებული ზედაპირზე ტორფის და ნესტის მოყვარული მცენარეებია გავრცელებული.

ქალაქის ტერიტორიის ფარგლებში გრუნტის წყლების გამოსავლები ჭაბურღილებში დაფიქსირებულია 0.8- 1.5 მ-დე, ხოლო წყლების დამყარებული დონე ცვალებადობს 0.5-დან 1.2 მ-მდე.

დაგეგმილი საქმიანობა განხორციელდება დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) კვლევების საფუძველზე შედგენილი პროექტის მიხედვით, ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით.

5.3 ნაპირდაცვა

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ზღვისპირეთში ანთროპოგენურმა ზემოქმედებამ და ფართო მასშტაბიანმა ტექნოგენურმა დატვირთვამ უარყოფითი გავლენა იქონია ზღვის სანაპირო ზონაში მიმდინარე მორფოდინამიკურ პროცესებზე, რომელიც ნაპირების წარცხვამი და მასზე აშენებული ობიექტების ნგრევაში გამოიხატა. ტექნოგენური და ანთროპოგენური დატვირთვა ყველაზე მეტად შეეხო ზღვის სანაპირო ზონის ყველაზე აქტიურ ზოლს - პლაჟს. პლაჟი ბუნებრივი ნაპირდამცავი მექანიზმია, რომელიც იცავს სანაპიროზე განლაგებულ შენობა-ნაგებობებს ნგრევისა და წარცხვისაგან. აქედან გამომდინარე, ქ. ქობულეთის ურბან-მენეჯმენტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას ზღვის ნაპირის წარცხვისაგან დაცვა წარმოადგენს. ამკარაა ამ პროცესის შედეგად წარმოქმნილი პრობლემის აქტუალობა და მისი დეტალური ანალიზის აუცილებლობა.

ქ. ქობულეთის სანაპირო ზოლი (დაახლოებით 11 კმ.) ერთ-ერთი ავარიული უბანია აჭარის ფარგლებში. განსაკუთრებული ავარიულობით გამოირჩევა ქალაქის სამხრეთი ნაწილის 4 კმ-ანი მონაკვეთი, სადაც ყოველი ძლიერი შტორმი იწვევს პლაჟების წარცხვას, საყრდენი კედლის და ზღვისპირა ბულვარის საფარის დაზიანებას, მიმდებარე ტერიტორიების დასილვას. ძველი ნაპირგასწვრივი ზვინული, რომელიც ძირითადად აგებულია მდ. ჭოროხის მასალით, ამჟამად პრაქტიკულად მოშლილია - მასზე გაშენებულია ქ. ქობულეთი. მის წინ არსებული პლაჟები, ნატანის დეფიციტის გაჩენამდე შავი ზღვის სანაპიროზე, გამოირჩეოდა დიდი სიმაღლითა და სიგანით. გაბატონებული სამხრეთ-დასავლეთის და დასავლეთის ტალღების მიმართულემა სანაპირო ხაზის ექსპოზიციის მიმართ განაპირობებს სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, მდ. ნატანების შესართავამდე, არსებული ნატანის ნაპირგასწვრივ ნაკადს; მისი ხარჯი შეადგენს დაახლოებით 20 ათასწლიწადში. იშვიათი, ჩრდილო-დასავლეთი მიმართულეების დეფიციტი გადაადგილებს მდ. ნატანების ქვიშას შესართავიდან სამხრეთისაკენ და მისი გავლენის არეალი შემოიფარგლება დაახლოებით 1კმ-ით, ქ. ქობულეთის ჩრდილოეთით. ამგვარად, ქობულეთის სანაპირო ზონას პლაჟმექმნელი ნატანი მიეწოდება მდინარეებიდან - დეხვა, კინტიში და აჭყვა. მისი ჯამური წლიური მოცულობა შეადგენს დაახლოებით 10-11 ათას მ³-ს. თუ გავითვალისწინებთ, რომ მსხვილი მასალის დანაკარგი ცვეთაზე ყოველ ერთ გრძელ კილომეტრზე შეადგენს დაახლოებით 1 ათას მ³-ს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქ. ქობულეთის 10 კმ-იან სანაპირო ზონაში სამხრეთიდან ტალღებით გამოტანილი ნატანის მოცულობა საკმარისია მხოლოდ ცვეთაზე დანაკარგების საკომპენსაციოდ.

5.4 დაცული ტერიტორიები

საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დაცული ტერიტორიები ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი და აღკვეთილია, რომლებიც კოლხეთის დაცული ტერიტორიების შემადგენლობაში შედიან დამოიცავენ ქობულეთის ზღვისპირა ვაკის ჩრდილოეთ ნაწილს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ იუნესკომ კოლხურ ტყეებსა და ჭარბტენიან ტერიტორიებს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის სტატუსი მიანიჭა, რომელთა შემადგენლობაში ქობულეთის დაცული ტერიტორიებიც შედის.

ქობულეთის ჭარბტენიანი ტერიტორია ფართობრივი შეზღუდულობის მიუხედავად (603.47 ჰა) მნიშვნელოვანი ღირებულების ლანდშაფტური მემკვიდრეობის ობიექტს წარმოადგენს. იგი, უპირველეს ყოვლისა, ბოტანიკური თვალსაზრისით იქცევს ყურადღებას. მისი ტერიტორიის თითქმის ნახევარი, პირველადი, ან თითქმის პირველადი სახით დღემდე შემორჩენილ, ფლორისტული თვალსაზრისით მეტად საინტერესო სფაგნუმიან-ბალახოვან ჭაობს - „ისპანი“-2-ს უკავია. ეს ჭაობი გამოირჩევა ტორფის ბალიშების განვითარებით, რომლებიც სფაგნუმის ხავსებითა და მათზე არსებული ბალახეული მცენარეთა სინუზიებითაა შექმნილი. „ისპანი“-2 ჭაობს გარკვეულად თვითმყოფადობას ანიჭებს მის მცენარეულ საფარში, ერთი მხრივ, ბორეალური (ტუნდრის და ტაიგის) ფლორის ელემენტების (*Sphagnum imbricatum*, *S. palustre*, *S. auriculatum*; *Drosera rotundifolia*, *Rhynhospora alba*, *Carex lasiocarpa* და სხვ.), ხოლო, მეორე მხრივ, კოლხური ფლორის ისეთი ელემენტები, როგორცაა: *Rhododendron ponticum*, *R. luteu*.

„ისპანი“-2 ჭაობის მცენარეულისაფარის ბუნებრივ მდგომარეობაში დღემდე შემორჩენის მიზეზის არსმის მიუდგომლობაშია. ამ ჭაობში ტორფის ერთიანი ჰორიზონტის სისქე 5-9 მსაზღვრებში ცვალებადობს. აღნიშნულის გამო, ეს ჭაობი გაუვალია და მას ადგილობრივი მოსახლეობა საძოვრად და სათიბად ვერ იყენებს. „ისპანი“-2 ჭაობთან უშუალოდ მიმდებარე ტერიტორიები საკმაოდ ინტენსიურად გამოიყენება არა მარტო საძოვრებად და სათიბებად, არამედ სახნავ-სათესად. „ისპანი“-2 ჭაობი გადაურჩა ტორფის კარიერად გამოყენებას. ტორფის მოპოვებას და დაშრობის მიზნით ჩატარებულ სამელიორაციო სამუშაოებს ადგილი ჰქონდა „ისპანი“-1 და „ისპანი“-3 ჭაობების ტერიტორიებზე. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ლანდშაფტის დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით, ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და აღკვეთილის ტერიტორია ორ ნაწილად იყოფა. მისი ჩრდილოეთი ნაწილი „ისპანი“-2 ჭაობს უკავია. სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს „ისპანი“-1 ჭაობი. აღნიშნული ჭაობების პერიფერიებზე, აგრეთვე მდ. ტოგონისა და შავილელის გასწვრივ ალაგ-ალაგ აღინიშნება მეორადი ტყე-ბუჩქნარების ვიწრო ზოლი.

„ისპანი“-1 ჭაობი, სამელიორაციო სამუშაოების ჩატარების შედეგად დღემდე დეგრადირებულია. იგი დასერილია წყალსაწრეტი და წყალსადინარი არხებით. ჭაობის ძველი ზედაპირი ალაგ-ალაგ დაკორდებულია და ადგილობრივი მოსახლეობა მას სათიბ-საძოვრად იყენებს.

ურბანიზებული ზოლის უშუალო სიახლოვე ქობულეთის ჭარბტენიან ტერიტორიასთან საშიშროებას უქმნის ამ უკანასკნელის პირველად და ასევე, სხვადასხვა ხარისხით სახეშეცვლილ ეკოსისტემებს.

ფლორა

ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და აღკვეთილის ტერიტორია, უპირველეს ყოვლისა, ფლორისტული შედგენილობის თავისებურებით, განსაკუთრებულობით და სათუთობით იქცევს ყურადღებას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საკმაოდ ურბანიზებული ზოლის უშუალო სიახლოვის მიუხედავად (ტერიტორიის სამხრეთი კიდიდან ქობულეთის საკურორტო ზონამდე მანძილი 3 კმ-ს არ აღემატება), ხოლო მისი აღმოსავლეთი კიდე უშუალოდ ეკვრის სოფლებს ოჩხამური, ცეცხლაური, მუხაესტატეს მაცხოვრებელთა კარმიდამოებს და სავარგულებს. ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე ჭაობის მცენარეული საფარი თითქმის ხელუხლებლად არის შემონახული. ამის ძირითადი მიზეზი არის ჭაობში ტორფის ერთიანი ჰორიზონტის დიდი სისქე (5-9 მ), რაც ჭაობის ზედაპირს გაუვალს ხდის და მოსახლეობა მას საძოვრად ვერ იყენებს. ქობულეთის ჭარბტენიან ტერიტორიაზე პირველადი სახით შემორჩენილია ბალახოვან-სფაგნუმიანი ჭაობი, რომელშიც საკმაოდ არის გავრცელებული იმერული ისლი (*MOLINIA LITORALIS*). ჭაობის

ზედაპირის ზოგიერთ მცირე უბანზე დომინანტია ისლის რომელიმე სხვა სახეობა (*Carex lasiocarpa*; *Carex riparia* და სხვ.). ისლიანები და სხვა ბალახულთა სინუზიები განვითარებულია სფაგნუმის ხავსებით შექმნილ ერთიან საფარზე. სფაგნუმთან საფარს კი ქობულეთის ჭაობში ძირითადად წმინდის *Sphagnum papillosum*, *Sphagnum imbricatum* და *Sphagnum palustre*-ს სახეობები.

ბალახოვანი სინუზიებში იშვიათია მრგვალფოთლა დროშერა (*D ROSERA ROTUNDIFOLIA*), სამეფო გვიმრა (*OSMUNDA REGALIS*) და სხვ. ქობულეთის ჭარბტენიან ტერიტორიაზე შემონახულ ტორფიან ჭაობს თვითმყოფადობას ანიჭებს იელის (*Rhododendron luteum*) და შქერის (*Rhododendron ponticum*) არსებობა მის მცენარეულ საფარში, აგრეთვე ჭაობის საერთო ზედაპირიდან უმნიშვნელოდ ამალეული ტორფის ბალიშები (გუმბათები), რომლებიც სფაგნუმის ხავსებით არიან შექმნილი. ჭაობის პერიფერიულ ზოლში ყურადღებას იპყრობს ხეჭრელი (*FRANGULA ALNUS*).

მდინარეების ტოგონის და შავი ღელისგანსწორვ რომლებიც „ისპანი“-2-ის ჭაობის ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ მხარეს გაედინებიან, 4-5 ათეულწლის წინ დაჭაობებული მურყნარის კარგად შემონახული მასივები იყო 200-600 მ-ის სიგანის ზოლებად განვითარებული. ამჟამად მათ ადგილზე ძლიერ დეგრადირებული, მეტწილად ბუჩქოვანი ფრაგმენტებია შემორჩენილი, რომლებიც შეიცავენ მურყანის (*ALNUS BARBATA*), ლაფანის (*PTEROCARYA PTEROCARYA*), იმერული მუხის (*QUERCUS IMERETINA*), ნეკერჩხლის (*ACER CAMPECTRE*), ჭყორის (*Ilex colchica*), იმერული ხეჭრელის (*FRANGULA ALNUS*) და ბუჩქულ ეგზემპლარებს ისინი გადაბარდულია მაცვლით, ეკალიჭით (*Smilax excelsa*), ღვედკეცით (*PERIPLOCA GRAECA*), *VITIS SYLVESTRIS*, სურთი (*HEDERA COLCHICA*) და სხვა ლიანებით.

ფაუნა

ქობულეთის ჭაობები საკმაოდ მდიდარია ფაუნით. აქ მსხვილი ძუძუმწოვრებიდან ბინადრობს: წავი (*Lutra lutra*), ტურა (*Canis aureus*), ტყის კატა (*Felis silvestris*), ნუტრია (*Myocastor coypus*), მაჩვი (*Meles meles*). ზამთრობით შეიძლება შეგვხვდეს მგელი (*Vulpes vulpes*) და შველი (*Capreolus capreolus*). წვრილი ძუძუმწოვრებიდან: აღმოსავლეთ ევროპული ზღარბი (*Erinaceus concolor*), კავკასიური თხუნელა (*Talpa caucasica*), რუხი ვირთაგვა (*Rattus norvegicus*), აქ შესაძლოა აგრეთვე შემდეგი სახეობების არსებობა: ვოლნუხინის ბიგა (*Sorex volnuchini*), გრძელკუდა კბილეთრა (*Crocidura russula*), წვეტყურა მდამიობი (*Myotis blythii*), ჯუჯა ღამურა (*Pipistrellus pipistrellus*), წყლის მემინდვრია (*Arvicola terestris*), კავკასიური ტყის თაგვი (*Silvimu silvaticuss*), სახლის თაგვი (*Mus musculus*), შავი ვირთაგვა (*Rattus rattus*).

სახელმწიფო ნაკრძალი, აღკვეთილი და მიმდებარე ტერიტორიები მნიშვნელოვანია როგორც დასასვენებელი ადგილები გადამფრენი წყლისა და ჭაობის ფრინველებისათვის. აქ შეიძლება შევხვდეთ ყველა იმ ფრინველს, რომელიც გვხვდება კოლხეთის დაბლობზე. მათ შორის: *Anas strepera*, *Anser anser*, *Melanitta fusca*, *Scolopax rusticola* და *Netta rufina*, ასევე მოზუდარი – *Aquila pomarina*, *Accipiter nisus*, *Ardea cinerea*, *Circus aeruginosus*, *Egretta garzetta*, *Gallinago gallinago*, *Lymnocyptes minimus*. დამატებით შეიძლება ითქვას, რომ აქ დიდი რაოდენობით გვხვდება მოზამთრე (*Circus cyaneus*) და გადამფრენი (*C. pygargus* და *C. macrourus*) სახეობები ძელქორებისა.

ქვეწარმავლების სახეობრივი რაოდენობა აქ მცირეა და შემოიფარგლება ჭაობის კუთი (*Emys orbicularis*), მარდი (*Lacerta agilis*) და საშუალო ხვლიკებით (*Lacerta media*), წყლისა (*Natrix tessellata*) და ჩვეულებრივი ანკარათი (*Natrix natrix*) და ესკულაპის მცურავით (*Elaphe longissima*). ამფიბიებიდან აქ გვხვდება ჩვეულებრივი (*Triturus vulgaris*) და სავარცხლიანი ტრიტონი (*Triturus cristatus*), ტბის ბაყაყი (*Rana ridibunda*), ჩვეულებრივი ვასაკა (*Hyla arborea*), მწვანე (*Bufo viridis*) და კავკასიური გომბემო (*Bufo verucosissima*). ტერიტორია მდიდარია უხერხემლოებით, რომლებიც სადღეისოდ არ არის სათანადოდ შესწავლილი. მდინარეებში აღინიშნება თევზების შემდეგი სახეობები: *Silurus glanis*, *Leuciscus cephalus*, *Cyprinus carpio*, *Castanea sativa*.

ზურმუხტის ქსელის შეთავაზებული უბანი ქობულეთი GE0000060

ზურმუხტის ქსელის შეთავაზებული უბანი „ქობულეთი“-ს მახასიათებლები სტანდარტული ფორმის მიხედვით შემდეგია:

- სარეგისტრაციო კოდი -
- GE0000060;
- ფართობი - 782.7156 ჰა;
- გრძედი - 732767.000000; განედი - 4637778.000000;
- ბიოგეოგრაფიული რეგიონი - შავი ზღვის (100%).

ზურმუხტის ქსელის მიღებული უბანის ნომინირების საფუძველია 1 ტიპის ჰაბიტატი, კერძოდ:

- D1.2 ჭაობის ზედაპირი

საიტის ნომინირების საფუძველია 20 სახეობა ფრინველი, 1 სახეობა ძუძუმწოვარი და 1 სახეობა რეპტილია.

6 გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების ფაქტორები

6.1 მოსალოდნელი ზემოქმედების მოკლე აღწერა

საპროექტო ტერიტორიის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციით გათვალისწინებული ხედვების განხორციელებამ გარემოს კომპონენტებზე შესაძლოა იქონიოს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირ ზემოქმედება. მოსალოდნელი ზემოქმედება შესაძლოა იყოს დადებითი და უარყოფითი. უარყოფითი ზემოქმედების ხარისხი დამოკიდებული იქნება ხედვების სპეციფიკაზე, მის განხორციელების ხანგრძლივობაზე და გარემოს კომპონენტების მგრძობიანობის ხარისხზე.

წინასწარი მონაცემებით დაგეგმილი საქმიანობების განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების სახეები შეიძლება იყოს:

- ატმოსფერულ ჰაერში მტვერის ნაწილაკებისა და მავნე ნივთიერებების ემისიები;
- ხმაური და ვიბრაცია გავრცელება;
- დაბინძურებული ჩამდინარე წყლებით დაბინძურება;
- ნარჩენებით დაბინძურება;
- ავარიული დაღვრებით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედება.

უარყოფითი ზეგავლენა მოსალოდნელია შემდეგ რეცეპტორებზე:

- ატმოსფერული ჰაერი;
- ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები;
- ნიადაგი და გრუნტი;
- სოციალური გარემო;
- ბიოლოგიური გარემო;
- დაცული ტერიტორიები.

პროექტის განხორციელების შედეგად ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არაა.

6.2 ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიები და ხმაურის გავრცელება

საპროექტო ტერიტორიის მახლობლად ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მსხვილი წყაროები წარმოდგენილი არაა. ატმოსფერული ჰაერის მთავარ დამბინძურებლად შეიძლება მივიჩნიოთ აღმაშენებლის გამზირზე მოძრავი ავტოტრანსპორტი, რომელიც, ზოგადად, ერთერთი მთავარი ფაქტორია ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებითა და ხმაურით დაბინძურების თვალსაზრისით.

გარდა ავტოტრანსპორტისა ქალაქ ქობულეთში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა ხდება ისეთი ობიექტებიდან, როგორებიცაა:

- სამშენებლო მასალების წარმოების ობიექტები;
- ავტომობილების ტექ. მომსახურებისა და რემონტის ობიექტები;
- კვების პროდუქტების და პურ-ფუნთუშეულის წარმოების ობიექტები;
- საწვავის შენახვა და რეალიზაციის, თხევადი ან/და ბუნებრივი აირის საცავები და ტერმინალები, ბენზინგასამართი სადგურები;
- ლითონის ან/და მეტალო-პლასტმასის დამუშავების, ლითონების შედუღების ან/და აირული ჭრის ობიექტები;
- სამშენებლო მასალების, ბეტონის ან/და ბეტონის ნაკეთობების წარმოების ობიექტები;
- ქვის სველი და მშრალი მეთოდით დამუშავების ობიექტები;
- ხის დამუშავების, ავეჯისა და ქაღალდის წარმოების ობიექტები;
- სოფლის მეურნეობის (მეფრინველეობის, სოფლის მეურნეობის კვების პროდუქტების წარმოების) ობიექტები.

მოცემული ობიექტების ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გამოიყოფა ისეთი ნივთიერებები როგორებიცაა: მყარი ნივთიერებები, მტვერი (შეწონილი ნაწილაკები), ჭვარტლი, აბრაზიული მტვერი, რკინის ოქსიდები, ცემენტის მტვერი, შედუღების აეროზოლი, გოგირდის ორჟანგი, გოგირდწყალბადი, აზოტის ჟანგეულები, ნახშირჟანგი, ნახშირწყალბადები, ბენზოლი, მეთანი, ნაჯერი ნახშირწყალბადები (C6-C10), ნაჯერი ნახშირწყალბადები (C1-C5), ნაჯერი ნახშირწყალბადები (C12-C19), აქროლადი ორგანული ნაერთები, ტყვია, სპილენძი, ნიკელი, ნახშირორჟანგი და სხვა.

ქალაქ ქობულეთში გარემოს ეროვნული სააგენტოს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გამზომი ავტომატური სადგური არ გააჩნია. 2020 წლის საქართველოს ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წელიწადეულის მიხედვით, ქალაქში არც ინდიკატორული გაზომვები არ ჩატარებულა. აქედან გამომდინარე, ამჟამად არსებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხი შეფასება რთულია. თუმცა წარსულში ჩატარებული კვლევების მიხედვით, ქალაქ ქობულეთის ატმოსფერული ჰაერის ხარისხი დამაკმაყოფილებელია.

პროექტის განხორციელებისას ადგილი ექნება ატმოსფერულ ჰაერში მტვერის ნაწილაკების გავრცელებას და ხმაურის დონის მომატებას, რაც ძირითადად დაკავშირებული იქნება სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებულ ტექნიკა-დანადგარების და ბეტონის სამუშაოებთან. თუმცა მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება არ იქნება მუდმივი ხასიათის და მისი ხანგრძლივობა დამოკიდებული იქნება დაგეგმილი სამუშაოების განხორციელების ხანგრძლივობასთან.

მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირებისთვის, სამშენებლო სამუშაოების განმახორციელებელმა კომპანიამ უნდა დაიცვას გარემოსდაცვითი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და გაატაროს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. შედეგად, ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების ხარისხი იქნება დაბალი.

6.3 ნიადაგის და გრუნტის დაბინძურება

პროექტის განხორციელებისას ნიადაგზე პირდაპირი ზემოქმედება გარდაუვალია, რადგან საპროექტო ინფრასტრუქტურის განთავსების ტერიტორიაზე წარმოდგენილია ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, რომელიც საპროექტო ტერიტორიიდან უნდა მოიხსნეს. გარდა აღნიშნულისა ნიადაგზე და გრუნტზე ზემოქმედება ასევე შეიძლება გამოიწვიოს:

- ტექნიკა - დანადგარებიდან საწვავის/ზეთის დაღვრამ;
- ავარიულმა სიტუაციებმა;
- ნარჩენების არასათანადო მართვამ;
- საპროექტო საზღვრების დარღვევამ და ტექნიკის გადაადგილებისთვის დადგენილი მარშრუტებიდან გადახვევამ.

სამუშაოების დაწყებამდე უნდა შეფასდეს ზემოქმედებას დაქვემდებარებული ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ფართობი და სავარაუდო მოცულობა, რომელიც მართვაც განხორციელდება საქართველოს მთავრობის №424 დადგენილებით დამტკიცებული „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად.

მნიშვნელოვანია, რომ მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების შესამცირებლად გატარდეს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები და მოხსნილი ნიადაგისა და გრუნტის მართვა განხორციელდეს შესაბამისი გარემოსდაცვითი პირობების გათვალისწინებით.

6.4 ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურება

ქალაქ ქობულეთის ზღვის აკვატორიის დაბინძურების მთავარ წყაროებად ქალაქის საკანალიზაციო სისტემა და მყარი მუნიციპალური ნარჩენები შეიძლება მივიჩნიოთ. ასევე, საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არსებული მდინარეები ძირითადად მოსახლეობიდან და სხვადასხვა დანიშნულების ობიექტებიდან ჩამდინარე დაბინძურებული წყლებით და ნარჩენებით ბინძურდება. წყლების დამბინძურებლები ძირითადად ქლორი, მაგნიუმი, სულფატები, ჰიდროკარბონატები, კალციუმი, ფენოლები, პესტიციდები, ნავთობპროდუქტები და ბიოგენური ელემენტებია. თუმცა ბოლო პერიოდში ჩატარებული სხვადასხვა კვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ ქალაქ ქობულეთის საზღვაო აკვატორიის ნაწილის წყლებისა და მდინარეების დაბინძურების ხარისხი ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს არ აღემატება.

საპროექტო ტერიტორიიდან შავი ზღვამდე მანძილი დაახლოებით 100 მეტრია, ხოლო უახლოესი მდინარე შავ ღელემდე - 500 მეტრი. დაგეგმილმა სამუშაოებმა შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს ზედაპირულ და გრუნტის წყლებზე, რაც დაკავშირებული იქნება სამუშაო საზღვრების დარღვევასთან, სამუშაოების არასწორ წარმართვასთან და ნარჩენების არასათანადო მართვასთან (განსაკუთრებით საყურადღებოა თხევადი ნარჩენები). ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ქობულეთის ტერიტორიაზე გრუნტის წყლების დგომის სიღრმე საკმაოდ დაბალია და რიგ შემთხვევებში ქალაქის ტერიტორიის ფარგლებში მათი გამოსავლები ჭაბურღილებში დაფიქსირებულია 0.8- 1.5 მ-დე, ხოლო წყლების დამყარებული დონე ცვალებადობს 0.5-დან 1.2 მ-მდე.

ზედაპირული და მიწისქვეშა წყლებზე უარყოფით ზემოქმედება, ასევე მოსალოდნელია ავარიული დაღვრების შემთხვევაში, რისთვისაც მშენებლობის ეტაპისთვის შემუშავებული უნდა იყოს ავარიულ დაღვრებზე რეაგირების გეგმა და პრევენციული ღონისძიებები.

ახალი მრავალფუნქციური კომპლექსის მოწყობა ითვალისწინებს შესაბამისი საკანალიზაციო და სანიაღვრე ქსელის მოწყობას, რომელიც ქალაქ ქობულეთის ცენტრალურ სისტემასთან იქნება დაკავშირებული, შესაბამისად კომპლექსის ფუნქციონირების ეტაპზე ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არაა.

შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებითა და გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვის შემთხვევაში ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება დაბალი მნიშვნელობის იქნება.

6.5 ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება

ქ. ქობულეთის ტერიტორიების უსისტემო ათვისებამ გამოიწვია ბუნებრივი ლანდშაფტის ძლიერი ანთროპოგენიაზაცია. ქალაქის ტერიტორიაზე, გრძივად გაშენებულია შემდეგი ხე ნარგავები:

- თამარ მეფის სანაპიროზე ძირითადად გაშენებულია წიწვოვანი ხე-მცენარეები (ფიჭვი სხვადასხვა).
 - ✓ 50% ათვისებულია ხოლო
 - ✓ 50% ასათვისებელია.
- დ. აღმაშენებლის გამზირზე ძირითადად გაშენებულია მუხა, ფინიკის პალმა, ჩინური პალმა, ფიჭვი, ნეკერჩხალი, კამელია, აზალია, ირმის რქა.
 - ✓ 70% ათვისებულია
 - ✓ 30% ასათვისებელია.
- შ. რუსთაველის ქუჩაზე ძირითადად გაშენებულია ფოთლოვანი ხე მცენარეები (მუხა, ჭადარი და სხვა)
 - ✓ 30% ათვისებულია
 - ✓ 70% ასათვისებელია

ქალაქის სხვა ქუჩებზე შერეული მდგომარეობაა მეტწილად ასათვისებელია. საერთო ჯამში ქალაქის ძირითადი ქუჩების 45% ათვისებულია ხოლო 55% ასათვისებელია.

როგორც უკვე აღინიშნა საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ლანდშაფტურ ზონაში, ხოლო 500 მეტრში მდებარეობს ქობულეთის დაცული ტერიტორიები (ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი და ქობულეთის აღკვეთილი) და ზურმუხტის ქსელის შეთავაზებული უბანი ქობულეთი GE0000060. აღნიშნულის შესაბამისად, საპროექტო და მიმდებარე არეალები ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით ღირებულ ტერიტორიას წარმოადგენს.

უმუალოდ საპროექტო ტერიტორიაზე სხვადასხვა სახეობის ხე-მცენარეებია წარმოდგენილი, ესენია:

- | | | |
|---------------------|----------------------|------------------|
| • ფიჭვი | • კეთილშობილი დაფნა; | • იაპონური მუხა; |
| • კვილო | • ევკალიპტი; | • თუთა; |
| • მანჯურიული კაკალი | • ბიოტა; | • ლელვი; |
| • კედარი; | • კორპის მუხა; | • და სხვ. |

ილუსტრაცია 6 საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მცენარეულობა

კედარი Cedrus libani.



პალმა Butia capitata



ევკალიპტი Eucaliptus



იაპონური მუხა Quercus acuta



პოდოკარპუსი podocarpus macrophyllus



მანჯურიული კაკალი Juglans mandshurica



თუთა Morus alba



ფიჭვი Pinus sp.



ილუსტრაცია 6.
საპროექტო ტერიტორიაზე
არსებული მცენარეულობა

კვიდო *Ligustrum vulgare*



ხამციპარისი *chamaecyparis*



ცეფალოტაქსუსი *Cephalotaxus*



ეონიმუსი *euonymus sp.*



კორპის მუხა *Quercus suber*



კეთილშობილი დაფნა *Laurus nobilis*



ჩამოთვლილი ხე-მცენარეებიდან საპროექტო ტერიტორიაზე ძირითადად ფიჭვია წარმოდგენილი, რომელთაგან უმეტესობა მოზარდია. პროექტის განხორციელებისას მცენარეულ საფარზე პირდაპირი ზემოქმედება გარდაუვალია, რადგან აუცილებელია მოიჭრას რამდენიმე ინდივიდი ხე-მცენარე (ძირითადად ასაკოვანი ინდივიდები, რომელთა გადარგვა შეუძლებელია). გარდა აღნიშნულისა ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება შესაძლოა გამოიწვიოს დამბინძურებელი ნივთიერებების და ხმაური გავრცელებამ, ნარჩენების არასათანადო მართვამ და სამუშაოების არასწორმა წარმართვამ.

საპროექტო ტერიტორიაზე ფაუნისტური სახეობების საბინადრო ადგილის ნიშნები (ნაკვალევი, ბუდეები და ბუნაგები) არ გამოკვეთილა, საპროექტო ტერიტორიაზე სხვადასხვა სახეობა შესაძლოა ყოველდღიური რუტინული გადაადგილებისას და საკვების მოპოვების პერიოდში მოხვდეს, თუმცა მათზე პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელი არაა, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ხმაურით გამოწვეულ ზეგავლენას, რაც სახეობის დროებით, უმნიშვნელო, შემფოთებას გამოიწვევს.

შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარების შემთხვევაში, ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების ხარისხი საშუალო მნიშვნელობის იქნება.

6.6 დაცულ ტერიტორიებზე ზემოქმედება

საპროექტო ტერიტორიიდან ქობულეთის დაცულ ტერიტორიებამდე მანძილი 500 მეტრს შეადგენს, ხოლო . ზურმუხტის ქსელის შეთავაზებულ უბნამდე - ქობულეთი GE0000060 -530 მეტრს. აღნიშნული მანძილის გათვალისწინებით, პროექტის განხორციელებისას დაცულ ტერიტორიებზე პირდაპირი უარყოფითი ზემოქმედების რისკები მოსალოდნელი არაა. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ დაცულ ტერიტორიებზე გავრცელებულ ფრინველების არაერთ სახეობას საკონსერვაციო სტატუსი გააჩნია და ეს სახეობები საპროექტო ტერიტორიაზე შესაძლოა ყოველდღიური რუტინული გადაადგილებისას მოხვდნენ, საჭირო იქნება შემარბილებელი ღონისძიებების გატარება.

6.7 ნარჩენების არასათანადო მართვით გამოწვეული ზემოქმედება

დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროექტის განხორციელებისას დიდი რაოდენობით ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელი არაა. დაგეგმილი სამუშაოების განხორციელებისას მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო, სხვადასხვა კატეგორიის შესაფუთი მასალების, სამშენებლო და შესაძლოა მცირე რაოდენობით სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა.

ცხრილი 10 ინფორმაცია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ⁴.

ნარჩენის კოდი	ნარჩენის დასახელება	სახიფათო (დიახ/არა)	ნარჩენის ფიზიკური მდგომარეობა	სახიფათოობის მახასიათებელი
ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ხე-ტყის დამუშავებისას, ქაღალდის, მუყაოს, სამერქნე მასალის, პანელებისა და ავეჯის წარმოებისას - ჯგუფის კოდი 03				
03 01 ნარჩენები ხე-ტყის მასალის დამუშავებიდან და პანელებისა და ავეჯის წარმოებიდან				
03 01 05	ნახერხი, ბურბუშელა, ნათალი, ხე-ტყის მასალა, ფანერები და შპონები, რომლებიც არ არის ნახსენები 03 01 04	არა	მყარი	-
ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ზედაპირის დამფრავი საშუალებების (საღებავები, ლაქები და მოჭიქვისას და ემალირებისას გამოყენებული საშუალებები), წებოვანი ნივთიერებების/შემკრავი მასალების, ლუქის დასადები მასალების და საბეჭდი მელნის წარმოების, მიღების, მიწოდებისა და გამოყენებისას (MFSU) - ჯგუფის კოდი 08				
08 04 წებოვანი ნივთიერებების/შემკრავი მასალების, ლუქის დასადები მასალების (მათ შორის, წყალგაუმტარი პროდუქცია) წარმოების, მიღების, მიწოდებისა და გამოყენების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენები				
08 04 10	წებოვანი და ლუქის დასადები მასალების ნარჩენები, გარდა 08 04 09 პუნქტით გათვალისწინებული	არა	მყარი	-
ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ლითონებისა და პლასტმასის ფორმირებისა და ზედაპირების დამუშავებისას - ჯგუფის კოდი 12				
12 01 ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ლითონებისა და პლასტმასის ფორმირებისა და ზედაპირების დამუშავებისას				
12 01 13	შედულებისას წარმოქმნილი ნარჩენი	არა	მყარი	-
12 01 20*	გამოყენებული სახეხი ნაწილები და სახეხი მასალები, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს (აბრაზიული ქვები)	არა	მყარი	-
შესაფუთი მასალის, აბსორბენტების, საწმენდი ნაჭრების, ფილტრებისა და დამცავი ტანსაცმლის ნარჩენები, რომლებიც გათვალისწინებული არ არის სხვა პუნქტებში - ჯგუფის კოდი 15				
15 01 შესაფუთი მასალა (ცალკეულად შეგროვებული შესაფუთი მასალის ნარჩენების ჩათვლით)				
15 01 01	ქაღალდისა და მუყაოს შესაფუთი მასალა	არა	მყარი	-
15 01 06	ნარევი შესაფუთი მასალა	არა	მყარი	-
15 02 აბსორბენტები, ფილტრის მასალა, საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმლის				
15 02 02*	აბსორბენტები, ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრების ჩათვლით, რომელიც არ არის განხილული სხვა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმლის, რომელიც დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებებით	დიახ	მყარი	H 5 - მავნე H14-ეკოტოქსიკური

⁴ შედგენილია „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის №426 დადგენილების მიხედვით

სამშენებლო და ნგრევის ნარჩენები (ასევე მოიცავს საგზაო სამუშაოების ნარჩენებს დაბინძურებული ადგილებიდან) - ჯგუფის კოდი 17				
17 04 მეტალები (მოიცავს მათ შენადნობებსაც)				
17 04 07	შერეული ლითონები	არა	მყარი	-
17 05 ნიადაგი (ასევე მოიცავს საგზაო სამუშაოების ნარჩენებს დაბინძურებული ადგილებიდან), ქვები და გრუნტი				
17 05 03*	ნიადაგი და ქვები, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს	დიახ	მყარი	H 15
17 05 04	ნიადაგი და ქვები, რომლებიც არ გვხვდება 17 05 03 პუნქტში	არა	მყარი	-
17 05 06	გრუნტი, რომელიც არ გვხვდება 17 05 05 პუნქტში	არა	მყარი	-
17 06 საიზოლაციო მასალები და აზბესტის შემცველი სამშენებლო მასალები				
17 06 04	საიზოლაციო მასალები, რომლებსაც არ ვხვდებით 17 06 01 და 17 06 03	არა	მყარი	-
ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ადამიანის ან ცხოველის სამედიცინო მომსახურებით ან/და მასთან დაკავშირებული კვლევების შედეგად (გარდა საკვები ობიექტების ნარჩენებისა, რომლებიც არ არის წარმოქმნილი რაიმე უშუალო სამედიცინო აქტივობის შედეგად) - ჯგუფის კოდი 18				
18 01 ნარჩენები მშობიარობის, დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და დაავადებების პრევენციული ღონისძიებებიდან ადამიანებში				
18 01 04	ნარჩენები, რომელთა შერეობა და განადგურება არ ექვემდებარება სპეციალურ მოთხოვნებს ინფექციების გავრცელების პრევენციის მიზნით (მაგ., შესახვევი მასალა, თაბაშირი, თეთრეული, ერთჯერადი ტანსაცმელი, საფენები)	არა	მყარი	-
18 01 09	მედიკამენტები, გარდა 18 01 08 პუნქტით გათვალისწინებულს	არა	მყარი	-
მუნიციპალური ნარჩენები და მსგავსი კომერციული, საწარმოო და დაწესებულებების ნარჩენები, რაც ასევე მოიცავს მცირედი ოდენობებით შეგროვებული ნარჩენების ერთობლიობას - ჯგუფის კოდი 20				
20 01 განცალკევებულად შეგროვებული ნაწილები (გარდა 15 01)				
20 01 39	პლასტმასი	არა	მყარი	-
20 01 40	ლითონები	არა	მყარი	-
20 02 ბალებისა და პარკების ნარჩენები (მათ შორის, სასაფლაოების)				
20 02 01	ბიოდეგრადირებადი ნარჩენები	არა	მყარი	-
20 02 02	ნიადაგი და ქვები/ხრეში	არა	მყარი	-
20 03 სხვა მუნიციპალური ნარჩენები				
20 03 01	შერეული მუნიციპალური ნარჩენები	არა	მყარი	-

წარმოქმნილი ნარჩენების არასათანადო მართვის პირობებში იზრდება გარემოს დაბინძურების რისკები, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს ნიადაგისა და გრუნტზე, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლებზე, დაცული ტერიტორიებზე და ბიოლოგიურ გარემოზე უარყოფით ზემოქმედებასთან. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საპროექტო ტერიტორია ახლოს მდებარეობს ზედაპირული წყლის ობიექტთან (შავ ზღვასთან) და სანაპირო ზოლთან, რაც მათზე ზემოქმედების რისკებს ზრდის. ასევე, ფუნქციური ზონირების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია განთავსებულია ლანდშაფტურ ზონაში და აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, დაგეგმილი საქმიანობების განხორციელებისას წარმოქმნილი ყველა სახის ნარჩენის მართვა უნდა განხორციელდეს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად.

6.8 სოციალურ გარემოზე ზემოქმედება

ზემოთ აღნიშნულმა უარყოფითმა ზემოქმედებებმა (ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, ხმაურის გავრცელება, ნიადაგის და გრუნტის დაბინძურება და სხვა.) შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე, თუმცა დაგეგმილი საქმიანობები არ იწარმოებს ხანგრძლივი პერიოდით და მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება არ იქნება მუდმივი ხასიათის.

პროექტის განხორციელება ამავდროულად დადებით ზეგავლენას იქონიებს სოციალურ გარემოზე. პროექტის განხორციელებით ვიზიტორებისა და დამსვენებლებისთვის შეიქმნება კომფორტული, მრავალფუნქციური, სივრცე. ასევე გასათვალისწინებელია, რომ პროექტის განხორციელების შემთხვევაში შეიქმნება დროებითი სამუშაო ადგილები, სადაც გარკვეული რაოდენობის ადამიანი დასაქმდება. სამუშაო ადგილების შექმნა გააუმჯობესებს დასაქმებულთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

6.9 ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ზემოქმედება

პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების პერიოდში არსებობს ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ავარიული სიტუაციებითა და სამუშაო პირობების დარღვევით. ტექნიკა-დანადგარების არასწორი მართვამ, მძიმე სამუშაოებმა, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გარეშე მუშაობამ და სხვ. შესაძლებელია ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე იქონიოს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი უარყოფითი ზეგავლენა. პირდაპირი უარყოფითი ზეგავლენა შესაძლოა მძიმე შედეგებითაც დამთავრდეს.

სამშენებლო სამუშაოების განმახორციელებელმა კომპანიამ სამუშაო სივრცეში და მის სიახლოვეს უნდა უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების მაქსიმალური დაცვა. პერსონალის უსაფრთხოება რეგლამენტირებული უნდა იყოს შესაბამისი სტანდარტებით, სამშენებლო ნორმებით და წესებით. სამუშაოების წარმოებისას მშენებელი კომპანიის მიერ დანიშნული/მოწვეული უნდა იყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვასა და უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვას.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საპროექტო ტერიტორიის მახლობლად მდებარეობს სკვრები და სანაპირო ზოლი, სამშენებლო სამუშაოების განმახორციელებელმა კომპანიამ დამატებითი ზომები უნდა მიიღოს უსაფრთხოების მაქსიმალური დაცვის მიზნით. ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა/გათვალისწინების შემთხვევაში, ადამიანების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე პირდაპირი უარყოფითი ზემოქმედება დაბალი მნიშვნელობის იქნება.

7 უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელება გარკვეულწილად დაკავშირებული იქნება გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების და ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკებთან. პროექტით გათვალისწინებული კონცეფციების განხორციელებისას აუცილებელი იქნება გატარდეს რიგი შემარბილებელი ღონისძიებები. გასატარებელი შემარბილებელი ღონისძიებები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად - 1) ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შემარბილებელი ღონისძიებები და 2) გარემოსდაცვითი შემარბილებელი ღონისძიებები.

ადამიანის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებული შემარბილებელი ღონისძიებები

- სამუშაოებში ჩართული პერსონალი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;
- დაცული უნდა იყოს სამუშაო გრაფიკი;
- საშიშპირობებიანი, მავნე და მძიმე სამუშაოების შემთხვევაში პერსონალის უსაფრთხოებისთვის უნდა გატარდეს დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებები;
- პერიოდულად გაკონტროლდეს მანქანა-დანადგარების გამართულობა;
- საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის მიერ უნდა დაინიშნოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვასა და უსაფრთხოების ღონისძიებების გატარებას;
- პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ცნობიერების ამაღლებისა სწავლებები უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის საკითხებზე;
- სამუშაო ზონებში გაკეთდეს მაფრთხილებელი ნიშნები.

გარემოსდაცვითი შემარბილებელი ღონისძიებები

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების და ხმაურის გავრცელების შემარბილებელი ღონისძიებები

- სამუშაოებში გამოყენებული ტრანსპორტი და დანადგარები უნდა აკმაყოფილებდეს უსაფრთხოების ნორმებს, რისთვისაც სამუშაოების დაწყებამდე უნდა შემოწმდეს მათი ტექნიკური მდგომარეობა;
- სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებისას დაცული უნდა იყოს ოპტიმალური სიჩქარე;
- მნიშვნელოვანი ხმაურის გამომწვევი სამუშაოები განხორციელდეს მხოლოდ დღის საათებში;
- ხმაურის გავრცელების პრევენციის მიზნით, მკაცრად უნდა იყოს დაცული სამუშაო გრაფიკი;
- ქარიან ამინდში უნდა შეიზღუდოს მტვერწარმოქმნელი სამუშაოების შესრულება;
- ხმაურის დონის კანონით დადგენილი ზღვრული ნორმების გადაჭარბების შემთხვევაში, საჭიროებისამებრ უნდა განხორციელდეს ხმაურის გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებები, კერძოდ:
 - ✓ დანადგარებისა და ტექნიკის ხმაურის დონე შემცირდეს სხვადასხვა ტექნიკური გადაწყვეტებით;
 - ✓ შეძლებისდაგვარად შეიზღუდოს ხმაურის გამომწვევი წყაროების ერთდროული მუშაობა.
- ფხვიერი მასალის ტრანსპორტირების შემთხვევაში სატვირთო მანქანის ძარა უნდა გადაიფაროს შესაბამისი მასალით;
- სამშენებლო მასალების დამუშავებისას მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული დამუშავების სველი მეთოდი;
- უმჯობესია სამშენებლო მასალების ტრანსპორტირება უახლოესი კარიერებიდან/ობიექტებიდან განხორციელდეს;
- გაკონტროლდეს ჩართული ძრავით მანქანების უქმად გაჩერება და უქმად გადაადგილება;
- აიკრძალოს სიგნალის გამოყენება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს უსაფრთხოებისთვის აუცილებელია.
- საპროექტო ტეროტორიაზე მაქსიმალურად იქნეს შენარჩუნებული მცენარეული საფარი (რაჭუნებრივ ხმაურდამცავ ბარიერს შექმნის);
- პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ტრენინგი გარემოსდაცვით და უსაფრთხოების საკითხებზე.

ზედაპირულ და მიწისქვეშა წლებზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

- უნდა შეიზღუდოს სამუშაო ადგილზე ტექნიკის რემონტი/ტექნომსახურება და რეცხვა;
- რეგულარულად უნდა შემოწმდებოდეს ადგილზე მომუშავე ტრანსპორტის და აღჭურვილობის ტექნიკური მდგომარეობა ჟონვის დასადგენად;
- მკაცრად გაკონტროლდეს ნებისმიერი სახის დაბინძურებული წყლის (საკანალიზაციო, ნარეცხი და სხვადასხვა დამბინძურებლებით დაბინძურებული წყლების) ჩაშვება ზედაპირული წყლის ობიექტებში. სანიაღვრე და საკანალიზაციო წყლების ჩაშვება უნდა მოხდეს ქალაქ ქობულეთის საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემებში;
- შეიზღუდოს უნდა ადგილზე ტექნიკის რემონტი/ტექნიკური მომსახურება და გამართვა;
- სამშენებლო ზონა აღჭურვილი უნდა იყოს ავარიულ დაღვრებზე დროული რეაგირების ინვენტარით. ასევე დასაქმებულ პერსონალს პერიოდულად უნდა ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი ავარიულ დაღვრებასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, კომპანიის მიერ შემუშავებული უნდა იყოს ავარიულ დაღვრებზე დროული რეაგირების სათანადო ღონისძიებები;

- მკაცრად უნდა გაკონტროლდეს იმ სატვირთოების (ბეტონშემრევი) ადგილზე გარეცხვის ფაქტები, რომლებიც გამოყენებული იქნება ბეტონის სამუშაოებში;
- ტერიტორიაზე შემოტანილი მასალები და წარმოქმნილი ნარჩენები უნდა განთავსდეს იმგვარად, რომ არიდებული იქნას ეროზია და წყალში ჩარეცხვა.
- სამუშაო უბანი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ეროზიის/ნალექების კონტროლის საშუალებებით;
- მაქსიმალურად უნდა იყოს შენარჩუნებული მცენარეული საფარი.

ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

- სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, შესაბამისი სპეციალისტი(ებ)ს მიერ კიდევ ერთხელ განხორციელდეს საპროექტო ტერიტორიის დათვალიერება, რათა გამოირიცხოს ზეგავლენის ქვეშ არსებულ ტერიტორიაზე სხვადასხვა სახეობების საბინადრო და საზღვარი ადგილების არსებობა;
- მკაცრად იყოს დაცული საპროექტო საზღვრები, რათა თავიდან იქნეს აცილებული სახეობების ბინადრობისთვის/ზუღობისთვის აუცილებელი ჰაბიტატების მთლიანობა;
- ის ხე-მცენარეები, რომელთა გადარგვა შესაძლებელია, ქობულეთის მერიასთან შეთანხმებით უნდა გადაირგოს შესაბამის ტერიტორიაზე. საპროექტო ტერიტორიაზე ძირითადად ფიჭვის მოზარდი ნარგავებია, რომელთა გადარგვა შესაძლებელია ალტერნატიულ ტერიტორიაზე;
- სამუშაოების პერიოდში წარმოქმნილი ყველა სახის ნარჩენის მართვა განხორციელდეს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების შესაბამისად;
- გაკონტროლდეს სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკის გადაადგილებისათვის დადგენილი მარშრუტიდან გადახვევის ფაქტები;
- მკაცრად გაკონტროლდეს ბრაკონიერობის ფაქტები;
- გაკონტროლდეს ისეთი სახის აქტივობები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ ხანძრები, წყლის ან ნიადაგის დაბინძურება;
- ჩატარდეს გეგმარებითი ობიექტის ტერიტორიის გამწვანებითი სამუშაოები. გამწვანებაში გამოყენებული უნდა იყოს ადგილობრივ კლიმატს შეგუებული სახეობები. სახეობების შერჩევას ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს კლიმატის ცვლილების სამომავლო სცენარები;
- სამუშაოებში დასაქმებულ პერსონალს ჩატარდეს ტრენინგი გარემოსდაცვით და უსაფრთხოების საკითხებზე;

ნიადაგზე და გრუნტზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

- ზემოქმედებას დაქვემდებარებული ნიადაგის ნაყოფიერი ფენა უნდა მოიხსნას, რომელიც დროებით დასაწყობდება და მისი მართვა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის №424 დადგენილებით დამტკიცებული „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად;
- დროებით დასაწყობებული ნიადაგი გამოყენებული უნდა იყოს მიზნობრივად შემდეგი რეკულტივაციის მიზნით;
- ნიადაგზე უარყოფითი ზემოქმედების შესამცირებლად სწორად შეირჩევა ტექნიკის გადაადგილებისათვის საჭირო გზები და სამუშაო უბნები, რომელთა საზღვრების დაცვა მკაცრად გაკონტროლდება;
- ზეთებისა და საწვავის ავარიული დაღვრის შემთხვევაში გატარდეს დაღვრაზე რეაგირების ღონისძიებები. დაბინძურებული ფენა უნდა მოიხსნას დაუყოვნებლივ და რემედიაციისათვის გადაეცეს შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორ კომპანიას;
- შეიზღუდება სამუშაო ზონაში მანქანების შეკეთება/ტექნიკური მომსახურება და/ან საწვავით გამართვა. უპირატესობა მიენიჭება საპროექტო ტერიტორიის გარეთ არსებულ კომერციულ პუნქტებს;
- ყველა სახის წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად;
- პერიოდულად შემოწმდეს სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკა-დანადგარების გამართულობა;

ნარჩენების არასათანადო მართვით გამოწვეული ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

- თავიდან უნდა იქნეს აცილებული სუფთა მასალების დაბინძურების ფაქტები, რაც ხელს შეუწყობს დამატებითი ნარჩენების წარმოქმნის მინიმუმაციას;
- შესაძლებლობის შემთხვევაში მშენებელი კომპანია უზრუნველყოფს წინასწარ ფორმირებული პროდუქციის შექმნა, რაც შეამცირებს სხვადასხვა სახის ნარჩენების წარმოქმნას;
- მასალების შემოტანის და განთავსებაზე იწარმოებს მონიტორინგი, ასევე მკაცრად გაკონტროლდება წარმოქმნილი ნარჩენების მართვის საკითხები, რაც მინიმუმამდე შეამცირებს არასასურველი ნარჩენების წარმოქმნისა და მათი არასათანადო მართვის ფაქტებს;
- სამშენებლო ნარჩენების განთავსებისთვის ტერიტორიაზე განთავსდება შესაბამისი მასალის და მოცულობის კონტეინერები, სადაც მხოლოდ სამშენებლო ნარჩენების განთავსება მოხდება;
- მიწის სამუშაოების წარმოებისას ნიადაგის ნაყოფიერი ფენის და გრუნტის შერევა არ მოხდება ნარჩენებთან;
- წარმოქმნილი ნარჩენები შემდგომი მართვისთვის გადაეცემა ამ საქმიანობაზე შესაბამისი ნებართვის და/ან რეგისტრაციის მქონე პირს/კომპანიას. ქალაქ ქობულეთში მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება/გატანაზე პასუხისმგებელია ა(ა)იპ „ქობულეთის სანდასუფთავება“. კომპანიის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები შესაძლებელია გადაეცეს აღნიშნულ კომპანიას, ან სურვილის შემთხვევაში ხელშეკრულება გაფორმდეს სხვა ფიზიკურ/იურიდიულ პირთან.
- სამუშაოების პერიოდში წარმოქმნილი ყველა სახის ნარჩენის მართვა განხორციელდეს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების შესაბამისად;
- დასაქმებულ პერსონალს ექნება შესაბამისი ინფორმაცია ნარჩენების სათანადო მართვის საკითხებთან დაკავშირებით.

დაცულ ტერიტორიებზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

საპროექტო ტერიტორიიდან ქობულეთის დაცული ტერიტორიების დამორების გათვალისწინებით, უარყოფითი ზემოქმედების რისკები მინიმალურია. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემობას, რომ დაცულ ტერიტორიებზე გავრცელებულ ფრინველების არაერთ სახეობას გააჩნია საკონსერვაციო სტატუსი, დაგეგმილი სამუშაოები უნდა წარიმართოს შემდეგი პირობების დაცვით:

- მკაცრად გაკონტროლდეს ბრაკონიერობის ფაქტები;
- გაკონტროლდეს ისეთი სახის აქტივობები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ ხანძრები, წყლის ან ნიადაგის დაბინძურება;
- სამუშაოებში დასაქმებულ პერსონალს ჩაუტარდეს ტრენინგი გარემოსდაცვით და უსაფრთხოების საკითხებზე;

სოციალურ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

- სოციოლოგიური კვლევის საფუძველზე უნდა გამოიკვეთოს ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებები და პროექტის განხორციელებით გამოწვეული მოლოდინები;
- საქმიანობის განმახორციელებელმა კომპანიამ ხელი უნდა შეუწყოს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას;
- საქმიანობის განმახორციელებელმა კომპანიამ უნდა აწარმოო ერთგვარი ჟურნალი, სადაც მოსახლეობის მიერ გამოთქმული უკმაყოფილება და საჩივრები იქნება ასახული;

8 დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ:

- პროექტით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელება პირდაპირ უარყოფით ზეგავლენას იქონიებს ნიადაგსა და მცენარეულ საფარზე, ხოლო გარემოს სხვა რეცეპტორებზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება დაბალი მნიშვნელობის იქნება;
- პროექტის განხორციელებამ შესაძლოა სოციალურ გარემოზე იქონიოს როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი ზეგავლენა. უარყოფითი ზეგავლენა არ იქნება ხანგრძლივი და ის დაკავშირებული იქნება პროექტის განხორციელების პერიოდთან. დადებითი ზეგავლენიდან უნდა აღინიშნოს, რომ შეიქმნება სამუშაო ადგილები, რაც დასაქმებული პერსონალის ეკონომიკურ მდგომარეობას გააუმჯობესებს;
- თავისი სპეციფიკის, მასშტაბისა და მდებარეობიდან გამომდინარე ობიექტის მშენებლობამ და ექსპლუატაციამ არ შეიძლება გამოიწვიოს ტრანსსასაზღვრო უარყოფითი ზემოქმედება;
- გეგმარებითი ობიექტის მიმდებარედ არსებული გზები და ნაკვეთები უზრუნველყოფილია ქალაქ ქობულეთის სანიაღვრე სისტემით, რაც ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედებას მნიშვნელოვნად შეამცირებს;
- ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო და სხვა სახის ნარჩენების (სახეობის მიხედვით დახარისხებული) გატანა მოხდება ქალაქ ქობულეთის დასუფთავების სამსახურის, ან სხვა ფიზიკური და იურიდიული პირის მიერ;
- ზემოთ მოცემული შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებისა და სწორი მენეჯმენტის პირობებში შესაძლებელი იქნება მოსალოდნელი ზემოქმედებების მინიმუმამდე შემცირება.

ლევან ზაზაძე

ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის დოქტორი.

ქ.ქობულეთში მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის წინასწარი გეოლოგიური პირობები

შპს „დრიმლენდ ოაზისი“ დაკვეთით შ.პ.ს „TUSKI GEOLOGY GROUP“-ის მიერ 2022 წლის მაისში ჩატარდა ქ. ქობულეთში დავით აღმაშენებლის № 297 ში მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის წინასწარი საინჟინრო გეოლოგიური კვლევა.

კლიმატური პირობების მიხედვით ტერიტორია იმყოფება საშუალოდ თბილ და ტენიანი კლიმატის ზონაში, საკმაო რაოდენობის ნალექებით წლის ყოველ სეზონში. ტერიტორია ხასიათდება, ცხელი ზაფხულით მცენარეთა ვეგეტაცია არ ჩერდება ზამთარშიც. ტერიტორია შედის ჭარბტენიან ქვეზონაში, კარგად გამოხატული ქარებით ზღვიდან მთელი წლის განმავლობაში და ნალექების მაქსიმალური რაოდენობით ზაფხულში და შემოდგომაზე.

ქვემოთ მოგვყავს ზოგიერთი მონაცემები მოცემული რაიონის კლიმატური პირობების შესახებ სნ და წ („სამშენებლო კლიმატოლოგია“, პნ 01.05.08):

- 1. ჰაერის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა -8⁰ C;
- 2. ჰაერის აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა..... + 40⁰ C;
- 3. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა..... +14,4⁰ C;
- 4. ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა (საშუალო წლის განმავლობაში)..... 79%;
- 5. ნალექების რაოდენობა წელიწადში 2658 მმ;
- 6. ნალექების რაოდენობა დღე-ღამეში 231 მმ;
- 7. თოვლის საფარის წონა ჰორიზონტალურ ზედაპირზე საშუალო0,5 კპა;
- 8. ქარის მახასიათებლები, ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი:
 - წელიწადში ერთხელ 17 მ/წმ;
 - 5 წელიწადში ერთხელ 22 მ/წმ;
 - 10 წელიწადში ერთხელ 24 მ/წმ;
 - 15 წელიწადში ერთხელ 25 მ/წმ;
 - 20 წელიწადში ერთხელ 26 მ/წმ;
- 9. ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობები:
 - 5 წელიწადში ერთხელ 0,30 კპა;
 - 15 წელიწადში ერთხელ 0,38 კპა;
- 10. გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე 0 სმ;

სამშენებლო უბნის გეოლოგიურ-აგებულებაში მონაწილეობენ ზღვიური გენეზისის ქვიშიანი გრუნტები.

ფენა 2-ის ქვიშიანი გრუნტები იჭერენ დომინირებულ როლს სამშენებლო უბნის გეოლოგიურ აგებულებაში ისინი გავრცელებულია მთელ სამშენებლო ტერიტორიაზე. აღნიშნული გრუნტები ზემოდან ყველგან გადაფარულია ნიადაგის ფენით (ფენა1).

ყოველივე ზემოთაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება შემდეგი დასკვნის გაკეთება.

- 1. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების მიხედვით სამშენებლო უბანი იმყოფება დამაკმაყოფილებელ პირობებში. უბანზე და მის მიმდებარედ არ აღინიშნება ნეგატიური გეოლოგიური მოვლენები.
- 2. საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების სქემის მიხედვით ქ. ქობულეთი მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმურ ზონას (სნ და წ “სეისმომდეგი მშენებლობა” პნ 01.01.09).
- 3. აღნიშნული დასკვნა შედგენილია ვიზუალურ და ფონდურ მასალებზე დაყრდნობით, საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენათ საჭიროა მოხდეს სამშენებლო მოედანზე დატალური საინჟინრო გეოლოგიური და ლაბორატორიული კვლევების ჩატარება.
- 4. დამუშავების სიძნელის მიხედვით, უბანზე გავრცელებული გრუნტები სნ და წ IV-2-82 ცხრილი I-ის მიხედვით მიეკუთვნებიან:
 - ტექნიკური გრინტი (ფენა 1) - ყველა სახის დამუშავებისას III ჯგუფს საშუალო სიმკვრივით 1950 კგ/მ³ (გუთანაბრებთ რიგითი №6 „ვ“).
 - ქვიშოვანი გრუნტი (ფენა 2) – ყველა სახის დამუშავებისას – II ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1600 კგ/მ³ (გუთანაბრებთ რიგითი №27 “ა”);

შ.პ.ს. „TGG“-ს

დირექტორი
საქართველოს საინჟინრო აკადემიის
ნამდვილი წევრი, გეოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი



ტ.ტუსკია

ინჟინერ გეოლოგი

რ.დოღბაია

5. დამგეგმავი გუნდის კვალიფიკაცია

5.1 მიმწოდებლის პროფესიული უნარები და გამოცდილება. ცხრილი 10


პერსონალი	პოზიცია	მინ. #	კვალიფიკაცია / კომპეტენცია და გამოცდილება	რეფერენსი
პროექტის მართვის სპეციალისტი მალხაზ ქათამაძე	საერთო ხელმძღვანელი / კოორდინატორი	1	<ul style="list-style-type: none"> მაგისტრის ხარისხი ბიზნეს ადმინისტრირების / პროექტების მართვის განხრით; 19-წლიანი გამოცდილება დაგეგმვის პროექტების მართვაში. 	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი მაგისტრის დიპლომი; სერთიფიკატი
სივრცითი დაგეგმვის სპეციალისტი / მიწათსარგებლობის დაგეგმვის სპეციალისტი მალხაზ ქათამაძე	დაგეგმვის ხელმძღვანელი	1	<ul style="list-style-type: none"> მაგისტრის ხარისხი დაგეგმვის განხრით. 19-წლიანი გამოცდილებით დაგეგმვაში. 	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი მაგისტრის დიპლომი; სერთიფიკატი
ქალაქგეგმარებელი / ურბანისტი მალხაზ ქათამაძე	დაგეგმარების ხელმძღვანელი	1	<ul style="list-style-type: none"> მაგისტრის ხარისხი დაგეგმვის განხრით. 19-წლიანი პროფესიული გამოცდილება დაგეგმარებაში. 	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი მაგისტრის დიპლომი; სერთიფიკატი
ინსოლიაციის სპეციალისტი ლევან ბერიძე	წამყვანი სპეციალისტი	1	<ul style="list-style-type: none"> მაგისტრის ხარისხი არქიტექტურაში და/ან ჰუმანიტარულ მეცნიერებებში; 24-წლიანი პროფესიული გამოცდილება კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებთან მუშაობაში . 	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი მაგისტრის დიპლომი; სერთიფიკატი
სოციოლოგი თამარ დობორჯგინიძე	წამყვანი სპეციალისტი	1	<ul style="list-style-type: none"> მაგისტრის ხარისხი სოციოლოგიის განხრით; 26-წლიანი პროფესიული გამოცდილება. 	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი მაგისტრის დიპლომი
მიწისა (საკუთრების) და კადასტრის სპეციალისტი სერგო ჭყონია	წამყვანი სპეციალისტი	1	<ul style="list-style-type: none"> ეროვნულ დონეზე აღიარებული შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციისა და/ან უქსერტული ცოდნის მქონე მიწის მართვის საკითხებში. 9-წლიანი პროფესიული გამოცდილება. 	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი მაგისტრის დიპლომი; სერთიფიკატი
